პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მერვე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
— და —
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 64, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან ღამის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—64
) ღამის მორიგეს 13—80.

მთავარი კანტორა
თბილისი რუსთაველის პროსპ., № 84, ტელეფონი № 8-81.
ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.
განცხადებები
საქართველოს ფარგლებში— ტექსტის უკან —80 კ. მონპარელის სტრიქონი. ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ., საქართველოს გარეთ— ტექსტის უკან—1 მ. 0 კ., ტექსტში—3 მ., განმცხადებელი გარდა განცხადების ფასისა იხდის 10% საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ორჯერ ტექსტის შეუცვლელად-შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9 -3½ ს., 3½ ს. შემდეგ [illegible] 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

კვირა, 8 იანვარი 1928 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კაპ. № 6 (2019)

დღიური

— სტამბოლში აღმოაჩინეს რუმინეთის პრინც კაროლის მომხრეთა შეთქმულება.
— შრომის რაინდთა ფედერაციის მოწოდება.
— ბომბეიში (ინდოეთი) ჩავიდა ავღანისტანის ფადიშაჰი.
— კომუნისტების დევნა საფრანგეთში.
— წყალდიდობა ლონდონში.—წყალი შეიჭრა ვესტმინსტერის სააბატოში.
— საბჭ. კავშირის ცაკის დადგენილებით, საბჭოების გადარჩევა გადადებულია შემოდგომამდე.
— დამთავრდა 1922 წლის პირველი სესხის ტირაჟი.
— ფინელი ჯაშუშების პროცესი.

1928 წლის 10 იანვარს
სასახლის წითელ დარბაზში
შესდგება
საკავშირო კომპარტიის (ბ)
ამ-კავკასიის საოლქო კომიტეტის
მორიგი პლენუმი
ს.კ.პ. (ბ) ა/კ. საოლქო კომიტეტის მდივანი მ. ორახელაშვილი.

სოფლის კოლექტივიზაციის გზით

დღეს იხსნება საქართველოს კოლექტიურ მეურნეობათა პირველი ყრილობა. თვით ის ფაქტი, რომ ჩვენ ვიწყებთ კოლექტიურ ერთეულების გაერთიანებას რესპუბლიკის მასშტაბით, მოწმობს, რომ პარტია და ხელისუფლება უკვე შეუდგენ საკავშირო კომპარტიის მეხუთმეტე ყრილობის დადგენილებათა ცხოვრებაში გატარებას. სოფლის კოლექტივიზაცია ერთი იმ მთავარ ამოცანათაგანია, რომელიც დასახა ჩვენს წინაშე მე-15 ყრილობამ სოფლად მუშაობის დარგში. როგორც მთელ საბჭოთა კავშირში, ისე საქართველოში გლეხის მეურნეობათა კოლექტიურად გაერთიანებას არ ექცეოდა სათანადო ყურადღება. სოფლად არსებულ კომუნების, ამხანაგობების, არტელების და გლეხთა სხვა სახის გაერთიანებებისათვის დახმარება ატარებდა შემთხვევით ხასიათს. სოციალიზმის ეს საუკეთესო კერა მოკლებული იყო სათანადო იდეურ-ორგანიზაციულ და მატერიალურ დახმარებას. ამიტომ იყო, რომ აქა-იქ სტიქიურად აღმოცენებული გლეხთა გაერთიანებები ხშირად მოკლე ხნით უმწეო არსებობის შემდეგ ჰქრებოდენ. იყო დრო, როცა კოლექტიურ მეურნეობებმა საქართველოში უმძიმესი კრიზისი გადაიტანეს. დარჩენ მხოლოდ ყველაზე უფრო ცხოველმყოფელი და მაგარი გაერთიანებანი. დღეს ფაქტიური მდგომარეობა ასეთია. კომუნების რიცხვი მთელ საქართველოში უდრის 7. არტელების —25, მიწის დამმუშავებელი ამხანაგობების —70 და სამანქანო ამხანაგობების —30. სულ. მაშასადამე. თუ არ მივიღებთ მხედველობაში საბჭოთა მეურნეობებს, გლეხთა გაერთიანებების საერთო რიცხვი მთელ საქართველოში უდრის 132-ს.

თავისთავად ცხადია, რომ ეს რიცხვი სრულიადაც არ შეიძლება დამაკმაყოფილებლად ჩაითვალოს გლეხური მეურნეობის ისეთ ქვეყანაში, როგორიცაა საქართველო. მაგრამ ეს საკმარისია იმისათვის, რომ მასზე დაყრდნობით და განვლილ გამოცდილებათა გათვალისწინებით ჩვენ შევუდგეთ ენერგიულ კოლექტიურ აღმშენებლობას სოფლად.

მთავარი, რაც უნდა ახასიათებდეს გლეხთა კოლექტიურად გაერთიანებისაკენ მიმართულ მუშაობას, ესაა ნებაყოფლობითი პრინციპი. კოლექტივიზაციის საქმის ჩქარი ნაბიჯით წინ წაწევა, საჭიროა არა იმდენათ აგიტაცია-პროპაგანდით, რამდენადაც საქმით. პარტიულ, საბჭოთა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებმა უნდა შექმნან გლეხთა გაერთიანებებისაგან ისეთი მეურნეობანი, რომლებიც თავისი [illegible] და ეკონომიური საშუალებით წინ წაიძღვებიან სოფელს და [illegible] გლეხკაცობას. ეს ამოცანა არც თუ ისე ადვილია. გლეხთა გაერთიანებები უნდა დაიწყოთ კოლექტივების მარტივი ფორმებიდან. როგორც მაგალითად არტელები, სამანქანო და მიწის დამმუშავებელი ამხანაგობებია. გამოცდილებამ ცხადჰყო, რომ სოფლის კოლექტივიზაცია იქ უფრო პოულობს მკვიდრ ნიადაგს, სადაც გლეხთა გაერთიანებას იწყებენ მარტივ ფორმებიდან. ეს კარგათ უნდა დაიხსომონ ადგილობრივ ორგანიზაციებმა, რომლებიც მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა შეუდგენ გლეხთა კომუნების მოწყობას, თუ ექნებათ სრული რწმენა, რომ კომუნა მკვდრათ დაბადებული არ აღმოჩნდება და ამით სახელს არ გაუტეხს სოფლის მშრომელ მოსახლეობის თვალში კოლექტივიზაციის საქმეს. წარსულის მიხედვით უნდა ითქვას, რომ ასეთ შემთხვევებს ჰქონია აქა-იქ ადგილი.

კაპიტალისტური ელემენტების იზოლიაციის ერთ-ერთ საუკეთესო იარაღს სოფლად წარმოადგენენ კოლექტიური მეურნეობანი, მაგრამ ამისათვის საჭიროა, რომ ეს მეურნეობები ამართლებდენ თავიანთ დანიშნულებას. სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციის და მექანიზაციის ისეთი ტემპით განვითარება, როგორც ამას მოითხოვს ჩვენი სახალხო მეურნეობის ინტერესები, შესაძლებელია კოლექტივიზაციის ფართე გაშლით.

ამიტომ ჩვენმა საკრედიტო ორგანოებმა თავის განსაკუთრებულ ყურადღების საგნათ უნდა დაისახონ კოლექტიური მეურნეობანი. ჩვენი მიზანია კოლექტივიზაციის საშუალებით ეკონომიურად დავრაზმოთ და გავამაგროთ ღარიბი გლეხკაცობა. თავისთავად ცხადია, რომ ეკონომიურად შეუძლო გლეხკაცობის გაერთიანებანი ხშირად ვერ მიაღწევენ მიზანს, თუ მათ დახმარება არ მიეცა სახელმწიფო კრედიტის სახით. ამ მხრივ უკვე გადადგმულია სათანადო ნაბიჯები. ჩვენს საკრედიტო დაწესებულებებს მოცემული აქვთ დირექტივა სოფლად საკრედიტო მუშაობის უფრო მეტად გაფართოების შესახებ იმ აუცილებელი პირობით, რომ კრედიტი მოხმარდეს ღარიბ და საშუალო გლეხკაცობას და პირველ რიგში კოლექტიურ მეურნეობებს.

ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნაკლს კოლექტიურ მეურნეობათა აღმშენებლობაში შეადგენდა ის, რომ არ იყო აქ მეურნეობათა ხელმძღვანელი ცენტრი, არ იყო მჭიდრო ურთიერთობა გლეხთა ცალკე გაერთიანებათა შორის, რაც განსაკუთრებით აუცილებელია ყოველ ახლად შექმნილ ორგანიზაციებისათვის, როგორიცაა გლეხთა კოლექტიური გაერთიანებანი. ამ დარგის მუშაკთა პირველი ყრილობა, რომელიც დღეს იხსნება, უთუოდ გამოასწორებს ხსენებულ ნაკლს.

ჩვენ მივდივართ წინ სოციალიზმის აღმშენებლობის გზით. ამ წინსვლის ერთი მთავარი საწინდარია ქალაქისა და სოფლის მეურნეობის ურყევი კავშირი. სოფლის კოლექტივიზაცია კი ერთ-ერთ საუკეთესო საშუალებას წარმოადგენს ქალაქის სოციალისტურ მეურნეობის დასაკავშირებლად დაქსაქსულ გლეხთა მეურნეობებთან. პარტიამ აიღო მტკიცე კურსი სოფლის კოლექტივიზაციისაკენ. პარტია და მასთან ერთად მთელი მშრომელი მასები შესძლებენ ამ ამოცანის ღირსეულად მოგვარებას.

არჩევნები გადადებულია

საბჭოების გადარჩევა, საბჭოთა კავშირის ცაკის პრეზიდიუმის დადგენილებით, გადადებულია 1928 წლის შემოდგომაზე. ეს დადგენილება გამოწვეულია ცალკე მოკავშირე რესპუბლიკებისა და რ.ს.ფ.ს.რ. ოლქების შუამდგომლობით. შუამდგომლობა გადარჩევის ნაწილობრივი გადადების შესახებ აღძრულ იქნა მოსკოვის, ურალის, ციმბირის და სხ. მხრივ. რით არის გამოწვეული შუამდგომლობა გადარჩევის ნაწილობრივი გადადების შესახებ?

ეს შუამდგომლობა სხვადასხვა გვარი მიზეზებით არის გამოწვეული. ძირითადი ამ მიზეზთაგანი არის ის, რომ ერთსა და იმავე დროს ხვდება რამოდენიმე კამპანია: კოოპერაციის გადარჩევის კამპანია, კოლექტიურ ხელშეკრულებათა გადასინჯვის კამპანია, პურის დამზადების კამპანია, სასოფლო-საბჭოების და ქალაქის საბჭოების სექციების კონკურსი და სხ. ყველა ეს კამპანიები აბრკოლებდენ ისეთი ფართო და მნიშვნელოვანი კამპანიის ჩატარებას, როგორიც არის საბჭოების გადარჩევა.

გარდა ამისა, არსებობს ერთი მეტად მნიშვნელოვანი გარემოება, რომელიც მოითხოვს საბჭოების არჩევნების სხვა დროისათვის გადადებას. საქმე იმაშია, რომ მუშათა და გლეხთა უდიდესმა მასებმა, რომლებიც წარსული არჩევნებით იქნენ ჩაბმულნი საბჭოთა მშენებლობაში, ვერ მოასწრეს მუშაობის კარგად გაცნობა. ასე, მაგალითად, მოსკოვსა და მოსკოვის გუბერნიაში საბჭოების მუშაობაში ჩაბმულია 60.000 კაცი. ეს ამხანაგები ეს არის ეხლა შეუდგენ მუშაობას. რომ ეხლა მოვახდინოთ გადარჩევა, ეს გამოიწვევს მათი მუშაობის შეფერხებას. ეს იყო არჩევნების გადადების ერთ-ერთი მოტივი მოსკოვის საბჭოს შუამდგომლობაში.

საბჭოთა კავშირის ცაკის პრეზიდიუმის გადაწყვეტილება სავსებით მიზანშეწონილია, რამდენადაც იგი მიმართულია იმისაკენ, რომ უზრუნველყოფილ იქნას საარჩევნო კამპანიის ერთდროულად ჩატარება მთელ კავშირში. გადარჩევის ვადის სხვადასხვაობა საბჭოთა სახელმწიფოს უზარმაზარი ტერიტორიის სხვადასხვა რაიონებში ქმნის საფრთხეს ამ მეტად მნიშვნელოვანი პოლიტიკური კამპანიის ჩაშლისათვის. სხვადასხვა ვადებში ჩატარებული არჩევნები შექმნის ისეთ მდგომარეობას, როცა მთელი მუშაობა საბჭოთა მშენებლობის გაფართოებისათვის შეფერხდება, რის თავიდან აცილება მომავალში დიდ სიძნელეს გამოიწვევს. დაჟინებით მოთხოვნა იმისა, რომ საბჭოების გადარჩევა უნდა ჩავატაროთ ეხლავე, რაც არ უნდა დაგვიჯდეს, —ამასთანავე არ გავუწიოთ ანგარიში პირობებს, რომლებიც აბრკოლებენ მუშაობის წინასწარ საარჩევნო და საარჩევნო კამპანიის ჩატარებისათვის,—ის მიზანშეწონილია არა მარტო იმით, რომ საარჩევნო კამპანიის მუშაობაში შეიძლება ადგილი ექნეს დიდ დეფექტებს, არამედ იმიტომაც, რომ ამან შეიძლება არახელსაყრელი გავლენა მოახდინოს დანარჩენ კამპანიებზე, რომელნიც ამ ჟამად მოითხოვენ მთელი ჩვენი ძალების ამოქმედებას.

საბჭოების გადარჩევა, როგორც არა ერთხელ აღვნიშნეთ, მეტად სერიოზულ ყურადღებას და მაქსიმალურ ენერგიას მოითხოვს ყველა პარტიულ, საბჭოთა, პროფესიონალურ, კოოპერატიულ და სხვა ორგანიზაციების მხრივ. შეიძლება თუ არა ამ ყურადღების დაფანტვა ისეთ მნიშვნელოვან კამპანიებს შორის, როგორიცაა საბჭოების გადარჩევა, გადარჩევა კოოპერაციაში და სხვ.? არა. ძალების ასეთი დაქსაქსვა საზიანო იქნებოდა საბჭოების გადარჩევისა და კოოპერაციაში გადარჩევისათვის. ამომრჩეველთა აქტივობის გადიდება, დეპუტატების ფართო ანგარიშგება, ნაკაზების ყურადღებით შედგენა, ახალი საბჭოების კანდიდატების გულმოდგინეთ შერჩევა,—მთელი ეს მუშაობა ვერ ჩატარდება ჯეროვნად, ვინაიდან კოოპერაციაში გადარჩევის კამპანიამ, როგორც არა ერთხელ აღვნიშნეთ, ქალაქისა და სოფლის ყველა ორგანიზაციების ყურადღება უნდა მიიქციოს. ამასთან ერთად, ამ ორგანიზაციებს უდიდესი ამოცანები ეკისრება დამამზადებელ კამპანიის ჩატარებასთან დაკავშირებით.

გადარჩევა გადადებულია. ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენი სახელმწიფო აპარატის ორგანოებზე მასიური კონტროლის ამოცანები უკუგდებულია. სრულიადაც არა, მუშაობა ბიუროკრატიულ გადამახინჯებათა აღმოსაფხვრელად, კამპანია სახელმწიფოებრივ-საზოგადოებრივ მუშაობაში მუშათა, მუშა-ქალთა, გლეხთა, გლეხ-ქალთა ფართო მასების ჩაბმისათვის, გაძლიერებული ტემპით უნდა მიმდინარეობდეს. დეპუტატების ანგარიშები, რომელიც ზოგ ადგილას ძალიან ფართოდ განვითარდა, არ უნდა ჩაიშალოს. ეს ანგარიშგება უნდა ჩატარდეს საქმიანი თვითკრიტიკის ნიშნით, რომელიც გამოასწორებს საბჭოთა ორგანოების ნაკლოვანებებს და გააფართოვებს მათ ინიციატივას სოფლის სოციალისტურ ნიადაგზე გარდაქმნის და ქალაქის მსხვილი მრეწველობის სოციალისტური სექტორის განმტკიცებისათვის. ამომრჩეველთა ნაკაზები, რომელნიც წარსულ არჩევნებში მიეცათ დეპუტატებს, შემოდგომისათვის უნდა იქნეს შესრულებული სავსებით. საანგარიშო კამპანია რომელიც ნაწილობრივ ჩატარდა ამ წელში, გვიჩვენებს, რომ საბჭოების წინაშე, განსაკუთრებით სოფლად, უდიდესი ამოცანები სდგას ნაკაზის იმ ნაწილის ცხოვრებაში გატარებისათვის, რომელიც შეეხება სოფლის კულტურული დონის ამაღლებას, მიწად-მოწყობის გაუმჯობესებას და დაჩქარებას და სხ.

პარტიული ყრილობის გადაწყვეტილებანი სოფლად პარტიის პოლიტიკის საკითხების შესახებ, ხელსაყრელ პირობებს ქმნის გლეხობის იმ მოთხოვნილებათა პრაქტიკული განხორციელებისათვის, რომელნიც საბჭოს დეპუტატებისადმი ნაკაზში იყო გამოთქმული. მიწად-მოწყობის ვადების დაჩქარება, სოფლის კულტურული დონის აწევისათვის წარმოებული მუშაობის განმტკიცება, გლეხთა აქტივის დარაზმვა საბჭოების ირგვლივ, ღარიბთა ჯგუფების შექმნა საბჭოებთან და კოოპერატივებში, ბრძოლა წვრილი საგლეხო მეურნეობიდან მსხვილ კოლექტიურ მიწადმოქმედებაზე გადასვლისათვის, —აი, ეს ამოცანები, რომელნიც დგანან საბჭოების დეპუტატების წინაშე მათი რწმუნებულების ვადის გასვლამდე.

საბჭოების გადარჩევა შემოდგომისათვის გადაიდო. ეს იმას არ ნიშნავს, რომ დეპუტატი, რომელმაც არ გაამართლა ამომრჩეველთა ნდობა, შემოდგომამდე უნდა დარჩეს თავის თანამდებობაზე. საბჭოთა კავშირის მშრომელ მასებს კონსტიტუციით აქვთ ძლიერი საშუალება უმოქმედო, დაუდევარ დეპუტატებზე ზეგავლენის მოხდენისათვის. ეს არის დეპუტატების ვადამდე გამოწვევა 1928 წ. გადარჩევის მზადებასთან დაკავშირებით, ჩვენ უკვე გვქონდა რამოდენიმე შემთხვევა იმისა, რომ ვადამდე გამოიწვიეს დეპუტატები, რომელთაც არ შეასრულეს ამომრჩეველთა ნაკაზები (ლენინგრადი, ოდესა და სხ.). კონსტიტუციის ეს მუხლი, საბჭოების რწმუნებულებათა ვადის გაგრძელების პირობებში აუცილებლად უნდა ახსოვდეთ ყველა ამომრჩეველს და ამ საშუალებით უნდა მოახდინონ ზეგავლენა იმ დეპუტატებზე, რომელნიც თავისი გულგრილობით აბრკოლებენ ჩვენი სოციალისტური მშენებლობის ტემპს.

საბჭოების გადარჩევის გადადება შემოდგომისათვის გაანთავისუფლებს ბევრ ძალებს, რომელნიც სავსებით და მთლიანად უნდა იქნენ გამოყენებულნი სოციალიზმისათვის ბრძოლის სხვა ფრონტებზე. საბჭოების გადარჩევა გადადებულია, და მით უფრო მეტი ძალღონე უნდა მოვანდომოთ დაბალი საფეხურის კოოპერატიულ ორგანოების არჩევნებს, პურის დამზადების გეგმის გადაჭრით გატარებას ცხოვრებაში და მუშაობის გაფართოვებას სასოფლო საბჭოების და ქალაქის საბჭოების სექციების შემოწმებისათვის.

„იზვესტია“ 6 იანვარი.

ამერიკის იმპერიალიზმი საერთაშორისო ასპარეზზე

ლათინური ამერიკა შეერთებულ შტატების წინააღმდეგ

კელოგის პროექტი „მუდმივი ზავის“ შესახებ

მთავრობის შედგენა ლატვიაში დაევალა დემოკრატიულ ცენტრს

კელოგის პროექტი „მუდმივი ზავის“ შესახებ

ვაშინგტონი, 6 იანვარი. როგორც უკვე ვიცით, ბრიანმა წინადადება მისცა ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატებს, რომ საფრანგეთისა და შეერთებულ შტატებს შორის დადებულ იყო ხელშეკრულება იმის შესახებ, რომ ორივე მხარეს უარეყო ომი, როგორც საერთაშორისო კონფლიქტების გადაჭრის საშუალება.

ბრიანის წინადადების პასუხად გარეშე საქმეთა მინისტრმა კელოგმა განაცხადა, რომ ის ასეთი ხელშეკრულების დადებას არ ეთანხმება და სამაგიეროდ წინადადებას იძლევა, რომ ხელშეკრულების დადებაში ჩარეულ იქნან სხვადასხვა სახელმწიფოებიც. ამავე დროს კელოგმა გადაუგზავნა ბრიანს პროექტი საფრანგეთისა და ჩრდილო-ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის საარბიტრაჟო ხელშეკრულების დადების შესახებ და სრულიად განცალკევებული ხელშეკრულების პროექტი ომის უარყოფის შესახებ.

პარიზი, 6 იანვარი. გაზეთებში გამოქვეყნებულია კელოგის ნოტის ტექსტი „მუდმივი ზავის“ ხელშეკრულების შესახებ; ნოტა ჩააბარეს საფრანგეთის ელჩს ვაშინგტონში.

კელოგის წინადადებანი შემდეგში მდგომარეობს:

1908 და 1914 წლებში საფრანგეთსა და ჩრ. ამერ. შეერთებულ შტატებს შორის დადებულ საარბიტრაჟო ხელშეკრულებათა განახლება (ამ ხელშეკრულებათა მოქმედების ვადა გადის 1928 წლის თებერვალში); ამ ხელშეკრულებათა დამატება შესავალ დეკლარაციით, რომელიც უნდა შეეხოს ომის, როგორც კონფლიქტების გადამწყვეტ საშუალების, უარყოფას; დიდ სახელმწიფოთაშორისო ხელშეკრულებების დადება მუდმივი ზავის შესახებ, ისე რომ შემდეგ ყველა სახელმწიფოს შეეძლოს შეუერთდეს ამ ხელშეკრულებას; მუდმივი ზავის ხელშეკრულების მიხედვით მისმა მონაწილეებმა უარი უნდა სთქვან ომზე და ვალად იკისრონ, რომ ყველა კონფლიქტი მშვიდობიანის გზით გადაწყდეს.

გაზეთების ცნობით, 8 იანვარს საფრანგეთის ელჩს ვაშინგტონში ტელეგრაფით ინსტრუქციები გაუგზავნეს იმის შესახებ, თუ რა პასუხი უნდა გასცეს კელოგის ნოტას.

საფრანგეთის პასუხი

პარიზი, 6 იანვარი. ჰავასის სააგენტოს ვაშინგტონელი კორესპონდენტი იუწყება, რომ საფრანგეთის ელჩი ჩრდილო ამერიკის შეერთებულ შტატებში კლოდელი კელოგის წინადადებაზე დამაკმაყოფილებელ პასუხს ჩააბარებს ჩრდ. ამერ. შეერთებული შტატების მთავრობას.

საფრანგეთის პრესა იუწყება, რომ მის მიერ მიღებული ცნობებით, საფრანგეთის გარეშე საქმეთა სამინისტრო მიიღებს კელოგის წინადადების პირველ ნაწილს იმის შესახებ, რომ განახლებულ იქნა საარბიტრაჟო ხელშეკრულება საფრანგეთსა და ჩრდ. ამერ. შეერთებულ შტატებს შორის, ამასთანავე ხელშეკრულებას წინ უნდა უძღოდეს ორივე მთავრობის დეკლარაცია იმის შესახებ, რომ კატეგორიულად უარყოფილ იქნას იმ უთანხმოებათა შეიარაღებული ძალით მოწესრიგება, რომელნიც შეიძლება ორივე სახელმწიფოს შორის დაიბადოს.

მაგრამ, თანაც გაზეთები აღნიშნავენ, რომ ბრიანი ამავე დროს კელოგის წინადადების მეორე ნაწილის შესახებ შენიშნავს და ხაზს გაუსვამს, რომ კელოგის მიერ წამოყენებული პირობები ეწინააღმდეგება საფრანგეთის ვალდებულებას ერთა ლიგის მიმართ (ადს).

კელოგის წინადადება იაპონიისადმი

ტოკიო, 6 იანვარი. ჩრდ. ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა კელოგმა არაოფიციალურად მიმართა იაპონიის ელჩს ჩრდ. ამერიკის შეერთებულ შტატებში და წინადადება მისცა, რომ მოლაპარაკება დაიწყოს „მუდმივი ზავის“ ხელშეკრულების შესახებ (ადს).

დაუესის გეგმის გადასინჯვის გარშემო

პარიზი, 66 იანვარი. „ტანს“ მოჰყავს ვაშინგტონის გაზ. „დჟორნალ ოფ კომერს“-ის ცნობა იმის შესახებ, რომ ჩრ. ამ. შეერთებული შტატების მთავრობა აპირებს საერთაშორისო კონფერენციის მოწვევას დაუესის გეგმისა და მოკავშირეთა ვალების გადასასინჯავად.

მელონი უარჰყოფს

ვაშინგტონი, 6 იანვარი. ჩრდ. ამერიკის შეერთებული შტატების ფინანსთა მინისტრი მელონი ოფიციალურად უარჰყოფს პრესაში გამოქვეყნებულ ცნობებს იმის შესახებ, რომ ჩრდ. ამერ. შეერთებული შტატების მთავრობა აპირებს საერთაშორისო კონფერენციის მოწვევას სამხედრო ვალებისა და დაუესის გეგმის გადასასინჯავად. ამავე დროს ოფიციალურ წრეებში აღნიშნავენ, რომ ჩრდ. ამერიკის შეერთებული შტატები „არ სცნობს ურთიერთ დამოკიდებულებას სამხედრო ვალების საკითხსა და გერმანიის რეპარაციების საკითხს შორის“; ჩრდ. ამერ. შეერთებულ შტატების მთავრობის აზრით, ახლო მომავალში არ შეიძლება გერმანიის სარეპარაციო ვალის საერთო ჯამის გამორკვევა, როგორც ამას ჰილბერტი ჰფიქრობს.

როგორც ეტყობა, ამ განცხადებათა მიზანია ხელი შეუშალოს იმას, რომ საერთაშორისო ფინანსიურმა პრობლემებმა პირველი ადგილთაგანი არ დაიჭირონ იმ კამპანიაში, რომელიც დაკავშირებულია მომავალ საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნებთან.

მორგანის რჩევით

ბერლინი, 6 იანვარი. „ბერლინერ-ტაგებლატის“ ვაშინგტონელი კორესპონდენტის ცნობით, ამერიკის ავტორიტეტულ წრეებში ამტკიცებენ, რომ სარეპარაციო გენერალურ აგენტის პარკერ გილბერტის უკანასკნელი ანგარიში შედგენილია ვაშინგტონის და ნიუ-იორკის დირექტივების მიხედვით. ამ ანგარიშის მიხედვით უნდა მოხდეს რეპარაციების საკითხის ყოველმხრივი გარკვევა მისი საბოლოო მოგვარების მიზნით. მორგანის საბანკო სახლი, განსაკუთრებით დაინტერესებულია ვალების პრობლემის გადაწყვეტაში (ადს).

საბჭოთა კავშირი და უცხოეთი

ფინეთ-საბჭოთა დამოკიდებულების პერსპექტივები

ჰელსინგფორსი 6 იანვარი. გაზეთი „ფინსკი სოციალ-დემოკრატ“-ი უკეთებს რა კომენტარიებს „იზვესტიას“ წერილს სათაურით „ფინეთ-საბჭოთა დამოკიდებულების პერსპექტივები“, უარყოფს ფინეთის სოციალ დემოკრატიულ მთავრობის აგრესიულ საგარეო პოლიტიკას და ამტკიცებს, რომ „ფინეთის დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკის პრინციპი პრაქტიკაში ტარდება ყველა სახელმწიფოების მიმართ თანასწორ ზომიერად და მიუდგომლად; რის გამო საბჭოთა მთავრობას არ შეუძლია წამოაყენოს საფუძვლიანი საყვედური“. ფინეთის საგარეო საქმეთა მინისტრის პროკოპეს განცხადების კრიტიკას „იზვესტიის“ მიერ, გაზეთი უწოდებს „მკითხაობას ან შემცდარ განმარტებას“ და უსაფუძვლოდ მიაჩნია „იზვესტიას“ წერილის ამ ნაწილზე შეჩერება.

დასასრულ, „ფინსკი სოციალ-დემოკრატი“ სინანულს გამოსთქვამს იმის გამო, რომ „საბჭოთა ოფიციოზი უბრალო გაუგებრობის გამო, საგარეო საქმეთა მინისტრის განცხადებას, საბჭოთა კავშირთან მეგობრული დამოკიდებულების შენარჩუნების და განვითარების შესახებ, ახასიათებს, როგორც არაგულწრფელს და იძულებითს“ (ადს).

ლატვია-საბჭოთა ურთიერთობა

რეველი, 6 იანვარი. „ვაბა მაა“ აქვეყნებს დიდ წერილს შემდეგი სათაურით: „ესტონეთის საგარეო პოლიტიკა და საბჭოთა რუსეთი“.

წერილი კვლავ იმეორებს ლატვია-საბჭოთა სავაჭრო ხელშეკრულების წინააღმდეგ მიმართულ ცნობილ ბრალდებებს, ილაშქრებს საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკისა და „იზვესტია“-ში ესტონეთის მთავრობის დეკლარაციის შესახებ მოთავსებულ წერილის წინააღმდეგ. „ეს წერილი ჩვენთვის გაუგებარია —სწერს „ვაბა მაა“. მისი აზრი გამოიხატება შემდეგში: ესტონეთმა უნდა დატოვოს თავისი დამოუკიდებელი და გეგმაშეწონილი საგარეო პოლიტიკა, რომელიც მიმართულია ყველა სახელმწიფოებთან ზრდილობიანი და მეგობრული დამოკიდებულების შექმნისაკენ, სამაგიეროთ კი ესტონეთმა ლატვიის მაგალითის მიხედვით უნდა განამტკიცოს მეგობრობა მხოლოდ მათთან, ვისაც ურჩევს მოსკოვი და ბერლინი“. გაზეთი ესტონეთის ზოგიერთ იმ წრეების საპასუხოდ, რომელთა შორის გაიზარდა ინტერესი ესტონეთ-საბჭოთა სავაჭრო ხელშეკრულების დადებისადმი, სწერს:

„თუ ჩვენ ამ მიმართულებით გავყვებით ლატვიის მაგალითს, ჩვენ შეიძლება სრულიად განმარტოებული დავრჩეთ ჩვენი მეზობლებისაგან. ამ გარემოებას ყურადღება უნდა მიაქციონ იმათ, ვინც ამჟამად ხელმძღვანელობს ესტონეთის ბედ-იღბალს“ (ადს).

ამხ. კრესტინსკი ჰამბურგში

ბერლინი, 6 იანვარი. საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა გერმანიაში **ამხ. კრესტინსკიმ,** რომელიც ჰამბურგში იმყოფება, გამართა დარბაზობა, რომელსაც დაესწრო ჰამბურგის ბურგომისტრი, გერმანიის ელჩი რიგაში, ჰამბურგის სამრეწველო, სავაჭრო და საბანკო წრეების მრავალი წარმომადგენელი. დარბაზობის დროს განხილულ იქნა საბჭოთა კავშირის სამეურნეო და კულტურული განვითარების საკითხები და გერმანია - საბჭოთა კავშირის სამეურნეო და ეკონომიური თანამშრომლობის შესაძლებლობა“.

შეერთებული შტატები და ნიკარაგუა

ვაშინგტონის ლაქია

ნიუ-იორკი, 6 იანვარი. „ასსოშიეტედ პრეს“-ის პანამელი კორესპონდენტი იტყობინება, რომ გავანაში გამგზავრებული ნიკარაგუას (დიასის მთავრობის) საგარეო საქმეთა მინისტრმა კარლოს პასოსმა განაცხადა, რომ ის წინააღმდეგი იქნება პან-ამერიკულ კონფერენციაზე განიხილონ ნიკარაგუაში ომის საკითხი. პასოსი აშკარად იცავს შეერთებული შტატების პოლიტიკას, რომელიც ცდილობს, რომ ნიკარაგუას ომის საკითხი არ იქნას დასმული პან-ამერიკულ კონფერენციაზე. (ადს).

სანდინოს ინსტრუქტორები

ვაშინგტონი, 6 იანვარი. ნიკარაგუაში მომქმედი შეერთებული შტატების ჯარების სამხედრო სარდლობა იტყობინება, რომ ორი ამერიკელი ჯარისკაცი ფრონტიდან გაიქცა. სარდლობა ფიქრობს, რომ ეს ორი ჯარისკაცი მსახურობენ ინსტრუქტორათ სანდინოს ჯარებში, რითაც აიხსნება მათ ჯარებში ტექნიკის გაუმჯობესება და ისეთი ტაქტიკის შემოღება, რომელსაც ჩვეულებრივ შეერთებულ შტატების ჯარებში იყენებენ. (ადს).

დემონსტრაცია ნიკარაგუაში ამერიკის ინტერვენციის წინააღმდეგ

მეხიკო, 6 იანვარი. მეხიკოში გაიმართა მასიური საპროტესტო დემონსტრაცია ნიკარაგუაში შეერთებული შტატების ახალი ინტერვენციის წინააღმდეგ. დემონსტრაცია მოაწყო იმპერიალიზმთან მებრძოლმა ლიგამ. (ადს).

დოლარის დიპლომატია

ნიუ - იორკი, 6 იანვარი. არგენტინის პრესა სასტიკად გმობს ჩრ. ამერიკის შეერთებულ შტატების სამხედრო მოქმედებას ნიკარაგუას ლიბერალების წინააღმდეგ. გაზეთები აღნიშნავენ, რომ ჩრ. ამერ. შეერ. შტატების პოლიტიკა ნიკარაგუაში რადიკალურად ეწინააღმდეგება საერთაშორისო სამართლის პრინციპებს და პანამერიკული გაერთიანების იდეას.

ლათინურ ამერიკის კავშირმა, რომელიც ლათინური ამერიკის თითქმის ყველა ქვეყნების ინტელიგენციის წარმომადგენლებს აერთებს, გამოაქვეყნა დეკლარაცია, რომელშიაც ნათქვამია: „[illegible] ხობა, თავისი დემოკრატიზმით, აწყობს ომს ნიკარაგუას ერთი მუჭა პატრიოტების წინააღმდეგ. როცა შეერთებულ შტატებს [illegible] ომი ან ახალი არმია, ისინი თავის ჯარის [illegible] წინ“ (ადს).

ლათინური ამერიკა ჩრ. ამერ. შეერთებულ შტატების წინააღმდეგ

ნიუ - იორკი, 6 იანვარი. ნიკარაგუას ამბებმა დიდი უკმაყოფილება გამოიწვია ლათინურ ამერიკის ქვეყნებში. იმ ქვეყნების ყველაზე უფრო კონსერვატიული გაზეთებიც კი, სადაც ჩრ.-ამერიკის შეერთებული შტატების გავლენა უფრო ძლიერია, უკმაყოფილო არიან. კონსერვატიული გაზეთი „ელ მერკურიო“, რომელიც ჩილის დედა ქალაქ სანტ-იაგოში გამოდის, სწერს:

„ინტერვენციის განახლების შედეგად მოჰყვება შეერთებულ შტატებისადმი ნდობის დაკარგვა ლათინური ამერიკის მხრით და ამ ქვეყნების საზოგადოებრივ აზრს აამხედრებს შეერთებული შტატების წინააღმდეგ“ (ადს).

ნუევა სეგოვიას დამოუკიდებელი რესპუბლიკა

ნიუ იორკი, 6 იანვარი. „ასოშიეტედ პრესის“ ცნობით ნიკარაგუას ლიბერალების ბელადმა სანდინომ ნუევა სეგოვიას ოლქი გამოაცხადა დამოუკიდებელ რესპუბლიკად. ეს მოხდა ჯერ კიდევ წარსული წლის ივლისში მოძრაობის სხვა ხელმძღვანელთა კაპიტულაციის შემდეგ. სანდინოს მხარს უჭერს გლეხობა, რომელიც მტრულადაა განწყობილი ამერიკელების მიერ დაყენებულ კონსერვატიულ მთავრობისადმი. სანდინოს ჯარების უკანასკნელ გამარჯვებებს შეუძლია გამოიწვიოს ნაციონალური მოძრაობის ახალი ძლიერი ტალღა ნიკარაგუაში (ადს).

„დაახლოვება“ ჩრ. ამერ. შეერთებულ შტატებსა და ლათინურ ამერიკას შორის

ვაშინგტონი, 5 იანვარი. ჩრ. ამერიკის შეერთებულ შტატების საგარეო საქმეთა სამინისტრო დათანხმდა მისცეს ნიკარაგუას სესხი, რომელიც დანიშნულია „სამოქალაქო ომით დაზარალებულთა პრეტენზიების დასაკმაყოფილებლად“.

ამასთანავე ერთად პრეზიდენტ კულიჯმა კონგრესში შეიტანა წინადადება კრედიტების გაცემის შესახებ ჩრ. ამერ. შეერთებულ შტატებსა და ლათინურ ამერიკას შორის 1917 წელში მომხდარ კონფლიქტის დროს ჩრ. ამერიკის შეერთებულ შტატების სამხედრო გემების მიერ მექსიკის ქალაქ ვერა-კრუცისათვის ყუმბარების დაშენით გამოწვეულ ზარალის ანაზღაურებლად.

ნიკარაგუასათვის სესხის მიცემა და კულიჯის წინადადება მექსიკის პრეტენზიების დაკმაყოფილების შესახებ წარმოადგენს ჩრ. ამერიკის შეერთებული შტატებისა და ლათინურ ამერიკის „დაახლოვების“ დემონსტრაციას.

თავისუფალ მოაზროვნეთა კონგრესი კელნში

ბერლინი, 6 იანვარი. კელნში გაიხსნა მუშა თავისუფალ მოაზროვნეთა საერთაშორისო კონგრესი. კონგრესში მონაწილეობას იღებენ სხვადასხვა ქვეყნების თავისუფალ მოაზროვნეთა პროლეტარული ორგანიზაციები. პოლონეთის დელეგაცია დაპატიმრებულია პოლონეთში. ურწმუნოთა საბჭოთა დელეგაცია, გერმანიაში შესვლასთან დაკავშირებულ დაბრკოლებათა გამო, დაგვიანებით ჩამოვა.

პროლეტარულ თავისუფალ მოაზროვნეთა საერთაშორისო გაერთიანების თავმჯდომარე გარტვიგმა წინადადება შეიტანა პატივი ეცათ ივლისის ამბების დროს ვენაში დაღუპულთა ხსოვნისათვის. თავის მისალმებაში გარტვიგმა აღნიშნა, რომ ყრილობაზე უკვე შესაძლებელი გახდება სხვადასხვა ქვეყნების პროლეტარულ თავისუფალ მოაზროვნეთა მოღვაწეობის ანგარიშის მოსმენა.

შემდეგ თავმჯდომარემ გამოაქვეყნა სხვადასხვა ორგანიზაციების მისალმებანი. განსაკუთრებით მქუხარე ტაშით შეეგება კონგრესი მოსკოვისა, ლენინგრადისა და აზერბეიჯანის უნივერსიტეტებისაგან გამოგზავნილ მისალმებელ დეპეშებს. ტაში კიდევ უფრო გაძლიერდა, როცა გარტვიგმა ირონიულად აღნიშნა, რომ გერმანიის უნივერსიტეტებისაგან ჯერობით არც ერთი დეპეშა არაა მიღებული.

თავმჯდომარემ ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ სოციალ-დემოკრატიული პარტიისა და სრულიად გერმანიის პროფკავშირთა გაერთიანების (რეფორმისტული) ცენტრალური კომიტეტები ოფიციალურად არ არიან წარმოდგენილი, ალბათ იმიტომ, რომ ისინი ატარებენ კოალიციის პოლიტიკას ცენტრის პარტიასთან (ცენტრის პარტია, უმთავრესად ემყარება გერმანიის კათოლიკურ მოსახლეობას).

კომინტერნის აღმასკომისა და გერმანიის კომპარტიის სახელით კონგრესს მიესალმა შნელერი, რომელმაც მიუთითა აუცილებლობაზე, რომ პროლეტარულმა თავისუფალმა მოაზროვნეებმა მჭიდროდ დაუკავშირდენ პროლეტარულ ფრონტს კულტურულ რეაქციისა, ფაშიზმისა და ომის საფრთხის წინააღმდეგ საბრძოლველად და საბჭოთა კავშირის დასაცავად.

პროფინტერნის სახელით კონგრესს მიესალმა სტრიუდი, რომელმაც აღნიშნა პირველ რიგში ომის საფრთხესთან ბრძოლის აუცილებლობა და [illegible] როლზე, რომელიც მათ ითამაშეს მუშათა [illegible] განხეთქილების ჩამოსაგდებად წარმოებულ კამპანიაში (ადს).

ინციდენტი ავსტრო-უნგრეთის საზღვარზე

ვენა, 6 იანვარი. სხვადასხვა წყაროებიდან მიღებული ცნობებით, ანტანტას განზრახული აქვს აღძრას საკითხი ერთა ლიგაში და აგრეთვე ელჩთა კონფერენციაზე უნგრეთიდან პოლონეთში ფარულად იარაღის შეზიდვის შესახებ. ერთა ლიგაში საკითხი უნდა აღძრას რუმინეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ტიტულესკომ. ამის შესახებ რუმინეთის შინაგან საქმეთა მინისტრმა დუკამ პრესის წარმომადგენლებს განუცხადა, რომ რუმინეთის მთავრობა უწინარეს ყოვლისა შეეკითხება ვარშავას—ნამდვილად პოლონეთისათვის იყო თუ არა დანიშნული იარაღი, და პოლონეთის მთავრობის პასუხზე იქნება დამოკიდებული რუმინეთის შემდგომი ნაბიჯები. უნგრეთის მთავრობის გაზეთები წინასწარ აცხადებენ, რომ უნგრეთს არავითარი პასუხისმგებლობა არ ეკისრება იარაღის გატანისათვის და რომ არავითარი საფუძველი არ არსებობს მცირე ანტანტის სახელმწიფოების შეერთებული დიპლომატიური გამოსვლისათვის. მთავრობის გაზეთების სიტყვით, არსებულ საერთაშორისო წესების მიხედვით მხოლოდ თვით უნგრეთის მთავრობას აქვს არალეგალური იარაღის ტვირთის მოსპობის უფლება, ამ ტვირთის შესახებ საკითხის აღძვრის უფლება კი მხოლოდ ერთა ლიგას (ადს).

მთავრობის კრიზისი ლატვიაში

რიგა, 6 იანვარი. მემარჯვენე სოციალ - დემოკრატებმა (მენშევიკებმა) უარი განაცხადეს ახალი კაბინეტის შედგენაზე. პრეზიდენტმა ახალი კაბინეტის შედგენა მიანდო დემოკრატიულ ცენტრს. გაზეთების ცნობების თანახმად, დემოკრატიული ცენტრი პირველ რიგში შეეცდება „ცენტრალური ჯგუფის“ შექმნას სეიმში. (ადს).

გასაგები შიში

ნიუ - იორკი, 6 იანვარი. „ოილ-ენდ-გაზ-ჯორნალის“ სპეციალურ ნომერში მოთავსებულია მსოფლიო ნავთის მრეწველობის მდგომარეობის მიმოხილვა და, სხვათა შორის, რამოდენიმე წერილი საბჭოთა ნავთზე.

ერთ-ერთ წერილში მოთავსებულია ვრცელი მიმოხილვა საბჭოთა კავშირის ნავთის მრეწველობის მიღწევებისა, როგორც წარმოების, ისე განაწილების დარგში. წერილის ავტორი წინასწარმეტყველებს საბჭოთა ნავთის მრეწველობის შემდგომ პროგრესს. დასასრულ წერილის ავტორი სწერს:

„საბჭოთა ნავთი მსოფლიო ბაზარზე პოულობს სულ უფრო და უფრო დიდ გავლენას. იმ ორგანიზაციების შიში, რომელნიც კონკურენციას უწევენ საბჭოთა ნავთს, სავსებით გასაგებია“ (ადს).

გამოფენა ქაბულში

ქაბული, 6 იანვარი. ქაბულში გაიხსნა საბჭოთა საქონლის ნიმუშების პირველი გამოფენა. გამოფენის გახსნას დაესწრენ ავღანისტანის ხელისუფლების წარმომადგენლები, ავღანისტანის ვაჭართა წარმომადგენლები და საბჭოთა კოლონიის წევრები სავაჭრო და დიპლომატიურ წარმომადგენლების მეთაურობით. გამოფენა და საბჭოთა ტექნიკური გამოცემათა განყოფილება დიდ ინტერესს იწვევს (ადს).

ბრძოლა ჩინელ მილიტარისტების ბანაკში

ამხ. პოხვალინსკის განცხადება

შანხაი, 6 იანვარი. შანხაიში ჩამოსვლის შემდეგ პოხვალინსკიმ საკავშირო დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტს დაავალა გადაეცა შანხაის პრესისათვის შემდეგი განცხადება:

„რეიტერის სააგენტოს 30 დეკემბრის დეპეშა ამტკიცებდა, თითქოს გენერალურმა კონსულმა კანტონში პოხვალინსკიმ რეიტერის სააგენტოს ჰონკონგელ წარმომადგენელს განუცხადა, რომ კანტონის ჩინური ხელისუფლება საბჭოთა თანამდებობის პირებს ბრალს სდებდა იმაში, რომ მათ მონაწილეობა მიიღეს კანტონში 11 დეკემბერს გამართულ ბრძოლაში, და რომ ეს ბრალდება გახდა საბჭოთა თანამდებობის პირთა სიკვდილით დასჯის მიზეზი. პოხვალინსკი აღნიშნავს, რომ მას არასოდეს არ გაუკეთებია ასეთი განცხადება. არც ერთ საბჭოთა თანამდებობის პირისათვის კანტონში არასოდეს არავითარი ბრალდება არ წაუყენებიათ. ისინი პირდაპირ წაიყვანეს საკონსულოდან და მოჰკლეს. როგორც ჩანს მკვლელობის შემდეგ დაინტერესებულმა წრეებმა გაავრცელეს ხმორი, თითქოს საბჭოთა თანამდებობის პირები მონაწილეობას იღებდენ კანტონის აჯანყებაში. საქმის ფაქტიური ვითარება კი ასეთია: **საკონსულოს თავს დაესხენ ჩინელი ჯარის კაცები და გაძარცვეს, ხოლო საკონსულოს შენობაში მცხოვრები პირები წაიყვანეს. კანტონში იყო სულ 5 მამაკაცი—საბჭოთა მოქალაქე, გარდა გენერალური კონსულისა და ხუთივე მოჰკლეს“.**

6 იანვარს პოხვალინსკი და ის პირები, რომლებიც მას ახლდენ, შანხაიდან იაპონიის გავლით გაემგზავრენ საბჭოთა კავშირში.

პოხვალინსკი, რომელსაც, როგორც დეპეშა იტყობინებოდა, არ დართეს შანხაიში გადასვლის ნება, გემზე ინახულეს გერმანიის გენერალურმა კონსულმა და ჩინეთის ხელისუფლების წარმომადგენელმა.

სამხედრო კონფერენცია ხანკოუში

ტოკიო, 6 იანვარი იაპონიის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ხანკოუს იაპონიის კონსულისაგან მიიღო შემდეგი ცნობა.

„ხანკოუში ამ ჟამად გამართულია სამხედრო კონფერენცია, რომელიც იხილავს შანხაისა და ხენანის პროვინციაში შექმნილ მდგომარეობას. კონფერენციაში მონაწილეობას იღებენ ბი-ცზუნ-ხი, ლი-ცზუნ-ჟენი და ჩენ-ჩიენი.

ბაი-ცზუნ-ხის მდგომარეობა ცზიანსუს პროვინციაში ჩან-კაი-შის გავლენის ზრდის გამო, საგრძნობლად გაუარესდა. მეორე მხრით, ბაი-ცზუნ-ხის ჯარები ხანკოუში, მისი იქ არ ყოფნის დროს, განაიარაღეს. ხე-ცზუნ-დოსა და ჩენ-ჩიენს შორის მწიფდება კონფლიქტი. მთელი რიგი გენერლები, რომლებიც წინად ტან-შენ-ჩის ემხრობოდენ და რომლებიც თავიანთი ჯარებით ხენანის პროვინციაში იმყოფებიან, ჩან-კაი-შისთან თანამშრომლობენ. ამრიგად ბაი-ცზუნ-ხის ორი მხრიდან ელის თავდასხმა. ამიტომ მოსალოდნელია, რომ სამხრეთ-ჩინეთის მდგომარეობაში მოხდება ერთგვარი ცვლილება (ადს).

კომუნისტური მოძრაობა ხუბეიში

შანხაი, 6 იანვარი. შანხაის გაზეთების ცნობით, ხუბეის პროვინციაში ძლიერდება მასიური კომუნისტური მოძრაობა.

დახვრეტა კომპარტიის წევრობისათვის

შანხაი, 6 იანვარი. ხანკოუში დახვრიტეს ეუ-ზეე-ხაი, რომელსაც ბრალს სდებდენ კომუნისტური პარტიის წევრობაში. (ადს).

მილიტარისტების თარეში

ტოკიო, 6 იანვარი. „ტოკიო ასახი“ აქვეყნებს თავის შანხაელ კორესპონდენტის ცნობას გომინდანის შიგნით არსებულ სხვადასხვა ჯგუფების ბრძოლის შესახებ. ცნობაში ნათქვამია: ჩან-კაი-შის ჯგუფის მუშაობასთან ერთად, რომლის მიზანია ნანკინის მთავრობის ხელში ჩაგდება, ჩან-კაი-შის მოწინააღმდეგეები, რომელთაც ამჟამად უჭირავთ პროვინციები ცზიანსი, ხენანი და ხუბეი; გადადიან კონტრ-შეტევაზე და თავს უყრიან ხანკოუში თავის ჯარებს ბაი-ცზუნ-ჩის სარდლობით. რადგან გამოირკვა, რომ ჩან-კაი-შის სურს კონტროლი გაუწიოს უხანში არსებულ მდგომარეობას ხო-ჩუენის ჯარების დახმარებით, უხანელი მილიტარისტები ემზადებიან გამოსვლისათვის, რათა გზა გადაუჭრან ფინ-იუ-სიანის არმიებს და ხენანის ჯარებს. ბაი-ცზუნ-ჩიმ დეპეშით პროტესტი გაუგზავნა ნანკინის მთავრობას ჩან-კაი-შის მთავარსარდლად დანიშვნის წინააღმდეგ.

უხანის ახალ ჯგუფში შედიან გენერლები: ჩენ-ჩიენი, ლი-ცზუნ-ჟენი, ხუ ცზუნ დო; ფან ჩენ-სიუ. ამ ჯგუფის განკარგულებაშია 230.000 კაცისაგან შემდგარი არმია. ჩან-კაი-შის მდგომარეობა არც ისე კარგია.

„ოსაკა მაინიჩი“-ს ნანკინელი კორესპონდენტი იტყობინება, რომ ნანკინში ჩავიდა ჩან-კაი-ში. მისი ჩასვლის საპატივცემლოდ გაიმართა დიდი ბანკეტი. ბანკეტზე ჩან-კაი-შიმ თავის სიტყვაში გამოაცხადა: „ჩემი ჩამოსვლის მიზანია გომინდანის კონფერენციის მოწვევა და ჩრდილოეთის ექსპედიციის განახლების დაჩქარება“.

კორესპონდენტის სიტყვით, გომინდანის ცეკას პლენუმის გახსნას მოელიან 18 იანვრისათვის (ადს).

ფინ იუ-სიანი გადადის

შანხაი, 6 იანვარი. ნანკინის სააგენტოს „გომინ“-ის ცნობით, ფინ-იუ-სიანის ჯარებმა დაიკავეს ტაინანფუ, რომელიც მდებარეობს შანდუნის პროვინციის დედა-ქალაქის ცზინანფუს სამხრეთით 50 კილომეტრის მანძილზე (ადს).

ვან-ჩენ-ლანის გამგზავრება

პეკინი, 6 იანვარი. ვან-ჩენ-ლანმა (ტიბეტის სამღვდელო პირი, რომელიც ცენტრალურ ჩინეთში ჩამოვიდა ლხასადან ერთი წლის წინად და უკანასკნელ ხანებში მჭიდრო კონტაქტში ჩან-ძო-ლინთან) განაცხადა, რომ მზად არის იკისროს შუამავლობა მოლაპარაკებაში ჩან-ძო-ლინსა და ენ სი-შანს შორის. ვან-ჩენის წარმომადგენელს მიიღებს ჩან-ძო-ლინი, რის შემდეგაც იგი გაემგზავრება ენ სი-შანთან მოსალაპარაკებლად (ადს).

გომინდანის ცეკას პლენუმი გადადებულია

შანხაი, 6 იანვარი. გაზეთ „სინ ვან ბაო“-ს ცნობით, გომინდანის ცეკას და ცენტრ. საკონტროლო კომისიის პლენუმი, რომელიც ნანკინში უნდა გახსნილიყო, გადაიდო იმის გამო, რომ გათიშვა მოხდა გომინდანის შიგნით (ადს).

ზომიერი პოლიტიკის მომხრეები

ნიუ-იორკი, 6 იანვარი. როგორც „ასოშიეტედ პრესის“ სააგენტო იუწყება, ლი-ტა-სინს, რომელიც ჰონკონგიდან კანტონში დაბრუნდა, მხარს უჭერენ ჩინეთის ბურჟუაზიული წრეები. ეს წრეები უკმაყოფილო არიან იმ სისხლიანი ტერორით, რომელიც მძვინვარებდა კანტონში აჯანყების ჩაქრობის შემდეგ, და მოითხოვენ უფრო ზომიერ პოლიტიკას. (ადს).

პროფკავშირების დახურვა კანტონში

ნიუ-იორკი, 6 იანვარი. „ასოშიეტედ პრესის“ სააგენტოს ცნობით, კანტონში ჩინეთის ხელისუფლებამ დახურა მთელი რიგი პროფკავშირები. დაპატიმრებულია ფოსტის მოსამსახურეთა კავშირის ხელმძღვანელები. (ადს).

ჩინეთი და იაპონია

პეკინი, 6 იანვარი. პრესის წარმომადგენლებთან საუბრის დროს იაპონიის ელჩი პეკინში **იოშიზავა** შეეხო მოლაპარაკებას, რომელიც იაპონიასა და პეკინის მთავრობის შორის სწარმოებს მანჯურიისა და მონღოლეთის შესახებ. იოშიზავამ აღნიშნა, რომ ეს მოლაპარაკება წარმატებით მიდის წინ, მაგრამ ამასთანავე განაცხადა, რომ მას არ შეუძლია იწინასწარმეტყველოს: მოწესრიგდება თუ არა მოლაპარაკებით ძირითადი პრობლემები იაპონიის პარლამენტის სესიის გახსნამდე, ე. ი. 20 იანვრამდე.

შემდეგ იოშიზავამ აღნიშნა, რომ იგი სცდილობს, რაც შეიძლება დაჩქარებით წარმატებით დაამთავროს მოლაპარაკება და რომ მოლაპარაკებამ ისეთ საფეხურებამდე მიაღწია, როცა არსებობს შესაძლებლობა ჩინეთსა და იაპონიის შეთანხმებისათვის. (ადს).

მუშების ბრძოლა

შრომის რაინდების ფედერაციის მოწოდება

პარიზი, 6 იანვარი. ბრიუსელიდან იტყობინებიან, რომ შრომის რაინდთა ფედერაციამ (ბელგიის რევოლიუციონურ - სინდიკალისტური პროფკავშირული ორგანიზაცია) მოწოდებით მიმართა ბელგიის ყველა სამთომადნო მუშებს შექმნან ერთიანი ფრონტი მწარმოებელთა შეტევის მოსაგერიებლად, რომელმაც მწვავე ხასიათი მიიღო სამთო მრეწველობაში შექმნილ კრიზისის გამო. მოწოდებაში წამოყენებულია მთელი რიგი კონკრეტიული მოთხოვნილებები, მათ შორის უმუშევართათვის სახელმწიფო დახმარების გაცემა, მათთვის დახმარების გადიდება, ხელფასის მინიმუმის დაწესება, რომელიც შედგენილი უნდა იყოს ომის წინა დროის საშუალო ხელფასის მიხედვით, სამუშაო დღის შემცირება და სხვ. (ადს).

კონფლიქტი შვეციის ქაღალდის მრეწველობაში

სტოკჰოლმი, 6 იანვარი. იმის შიშით, რომ შვეციის ქაღალდის მრეწველობაში შექმნილი კონფლიქტი არ გავრცელდეს მრეწველობის სხვა დარგებშიაც, მთავრობამ დანიშნა სპეციალური კომისია, რომელიც შესდგება 5 კაცისაგან, და რომელმაც თვალყური უნდა ადევნოს კონფლიქტის განვითარებას. კომისიაში შედის 3 გუბერნატორი; კომისიის ამოცანა გამოიხატება იმაში, რომ საჭირო დროს ის ჩაერიოს კონფლიქტში. კომისიის პირველი სხდომა დანიშნულია 9 იანვრისათვის (ადს).

ბომბეის ფეიქართა გაფიცვა იზრდება

ლონდონი, 6 იანვარი. ბომბეიდან იტყობინებიან, რომ ხუთი ფაბრიკიდან, რომელთა მუშები გაფიცული იყვნენ, სამი ფაბრიკის მუშებმა განაახლეს მუშაობა გუშინ დილით. შემდეგ ამ სამი ფაბრიკიდან ორი ხელმეორედ გაიფიცა. გაფიცვას შეუერთდა კიდევ ორი საფეიქრო წარმოება. ასე რომ, ბომბეის 18 საფეიქრო წარმოებიდან ამჟამად გაფიცულია 6, რომელიც აერთიანებს 15.000 კაცს (ადს).

გერმანელ მელითონეთა ბრძოლა მწვავდება

ბერლინი, 7 იანვარი. გერმანიის მელითონეთა ადგილობრივმა განყოფილებამ ბოხუმში იმდენი მოახერხა, რომ შრომის სამინისტროს ორგანოებს ისეთი განკარგულება გამოაცემინა, რომლის მიხედვით ფოლადის კონცერნის „ფერეინ დეიტშერ შტალვერკე“ წარმოებებში დაუყოვნებლივ უნდა განხორციელებულიყო სამედიატორო გადაწყვეტილება სამუშაო დროის ხანგრძლივობის საკითხზე. ეს გადაწყვეტილება რამოდენიმედ ამოკლებდა ამ წარმოებებში არსებულ 10—12 საათის სამუშაო დღეს.

კონცერნის ადმინისტრაციის პროტესტის [illegible] სამედიატორო სასამართლომ გააუქმა შრომის სამინისტროს გადაწყვეტილება, რამაც დიდი აღშფოთება გამოიწვია მუშებში. მაშინ მელითონეთა კავშირმა წინადადება მისცა ამ კონცერნის წარმოებათა მუშებს დაეტოვებინათ მუშაობა 8 საათის გასვლის შემდეგ. მუშების საერთო კრებამ ერთხმოვნად მიიღო ეს წინადადება და დაუყოვნებლივ გაატარა იგი ცხოვრებაში. გერმანიის კომპარტიამ გამოუშვა ფურცლები, რომელშიც მოუწოდებს ბოხუმის ყველა მელითონეებს მიბაძონ ფოლადის კონცერნის მუშებს და მათთან ერთად დაიწყონ ბრძოლა 8 საათის სამუშაო დღისათვის და სამუშაო ხელფასის გადიდებისათვის (ადს).

საარჩევნო სამზადისი პოლონეთში

ვარშავა, 6 იანვარი. პიასტის პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა თავის სხდომაზე ვიტოსისა და რატაის თავმჯდომარეობით, დაადგინა პრინციპიალურად მოიწონოს ქრისტიანულ დემოკრატებთან საარჩევნო ბლოკის პროექტი. ამ დღეებში იმავე საკითხს პრინციპიალური თვალსაზრისით განიხილავს ქრისტიანულ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტი.

ვარშავა, 6 იანვარი. მთავრობის გაზეთები ზეიმობენ ნაციონალურ უმცირესობათა ბლოკის შექმნის უშედეგო ცდის გამო. ამასთანავე ნაციონალურ უმცირესობათა ბლოკის შექმნის იდეას ფრთხილად „ივიწყებს“ ებრაელთა ორგანო „ნაშ პშეგლონდ“, რომელიც აქამდე თავგამოდებით იცავდა ბლოკს. „ნაშ პშეგლონდ“ აცხადებს, რომ ებრაელთა ნაციონალური ბლოკის შექმნა უფრო მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს, ვიდრე მანდატებისათვის გამოდევნება, სხვა ნაციონალურ უმცირესობებთან ბლოკში (ადს).

წყალდიდობა ლონდონში

სანაპირო ქუჩები წყალქვეშ

ლონდონი, 6 იანვარი. 7 იანვარს ღამით მდ. ტემზამ გადალახა ნაპირები და წალეკა ლონდონის ყველა სანაპირო ქუჩები. მდინარის რაიონში შეჩერდა ტრამვაის მოძრაობა.

ადიდებულმა მდინარემ გადაუარა პარლამენტის და ვესტმინსტერის სააბატოს ტერრასებს. სანაპირო ქუჩებზე მდებარე მოედნები დაფარულია რამოდენიმე დიუმის სიღრმე წყალით.

წყალი მატულობს

ლონდონი, 6 იანვარი. ვესტმინსტერის რაიონში წყალმა დაფარა ყველა ქუჩები. წყლის სიღრმე აღწევს რამდენიმე ფუტს. სხვა დიდ შენობებს შორის წყალმა აავსებით მოსწყვიტა ქალაქს ტოუერი (ლონდონში ცნობილი კოშკი) და კენტერბერიის არქიეპისკოპოზის სასახლე.

ქალაქის მუშათა უბნებში ზარალი დიდია. წყალდიდობამ დაანგრია რამდენიმე შენობა. წყალში დაიღუპა მრავალი (სარდაფის ხართულების) მცხოვრებლები. პოლიცია წინადადებას აძლევს მცხოვრებთ, დასტოვონ წყალდიდობის მხრივ საფრთხილო ქუჩები.

წყალი კვლავ მატულობს (ადს).

ლონდონი, 7 იანვარი. 6 იანვარს ინგლისზე გადაიარა ძლიერმა ქარიშხალმა, რომელმაც დიდი ზარალი გამოიწვია, ბევრი ხალხი დახოცა და დაასახიჩრა ჩამონგრეულმა კედლებმა და ძირფესვიანად ამოგლეჯილმა ხეებმა. ტალბერის ახლოს მოხდა გემების დაჯახება. იორკშირში ქარიშხალი განსაკუთრებით ძლიერი იყო. მნიშვნელოვან მატერიალურ ზარალს გარდა იორკშირში მოკლულია 4 და დაჭრილია რამოდენიმე ასეული კაცი (ადს).

ლონდონი, 7 იანვარი. წყალდიდობის გამო 7 იანვარს ღამით ლონდონში დაიხრჩო 11 კაცი. 7 გვამი მიტანილია ვესტმინსტერის მორგში. გრძელდება წყალდიდობის დანარჩენ მსხვერპლთა ძებნა (ადს).

ლონდონი, 7 იანვარი. დღემდე წყლიდან ამოღებულია წყალდიდობის მსხვერპლთა 17 გვამი. დაღუპულთა უმრავლესობა მუშებია, რომლებსაც წყალდიდობამ მოუსწრო ძილის დროს—სარდაფებში (ადს).

ნაცადი საშუალებით

ნიუ-იორკი, 6 იანვარი. ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო სამინისტრო თავის წლიურ ანგარიშში საჭიროდ სთვლის კონტროლის გაძლიერებას ფილიპინის კუნძულებზე. სამხედრო სამინისტრო აშკარად მოითხოვს ფილიპინის კუნძულების მოსახლეობის პოლიტიკურ და ეკონომიურ ყვლეფის მეთოდის გამოყენებას ამერიკელ კაპიტალისტების ინტერესების უზრუნველსაყოფად.

ემიგრანტები ოსმალეთში

ანგორა, 6 იანვარი. გაზეთ „რეპუბლიკის" ცნობით საეჭვოა, რომ ოსმალეთის ხელისუფლება დასთანხმდეს რუს თეთრგვარდიელებისათვის ოსმალეთში დარჩენის ვადის გაგრძელებაზე. (ეს ვადა თავდება 1928 წ. 4 თებერვალს). რიცხვი იმ ემიგრანტების, რომელთაც ჯერ არ დაუტოვებიათ ოსმალეთი, უდრის 1.500 კაცს. ემიგრანტებს, რომელნიც 8 თებერვლამდი ნებაყოფლობით არ გაემგზავრებიან, თავს მოუყრიან ერთ ადგილას და გადაასახლებენ საზღვარ - გარეთ (ადს).

კომუნისტების დევნა

პარიზი, 6 იანვარი. ტულონში მეზღვაურებს შორის მომხდარ მღელვარების შესახებ მოთავსებულ წერილისათვის საფრანგეთის კომპარტიის ორგანო „იუმანიტე"-ს რედაქტორს ფიულს მიუსაჯეს 8 თვის ციხე. ამ გაზეთის მეორე რედაქტორს ფრანსუა ბეის 8 წლის ციხე, საფრანგეთის კომკავშირის ორგანო „ავანგარდ"-ის რედაქტორ ფურკადს—ერთი წლის ციხე, კომპარტიის პარიზის რაიონული ორგანიზაციის ორგანო „ობ ხოხიალ"-ის რედაქტორს მიშელს ორ საქმეზე მიუსაჯეს თითო წლის ციხე თვითეული საქმისათვის. ყველა ბრალდებულებს მიუსაჯეს აგრეთვე ფულადი ჯარიმაც (ადს).

შეთქმულების აღმოჩენა

ანგორა, 6 იანვარი. ანატოლიის დეპეშათა სააგენტო იუწყება, რომ სტამბოლის პოლიციამ აღმოაჩინა შეთქმულება, რომელიც მიზნად ისახავდა რუმინეთის პრინცის—კაროლის გამეფებას რუმინეთში. შეთქმულებას ხელმძღვანელობდა რუმინეთის კავალერიის ოფიცერი საბრი და პოლკოვნიკი ვასილიესკუ. რუმინეთის სასამართლომ საბრის, მის დაუსწრებლად, მიუსაჯა სიკვდილი. შეთქმულების მონაწილენი სტამბოლში ფარულად ბეჭდავდენ პროკლამაციებს, რომლებსაც შემდეგ გზავნიდენ რუმინეთში. შეთქმულების მონაწილეებს განზრახული ჰქონდათ ჰაეროპლანით კაროლის გადაყვანა რუმინეთში (ადს).

ანგორა, 6 იანვარი. ანატოლიის დეპეშათა სააგენტო იუწყება, რომ სტამბოლში აღმოჩენილ შეთქმულების გარშემო პრესის წარმომადგენლებთან გამართულ საუბარში სტამბოლის გუბერნატორმა და პოლიციის პრეფექტმა განაცხადეს, რომ მათ ამის შესახებ არაფერი იციან რა. რუმინეთის ყოფილმა ოფიცერმა, რომელიც თითქოს ხელმძღვანელობდა შეთქმულებას, ერთ-ერთ გაზეთის წარმომადგენელთან საუბარში განაცხადა, რომ მას არავითარი დამოკიდებულება არა აქვს შეთქმულებასთან და რომ ის მალე გაემგზავრება პარიზში პირადი საქმეების მოსაწესრიგებლად (ადს).

საბჭოების გადარჩევის გადატანა შემოდგომაზე

მოსკოვი, 7 იანვარი. ვინაიდან ცალკე მოკავშირე რესპუბლიკებმა აღძრეს შუამდგომლობა საბჭოების არჩევნების ნაწილობრივ გადატანის შესახებ 1928 წლის სხვადასხვა ვადებში და ამის გამო წარმოიშვა საჭიროება მთელ საბჭოთა კავშირისათვის დაწესებულ იქნეს საარჩევნო კამპანიის ჩატარების საერთო ვადა, საკავშირო ცაკმა, 1927 წ. 19 ნოემბრის დადგენილების შესაბამისად, დაადგინა: წინადადება მიეცეს მოკავშირე რესპუბლიკების ცაკებს საბჭოების გადარჩევა და სათემო (სარაიონო) სამაზრო, საგუბერნიო და საოლქო საბჭოების ყრილობების მოწვევა გადაიტანონ 1928 წლის შემოდგომაზე. (ადს).

გოტო იაპონია-საბჭ. კავშ. ურთიერთობის შესახებ

მოსკოვი, 7 იანვარი. ვიკონტ გოტოს მისია ამ დღეებში გაემგზავრება მოსკოვიდან. ორი კვირის განმავლობაში გოტომ დაათვალიერა ლენინგრადის და მოსკოვის ფაბრიკა-ქარხნები, სამეცნიერო და სხვ. დაწესებულებები.

საკავშირო დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტთან საუბარში გოტომ განაცხადა:

„ყველაფერი, რაც მე ვნახე, მოწმობს, რომ საბჭოთა კავშირის მრეწველობა არა თუ უკვე აღდგენილია, არამედ უკვე შემდგომი განვითარების გზაზე სდგას და იყენებს თანამედროვე ტექნიკის ყველა მიღწევებს.

საერთოდ მე საუკეთესო შთაბეჭდილება მივიღე საბჭოთა კავშირში და ეს მე მარწმუნებს, რომ საჭიროა კიდევ მეტი ენერგიით ვიმუშაოთ ამ ორი ხალხის დაახლოვებისათვის. ამჟამად კიდევ ძნელია საამისო კონკრეტიულ ღონისძიებების დასახვა. საჭიროა, რომ ორივე სახელმწიფომ უფრო ყურადღებით და სერიოზულად ასწონ - დასწონოს თავისი ნაბიჯები ამ გზაზე. [illegible] ყველაზე უმთავრესია ურთიერთობა.

იაპონიის საზოგადოებრივობას და საქმიან წრეებს გულწრფელად სურთ საბჭოთა კავშირთან ეკონომიური დაახლოვება. მაგრამ ამ სურვილის განხორციელებას წინ ეღობება სხვადასხვა დაბრკოლებები. საჭიროა ურთიერთ დათმობის გზით ამ დაბრკოლებების აღმოფხვრა".

პოლონელ პოლიტიკურ პატიმრების შეხვედრა

მოსკოვი, 7 იანვარი. 6 იანვარს მოსკოვის პროლეტარიატი ზეიმით შეხვდა პოლონელ პოლიტიკურ პატიმრებს, რომლებიც გადაცვლილ იქნენ საბჭოთა კავშირში დაპატიმრებულ პოლონელ მოქალაქეებზე.

პატიმრებს სადგურში შეხვდენ პოლონელი პოლიტემიგრანტები, პოლონელთა კომუნისტური კლუბის წევრები, რემდასის უჯრედების დელეგაციები და წევრები.

სადგურში გაიმართა მიტინგი. მისალოცი სიტყვები წარმოსთქვეს სირინმა, ფელიქს კონმა, კლასმანმა და სხვ.

პოლონეთის პატიმრების სახელით მისალმებების პასუხი სთქვა ამხ. გუელრაკმა.

პოლიტპატიმრები სადგურიდან გაემართნენ მოედნისაკენ. სადაც ლენინის ძეგლთან კვლავ გაიხსნა მიტინგი. მისასალმებელი სიტყვები წარმოსთქვეს რემდასის აღმასკომის გერმანულ სექციის წარმომადგენელმა ამხ. შმიდტმა, იტალიის კომპარტიის [illegible] ხელმძღვანელმა და რემდასის იტალიური სექციის წარმომადგენელმა მარაბინიმ და სხ.

საპასუხო სიტყვით გამოვიდა ამხ. რაიხერტი, რომელმაც მადლობა გადაუხადა წითელი მოსკოვის პროლეტარიატს და განაცხადა, რომ 6000 პატიმარი კიდევ იმყოფება პოლონეთის ციხეებში; მათ იმედი აქვს, რომ თავისუფლებას მიანიჭებს ძლევამოსილი რევოლუცია.

სამზადისი 7 საათის სამუშაო დღის შემოსაღებათ

მოსკოვი, 7 იანვარი. 6 იანვარს შესდგა სახკომსაბჭოსთან არსებული, 7 საათის სამუშაო დღის შემომღები კომისიის გაფართოებული თათბირი, რომელსაც დაესწრენ აგრეთვე ფეიქართა პროფკავშირის წარმომადგენლები. თათბირზე განხილულ იქნა საფეიქრო მრეწველობის წარმოებებში 7 საათის სამუშაო დღის და სამცვლათ მუშაობის შემოღების საკითხი.

კომისიამ დაადგინა, რომ სამ ცვლათ მუშაობა შემოღებულ იქნეს 14 საფეიქრო წარმოებაში. გარდა ამისა, კომისიამ მიანდო ფეიქართა პროფკავშირის ცენტრ. კომიტეტს და მთავარ საფეიქრო სამმართველოს გამოყონ ერთი ფაბრიკა, სადაც შემოღებული იქნება სამცვლათ მუშაობა და 7 საათის სამუშაო დღე. ყველა აღნიშნულ წარმოების სამცვლად მუშაობაზე გადასვლისა და 7 საათის სამუშაო დღის შემოღების გამო, საჭირო ხდება 17—18.000 მუშის დაქირავება.

კომისიამ ამასთანავე საჭიროდ სცნო, რომ არც ერთი კვალიფიციური მუშა-ხელი არ იქნეს გაცდენილი და ყველა ის მუშები, რომლებიც სხვა წარმოებებიდან განთავისუფლდენ, შემოკლებისა ან რაციონალიზაციის გამო, — გამოყენებულ იქნენ მესამე ცვლაში სამუშაოდ. ღამის სამუშაოზე დაშვებულ არ იქნებიან ორსული და ძუძუმწოვარა ბავშებიანი მუშა-ქალები.

7 საათის სამუშაო დღის შემოღების გამო, შემუშავებული იქნება ხელფასის ცალკე განაკვეთები, რაც ძალაში შევა კოლხელშეკრულებათა დამატებების წესით. კომისიამ გადასწყვიტა მთელი აღნიშნული წინასწარი სამზადისი დაამთავროს 10 იანვრამდე, ხოლო 15 იანვრიდან ყველა 14 წარმოებაში შემოღებული იქნება 7 საათის სამუშაო დღე სამ ცვლად. (ადს).

ფინელ ჯაშუშების საქმე

ლენინგრადი, 7 იანვარი. ფინელი ჯაშუშების შესახებ დაწყებული სამოსამართლო ძიება დასრულდა. ძიების ბოლოს, პაუკკუ, რომელიც ყოველთვის უარყოფდა თავის დანაშაულს, მოულოდნელად გამოტყდა ჯაშუშობაში. იგი ადასტურებს, რომ იგი ნამდვილად ფინეთის მეორე დივიზიის კონტრ-დაზვერვის აგენტია და რომ იგი, თანახმად სალონიარვის წინადადებისა კრებდა სამხედრო ხასიათის ცნობებს (ადს).

მზადება

საქართველოს გასაბჭოების 7 წლის და წითელ-არმიის არსებობის 10 წ. თავის აღსანიშნავად.

საქართველოს გასაბჭოების 7 წლის და წითელარმიის არსებობის 10 წლის თავის ზეიმის ჩასატარებლად საქართველოს ცენტრ. აღმასრ. კომიტეტის პრეზიდიუმმა დაარსა კომისია შემდეგი შემადგენლობით: ამხ. ფ. მახარაძე (თავმჯდომარე), შ. მათიკაშვილი, ს. მამულია, ვასილიევი, ალნიაშვილი, შ. ოკუჯავა, გობეჩია, ფირალოვი, იმედაძე და ბერია.

გურიის ნავთი

გურიის ნავთის საძიებარი სამუშაოები ამჟამად ასეთ მდგომარეობაშია: ჭაბურღილის 300 მეტრის სიღრმეზე ამოღების შემდეგ მუშაობა დროებით შეწყვეტილ იქნა და დაიწყო ამოღებულ სიღრმეზე ჭაბურღილის ამოცემენტება. ამ ერთი კვირის წინეთ ამოცემენტებაც დასრულდა და მუშაობის მწარმოებელი პარტია შეუდგა ჭაბურღილში [illegible] დაბანდებული მილების ამოღებას.

მუშაობის გასაგრძელებლათ ბაქოდან გამოწერილია მცირე დიამეტრიანი საბურღი მოწყობილობა, რომლის მიღებისთანავე დაიწყება მისი დადგმა ჭაბურღილში.

სამუშაოთა ხელმძღვანელების აზრით, ჭაბურღილის უკვე მიღწეულ სიღრმიდან უნდა დაიწყოს მძლავრი ნავთიანი ფენა. აღნიშნული ფენის აღმოსაჩენად საჭირო იქნება მცირედიამეტრიანი ბურღით მუშაობა დაახლოვებით ერთი თვის განმავლობაში.

საქ. სახკომსაბჭოში

„ზაკმიასტორგის" აქციონერთა აჭარისტანის მიწსახკომის გამოსვლა შემადგენლობიდან.

ა.-კ.-ის სახკომსაბჭოს დადგენილებას თანახმად სახკომსაბჭოს განმწესრიგებელმა სხდომამ დააკმაყოფილა აჭარისტანის სახკომსაბჭოს წინადადება მისცეს აჭარისტანის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს გამოვიდეს საზოგადოება „ზაკმიასტორგის" აქციონერთა სიიდან.

გრძელვადიანი სესხის მიცემა გორის სამაზრო აღმასკომისათვის.

სახკომსაბჭოს განმწესრიგებელმა სხდომამ დაამტკიცა სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ამხ. ს. ჟღენტის განკარგულება, რომლითაც გორის სამაზრო აღმასკომს ნება მიეცა აიღოს თბილისის ქალაქის ბანკიდან ელექტრო-სადგურის გადასატანათ 5.000 მან. გრძელვადიანი სესხის სახით.

წყალსადენი დუშეთის მაზრაში.

სახკომსაბჭოს განმწესრიგებელმა სხდომამ დაამტკიცა სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ამხ. ს. ჟღენტის განკარგულება, დუშეთის სამაზრო აღმასკომისათვის წყალსადენის გასაყვანად გრძელვადიანი კომუნალური კრედიტის ანგარიშში 5.000 მიცემის შესახებ.

წინადადება მიეცა დუშეთის სამაზრო აღმასკომს წარუდგინოს საამშენებლო-სატექნიკო კომიტეტს წყალსადენის გაყვანის საბოლოო პროექტი და ხარჯთაღრიცხვა.

კვალიფიციური მუშა-ხელის მომზადება

სახკომსაბჭომ ნება მისცა ს.მ.უ. საბჭოს გაიღოს 2095 მან. საკონსერვო და ხილის სახ. მობი ქარხნებისათვის კვალიფიციური მუშა-ხელის მოსამზადებლად.

ყრილობები და თათბირები

მიწა-ტყის სპეციალისტთა ყრილობა

მეორე დღე

მეორე დღის დილის სხდომაზე გაიმართა აზრთა გაცვლა-გამოცვლა ცენტრალური გამგეობის მუშაობის შესახებ. ორატორები, რომელნიც აღნიშნავდენ ნაკლსა და მიღწევებს კავშირის მუშაობაში, საჭიროდ ცნობენ ყურადღების გაძლიერებას მოჯამაგირეების და სოფლის მუშების კავშირში ჩაბმის საკითხებისადმი. ყრილობამ ცენტრალურ გამგეობის მუშაობა საერთოდ დამაკმაყოფილებლად სცნო და რეზოლიუციის გამოსამუშავებლად აირჩია ცალკე კომისია.

ამავე სხდომაზე მოსმენილ იქნა ამხ. კაკულიას მოხსენება საურთიერთო დახმარების სალაროს შესახებ. მომხსენებელი მიწა-ტყის კავშირის სპეციალისტთა სექციის წევრებისათვის საჭიროდ სცნობს ცალკე სალაროს მოწყობას იმ მიზნით, რომ მკვიდრ ნიადაგზე დადგეს სექციის წევრთა ურთიერთ დახმარების საქმე.

იმავე დღის საღამოს სხდომაზე მოსმენილ იქნა ამხ. ხაჭაპურიძის მოხსენება სპეციალისტთა სექციის მუშაობის შესახებ, რომელმაც გაცხოველებული აზრთა გაცვლა-გამოცვლა გამოიწვია. ორატორები აღნიშნავდენ, რომ სექცია საანგარიშო პერიოდში ვერ უწევდა სათანადო ხელმძღვანელობას სოფლად დაქსაქსულ სექციის წევრებს. ამის გამო მოისუსტებდა სექციის წევრთა პროფესიონალურ ინტერესების დაცვა. სოფლად მომუშავე სპეციალისტები, ოპონენტთა გადმოცემით, დატვირთულნი არიან მრავალი საქმეებით და, მათ შორის, ისეთი საქმეებითაც, რომელთა შესრულება მათ პირდაპირ დანიშნულებას არ შეადგენს. მოისუსტებს აგრეთვე სატარიფო-ეკონომიური მუშაობა სექციის წევრებს შორის. ხელფასით ყველა წევრები ერთგვარად არ არიან უზრუნველყოფილნი და სხვა. მომავალმა სექციამ მთელი თავისი ყურადღება უნდა მიაქციოს ამ ნაკლულოვანებათა გამოსწორებას.

მესამე დღე

მესამე დღის დილის სხდომაზე მოსმენილ იქნა ამხ. ხოფერიას მოხსენება სასოფლო მეურნეობის სპეციალისტთა მომზადების შესახებ

მომხსენებელი აღნიშნავს, რომ აღორძინების გზაზე დამდგარი ჩვენი სასოფლო მეურნეობა თანდათანად უფრო მეტ მომზადებულ კვალიფიციურ სპეციალისტებს საჭიროებს. საჭიროა განსაკუთრებული ზომების მიღება, რომ შესაძლებელი გახდეს ჩვენი სოფლის მოთხოვნილების დაკმაყოფილება აგრონომიული პერსონალით. პირველი ამოცანაა სოფელს მივაწოდოთ აგრონომების საკმაო რაოდენობა. ამჟამად საქართველოში მუშაობს 97 აგრონომი. აქედან მაზრებში არის 25. ხოლო რაიონებში 57, ინსტრუქტორები არიან 15. ყოველ 5.200 კომლზე მოდის ერთი აგრონომი. ამ მხრივ საქართველოს წინ უსწრებს როგორც საბჭოთა რუსეთი, ისე უკრაინა. შტატში ალია 26 აგრონომი. სხვადასხვა დარგებისათვის ამას გარდა საჭიროა კიდევ 14 აგრონომი. ეს არის პირველი მოთხოვნილება, რომელსაც აყენებს ამჟამად ჩვენი სოფელი, იმდენად, რამდენადაც სწრაფი ტემპით იწარმოებს ჩვენი სასოფლო მეურნეობის ინტენსიფიკაცია კოლექტივიზაციის საშუალებით. საჭირო ხდება მისი უზრუნველყოფა სპეციალისტთა სათანადო კადრებით. მიწათმოქმედების კომისარიატს უკვე გამომუშავებული აქვს სპეციალისტთა მომზადების საორიენტაციო გეგმა რომელიც ითვალისწინებს სხვადასხვა კვალიფიკაციის მუშაკების მომზადებას ყველა დარგისათვის. მომხსენებელი ყრილობას დაწვრილებით აცნობს მეურნეობის, რომელ დარგისათვის რამდენი სპეციალისტი სჭირდება ამ უახლოეს ხუთი წლის განმავლობაში.

შემდეგი მოხსენება გააკეთა მიწათმოქმედების სახკომისარმა ამხ. გეგეჭკორმა.

მომხსენებელი აღნიშნავს, რომ ჩვენი სოფლად მომუშავე ინტელიგენცია, განსაკუთრებით, აგრონომიული პერსონალი გულმოდგინეობით ჩაება ჩვენ სასოფლო მეურნეობის აღორძინებლად წარმოებულ მუშაობაში. მაგრამ მას ჯერ კიდევ სავსებით გარკვეული არა აქვს ის პრინციპები, რომელზედაც შენდება ჩვენი სასოფლო მეურნეობა. სასოფლო მეურნეობის განვითარება ჩვენში უკავშირდება ქვეყნის ინდუსტრიალიზაციას. სასოფლო მეურნეობის განვითარება უნდა შეეფარდოს სახალხო მეურნეობის განვითარებას. ჩვენი სოფელი უნდა გახდეს ჩვენში ახალ ფაბრიკა-ქარხნებისათვის საჭირო ნედლეულობის მიმწოდებელი. ჩვენში უნდა აშენდეს ის ფაბრიკები, რომლისთვისაც ნედლეულობის მიწოდებას შესძლებს ჩვენი ქვეყანა. ამიტომ ერთი მეორესთან მჭიდროდ არის დაკავშირებული ჩვენი სოფლის მეურნეობის განვითარება და ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია.

პირველ ყოვლისა, საჭიროა ჩვენი ქვეყნის ეკონომიური რაიონების ზედმიწევნით შესწავლა იმის გამოსარკვევად, თუ რა კულტურა უფრო გამოსადეგია და მიზანშეწონილია ამა თუ იმ რაიონებისათვის.

ამასთან ერთად პირველ რიგში სდგას ჩვენი ქვეყნის მიწადმოწყობა. არავითარი მაღალი კულტურის შემოღება არ შეიძლება ჩვენ დაქუცმაცებულ წვრილ მიწის ნაჭრებზე, რომელსაც ჩვენ გლეხურ მეურნეობაში აქვს ადგილი. წვრილ მიწის ნაჭრების მთლიან ერთეულებათ გაერთიანება უნდა დაედვას საფუძვლად ჩვენი მეურნეობის კოლექტივიზაციას. მაგრამ საკმაო არ არის მარტო მიწადმოწყობა, ეს ღონისძიება ვერ გააფართოვებს ამჟამად არსებულ სასარგებლო მიწის არეს.

ამ მხრივ დიდი ყურადღება უნდა მიექცეს მელიორაციას. რომელიც საქართველოს მისცემს ძვირფას კულტურებისათვის დიდძალ გამოსადეგ მიწის სივრცეს. ამ მიმართულებით უკვე სწარმოებდა მუშაობა, რომელმაც საკმაო ნაყოფი გამოიღო და მომავალშიაც ჩვენ ეს მუშაობა უნდა გავაძლიეროთ. მელიორაციით ვერ გადაწყდება მიწის სივიწროვის საკითხი და ჩვენ დაგვჭირდება უფრო რადიკალური ღონისძიება. ეს არის გლეხობის გადასახლება სოჭისა და თერგის ოლქში სადაც ჩვენს რესპუბლიკას დათმობილი აქვს რამოდენიმე ათეული ათასი დესეტინა მიწა.

ზემოაღნიშნული ღონისძიებები წარმოადგენენ წინასწარ პირობებს ჩვენი მეურნეობის განვითარებისათვის. ამ ღონისძიებების გატარებასთან ერთად გადადგმული უნდა იქნეს პრაქტიკული ნაბიჯები ჩვენი სოფლის საწარმოო ძალების უზრუნველყოფისათვის. სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის მიწოდება უნდა გავაძლიეროთ. გლეხის პრიმიტიული იარაღები შეცვლილი უნდა იქნეს ტრაქტორებით, კულტივატორებით, ტრიერებით, სათესი და სათიბი მანქანებით და სხვ. სათანადო სიმაღლეზე უნდა დადგეს აგრეთვე ჩვენი გამოფიტული მიწის რაციონალური განოყიერება. მხოლოდ ამ ღონისძიების გატარების შემდეგ ფართო ასპარეზი მიეცემა აგრონომიული პერსონალის საქმიანობას სოფლად. ამ ღონისძიებით ჩვენი სასოფლო მეურნეობა ერთი ნაბიჯითაც წინ ვერ წაიწევს, თუ არ მოგვარდა ჩვენი სასოფლო მეურნეობის პროდუქციის გასაღების საკითხი. გლეხი არ მოკიდებს ხელს უმაღლეს კულტურას, თუ მან არ აინაზღაურა თავისი შრომა, თუ მან მისი შემოსავლით მეტი ნაყოფი არ მიიღო ხორბლეულის კულტურასთან შედარებით. ამ საკითხის მოგვარება უნდა იკისროს სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციამ. რომელიც უნდა გახდეს სოფლის მეურნეობის პროდუქტების გამსაღებელი ქალაქის ბაზარზე. ამავე დროს უდიდესი ყურადღება უნდა მიექცეს სატრანსპორტო ტარიფების შემცირებას. რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს სასოფლო მეურნეობის პროდუქტების გასაღებისათვის.

ამხ. გეგეჭკორის მოხსენების გარშემო გაიმართა კამათი.

პროლეტ. სტუდენტთა კონფერენცია

მეორე სხდომა

6 იანვარს დილის სხდომაზე თბილისის პროლეტარულ სტუდენტთა ბიუროს მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა ბიუროს თავმჯდომარემ—ხ. მდივანმა.

მომხსენებელი დაწვრილებით შეეხო იმ საქმიანობას, რომელიც ჩაატარა სტუდენტთა ბიურომ გასულ წლის განმავლობაში.

სტუდენტთა ბიურო აერთიანებს 15 სასწავლებელს. ამათში ხუთი უმაღლესი სასწავლებელია, 4 მუშფაკი. დანარჩენები—სპეციალური ტექნიკუმები და პედაგოგიური ინსტიტუტი. გასული წლის პირველ დეკემბრისათვის 13.366 სტუდენტიდან კავშირის წევრად ირიცხებოდა 5.987 კაცი.

ეხება რა სტუდენტთა მატერიალურ მდგომარეობას, მომხსენებელი ამბობს, რომ 1926—27 წ. დასასრულს მოსწავლეთა საერთო რიცხვიდან, რომელსაც აერთიანებს თბილისის ბიურო, სტიპენდიანტების რაოდენობა უდრიდა 1.555.

სტუდენტებისათვის მოწყობილია სასადილო. ყოველდღიურად უფასო სადილი ეძლევა 100 სტუდენტს.

თბილისის ბიურომ სტუდენტთა ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესების მიზნით, რესპუბლიკის მასშტაბით ჩაატარა „სტუდენტთა დახმარების კვირეული". კვირეულიდან შემოვიდა 7.000 მანეთი.

მომხსენებელი ხაზს უსვამს იმ გარემოებას. რომ სტუდენტობა დიდ საბინაო კრიზისს განიცდის. მაგრამ სულ მოკლე ხანში ბინის კრიზისი ნაწილობრივ მაინც იქნება აღმოფხვრილი: გაზაფხულზე დამთავრდება სტუდენტთა საერთო საცხოვრებელი ბინის აგება. გარდა ამისა, აღმასკომის მიმდინარე ხარჯთაღრიცხვაში შეტანილია თანხა. სტუდენტებისათვის 100 ოთახიან საცხოვრებელ ბინის ასაგებად.

შემდეგ მომხსენებელი ეხება სტუდენტთა ცოდნის ასამაღლებლად გაწეულ მუშაობას.

სახელმწიფო უნივერსიტეტში სამეცნიერო მოსამზადებლად დატოვებულია 5 კაცი, ხოლო პოლიტექნიკურ ინსტიტუტში 13 კაცი.

მომხსენებელი ეხება სტუდენტთა გასამხედროებას და აღნიშნავს. რომ ამ მხრივ მიღებულია შესაფერისი ზომები და გასამხედროება წარმატებით მიმდინარეობს.

დასასრულ მომხსენებელმა აღნიშნა, რომ სათანადო ყურადღება ექცეოდა პროფგანათლებას, ფიზკულტურას, საექსკურსიო და საკლუბო მუშაობის განვითარებას.

მომხსენებელს მისცეს მრავალი შეკითხვები. ამით დამთავრდა კონფერენციის მეორე სხდომა.

პარტიული ცხოვრება

სოფლად პარტიულ მუშაკთა თათბირი

მე-15 პარტყრილობა სოფლად მუშაობის შესახებ

ამხ. ლ. ქართველიშვილის მოხსენება

პარასკევს დილის სხდომაზე თათბირმა მოისმინა ამხ. ქართველიშვილის მოხსენება სოფლად მუშაობის შესახებ.

მე 15 პარტიულმა ყრილობამ — დაიწყო მომხსენებელმა — თავის დადგენილებებში ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ სოფლად მუშაობის გაღრმავება და გაძლიერება ჩვენი პარტიის ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა.

ცხადია, ჩვენი ორგანიზაციები სოფლად მუშაობას წინადაც დიდი ყურადღებით ეპყრობოდენ, მაგრამ ეს მუშაობა პროლეტარული რევოლუციის განვითარების პერიოდებთან დაკავშირებით მუდამ სხვადასხვა იყო და სხვადასხვა მდგომარეობასა და მეთოდებს მოითხოვდა. მაგალითისათვის შეგვიძლია დავასახელოთ სამოქალაქო ომის დამთავრების პირველი ხანები. მაშინ ჩვენს წინაშე დაისვა სასოფლო მეურნეობის აღდგენის ამოცანა.

პარტიამ და საბჭოთა ხელისუფლებამ ხსენებული ამოცანა ამ 7 წლის განმავლობაში, უნდა ითქვას, ღირსეულად გადასჭრეს: სასოფლო მეურნეობის პროდუქცია უკანასკნელ ორ წელში ავიდა ომის წინადროინდელ დონემდე, სწორედ ამ აღდგენითი პერიოდის დასრულება გვაძლევს, დავსახოთ სოფლის შემდგომი განვითარების გზები.

სოფლად სოციალისტური მშენებლობის გაძლიერებისათვის აუცილებელია ორი ძირითადი ამოცანის გადაჭრა. ეს ამოცანებია: მიწის დამუშავების უფრო კულტურულ წესებზე გადასვლა, მისი ტექნიკის გაუმჯობესება და დაწვრილმაშებულ მეურნეობათა კოლექტივიზაცია კომუნებისა და სხვა უფრო დაბალ კოოპერატიულ გაერთიანებათა შექმნის საშუალებით.

პირველი ამოცანის შესასრულებლად საჭიროა პარტიამ და ხელისუფლებამ ხელი შეუწყონ სამანქანო ამხანაგობების შექმნასა და გაუმჯობესებული თესლეულობის გავრცელებას სოფლად, წინააღმდეგ შემთხვევაში, მამა-პაპური სახნისისა და არეული, გაუწმენდავი თესლის წყალობით სოფლის მეურნეობა შორს ვერ წავა.

მეორე ამოცანა — სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია მოითხოვს უდიდესი დახმარების გაწევით უკვე არსებულ კომუნებს, ამხანაგობებსა და საბჭოთა მეურნეობებს, რათა ისინი გადაიქცენ გლეხობისათვის მაგალითის მაჩვენებლად.

ერთ-ერთი მტკივნეული საკითხი დღევანდელ პირობებში არის სოფლის ნაწარმოების გასაღების მოწესრიგება. საჭიროა კოოპერატიულმა ორგანიზაციებმა სასოფლო მეურნეობას მოუპოვონ შესაფერი ბაზარი.

დასასრულ, აუცილებელია ჩვენ გლეხობაში კულტურულ განმანათლებელი მუშაობის გაძლიერება, ვინაიდან მხოლოდ გლეხობის განათლებითა და კულტურული დონის აწევითაა შესაძლებელი ყველა იმ ამოცანის გადაჭრა, რომელნიც დგანან ჩვენს წინაშე სოფლად.

ამხ. ქართველიშვილის მოხსენების გარშემო გაიმართა კამათი, რომელიც გრძელდებოდა პარასკევს საღამოს და გუშინ დილის სხდომაზე. საღამოს სხდომაზე გუშინ მოსმენილ იქნა ამხ. ქართველიშვილის საბოლოო სიტყვა, რის შემდეგაც დღის წესრიგის უკანასკნელ საკითხზე — სოფლის უჯრედთა მუშაობის შესახებ—მოხსენებით გამოვიდა თბ. კომიტეტის სოფლად მუშაობის განყოფილების გამგე ამხ. არუთინოვი.

ამხ არუთინოვის მოხსენების ანგარიში დაიბეჭდება ჩვენი გაზეთის სამშაბათის ნომერში.

ქ. ს—ელი

ს. ა. ლ. კ. კ. ლენრაიონის მე-11 კონფერენცია

მეოთხე სხდომა

დილის სხდომაზე კონფერენციამ მოისმინა ამხ. ელიგულაშვილის მოხსენება პიონერთა ბიუროს მუშაობის შესახებ. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საანგარიშო პერიოდში გაძლიერდა კომკ. ხელმძღვანელობა პიონერ კოლექტივებზე.

ამასთანავე ახალი ფორმებით მუშაობამ საგრძნობლად გამოაცოცხლა კოლექტივებში შინაგან - აღმზრდელობითი მუშაობა.

კონკრეტულ დავალებათა მეთოდი შესამჩნევად აცოცხლებს პიონერთა შორის მუშაობას.

კოლექტივებში მრავლადაა ჩამოყალიბებული სხვადასხვა წრეები და სახელოსნოები, აქ აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ყოველივე ამ მუშაობას თვით ხელოსანი მშობლები ხელმძღვანელობენ. განსაკუთრებული მიღწევები კი არის გასამხედროების და რადიო მუშაობის დარგში.

ამასთანავე კოლექტივებისათვის ყველგან გვაქვს ზონები, მხოლოდ ზოგიერთებში ვერ არის დაცული გიგიენური პირობები.

საზაფხულო პერიოდში ეწყობოდა გასეირნებები და სხვა.

პროფორგანიზაციათა ხელმძღვანელობა გაისაზღვრება მხოლოდ მატერიალური დახმარებით.

დასასრულ მომხსენებელი ეხება ორგანიზაციის ზრდის საკითხებს და აღნიშნავს, რომ ორგანიზაცია მე-11 კონფერენციისათვის გაიზარდა 244 პიონერით.

ამხ. ელიგულაშვილის მოხსენების შემდეგ კონფერენცია ისმენს სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენებას, რის შემდეგ იხსნება კამათი რაიკომის მუშაობის გარშემო. დილის სხდომაზე კამათში გამოვიდა შემდეგი 5 ამხანაგი: **მელქაძე, ქიტიაშვილი, ხომასურიძე, ზინგმან** და **სკლიფოვი**.

ამით დაიხურა დილის სხდომა.

მეხუთე სხდომა

საღამოს სხდომაზე გრძელდებოდა კამათი ლენრაიკომის, პიონერთა ბიუროს და სარევიზიო კომისიის მუშაობის გარშემო.

კამათში გამოვიდენ ამხანაგები: **დავითაია, დანელიევიჩი, ანანოვი, ქობონელიძე, ცუცქირიძე, ლოგუა, მელიძე, ჯაფარიძე, ხინჩაგაშვილი, ბოგოლიუბოვი, გოგოლაძე, ზანცილოვი, ბაქრაძე** და სხვ, სულ 34 ამხანაგი. მოკამათენი ეხებოდენ კონკურსების ჩატარების საკითხებს და აღნიშნავდენ, რომ ხშირად ადმინისტრაცია არ აქცევს ყურადღებას მუშა - ახალგაზრდობის მიერ შეტანილ პრაქტიკულ წინადადებებს და მის გატარებაზე არავინ ფიქრობს.

ამასთანავე საკლუბო მუშაობა მოისუსტებს წრეების ხელმძღვანელთა შემადგენლობაში კოტაა მუშების რიცხვი.

ორატორები აღნიშნავდენ იმ უარყოფით მოვლენას, რომელიც ახასიათებს ზოგიერთ პიონერ კომკავშირელს, რომელიც კომკავშირში გადარიცხვის შემდეგ შორდება პიონერ-მუშაობას, რაც ასუსტებს კომკ. გავლენას პიონერ-ორგანიზაციაზე.

ამასთანავე ახალგაზრდობის წარმომადგენლები ამა თუ იმ გამოკვლევის ჩატარების შემდეგ მუშათა ახალგაზრდობის მოთხოვნილებებს უშედეგოდ სტოვებენ.

აგრეთვე გადამწყვეტი ბრძოლა უნდა გამოუცხადოთ ხულიგნობას და ყოველგვარ უარყოფით მოვლენებს. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ის მიღწევა, რომელიც რაიკომს აქვს, ესაა მუშათა ახალგაზრდობის 97 პროც. დარაზმვა კომკ. რიგებში.

კამათის დამთავრების შემდეგ საბოლოო სიტყვით გამოვიდა ამხ. პერუშინი. მან ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ კამათი ატარებდა სავსებით საქმიან ხასიათს. მომხსენებელმა გასცა პასუხი შემოსულ შეკითხვებზე და გამოსულ მოკამათეებს.

ამხ. პერუშინის სიტყვის შემდეგ კონფერენციამ რაიკომის მუშაობა ჩასთვალა დამაკმაყოფილებლად და პრაქტიკულ ღონისძიებათა დამუშავების მიზნით გამოჰყო 5 კომისია სხვა და სხვა დარგში.

მეექვსე სხდომა

გუშინ, დილის სხდომაზე კონფერენციამ მოისმინა ამხ. ზეეანოვის მოხსენება რკ. გზ. უბკავშირის მუშაობის შესახებ.

მომხსენებელი ამბობს: პირველ ხანებში ჩვენ ბრძოლა გვისდებოდა ადგილობრივ ქვედა პროფორგანიზაციებთან, რადგან ახალგაზრდათა სწავლებას ნაკლებ ყურადღება ექცეოდა. უკანასკნელ ხანებში ეს მდგომარეობა გამოსწორებულია და გაუმჯობესდა პროფორგანიზაციების ხელმძღვანელობა. მთელს უბანში; მოზარდთა რიცხვი უდრის 1538 კაცს. საანგარიშო პერიოდში ერთხელ ჩატარდა ადგილკომების გადარჩევის კამპანია და ადგილებს მიეცა დირექტივა, რათა ფართოდ ჩაებათ მუშაობაში მუშა - ახალგაზრდობა.

ახალგაზრდათა წარმომადგენლების თათბირები არ მომხდარა.

კავშირი სერიოზულ ყურადღებას აქცევდა ახალგ. შორის კულტურულ განმანათლებელ მუშაობას, ამ მიზნით კლუბებთან არსდებოდა ახალგაზრდათა წრეები.

დასასრულ მომხსენებელი ეხება შეგირდთა და ხელოსანთა ურთიერთ დამოკიდებულებას და აღნიშნავს, რომ ეს დამოკიდებულება ამჟამად სავსებით ნორმალურია.

ამხ. ზეეანოვის მოხსენების ირგვლივ გაიხსნა კამათი;

კამათში გამოვიდენ ამხ. ადამაშვილი, მდინარაძე, ლეკვეიშვილი, ქიტიაშვილი, კუპავა, ტატანაშვილი, ბურჯულაძე, მუჯირიძე, ჯავახაძე, გიორგობიანი, გაბუნია, ხარატიშვილი, ხიდაშელი და პერუშინი.

მოკამათენი აღნიშნავენ, რომ მუშაობა ახალგაზრდათა კვალიფიკაციის ასაწევათ სუსტია. ამასთანავე ვერ არის მოწესრიგებული ახალგაზრდათა მუშების ხარისხიდან შემდეგ ხარისხში გადაყვანა.

რაც შეეხება კულტურულ მუშაობას კლუბებში ახალგაზრდათა შორის სუსტია.

ამხ. ზეეანოვის საბოლოო სიტყვის შემდეგ კონფერენციამ უბკავშირის მუშაობა დამაკმაყოფილებლად სცნო და დაავალა პრეზიდიუმს პრაქტიკულ ღონისძიებათა დამუშავება.

მეშვიდე სხდომა

გუშინ საღამოს სხდომაზე ვრცელი მოხსენებით საქ. კ. პ. (ბ) მე-15 პარტყრილობის შედეგებზე მოხსენებით გამოვიდა ამხ. ვასილიევი, რომელსაც კონფერენცია ხანგრძლივი ტაშით ხვდება.

მოხსენების შემდეგ გამართულ კამათში გამოვიდენ: ამხ. კალანდაძე, გოგოლაძე, მესხი, ანანოვი. ამხ. ვასილიევის საბოლოო სიტყვის შემდეგ კონფერენციამ ერთხმად მიიღო რეზოლიუცია, რომელშიც იგი სავსებით იწონებს და მთლიანად უერთდება საკ. კ. პ. (ბ) მე-15 პარტყრილობის გადაწყვეტილებებს და აღნიშნავს, რომ თუ ოპოზიციონერი - გამთიშველები, რომლებიც გარიცხული არიან კ. პ. რიგებიდან, კვლავ განაგრძობენ ანტიპარტიულ მუშაობას, მათ წინააღმდეგ გადამწყვეტ ზომები უნდა იქნას მიღებული.

შ. დ.

ს. ა. ლ. კ. კ. არსრაიონის მე-11 კონფერენცია

კონფერენციის გახსნა

6 იანვარს ცენტრალურ მუშათა კლუბში გაიხსნა ს. ა. ლ. კ. კ. არსრაიონის მე-11 კონფერენცია: მოკლე შესავალი სიტყვის შემდეგ კონფერენციას ხსნის არსრაიკომის მდივანი ამხ. იშხანოვი.

კონფერენცია საპატიო პრეზიდიუმში ირჩევს: ამხ **სტალინს, ბუხარინს, ორჯონიკიძეს, რიკოვს, კალინინს, ჩაპლინს, ვოროშილოვს** და **ორახელაშვილს**.

შემდეგ კონფერენცია ირჩევს პრეზიდიუმს, სამდივნოს და სამანდატო კომისიას. დღის წესრიგის და რეგლამენტის დამტკიცების შემდეგ კონფერენცია გადადის საქმიან მუშაობაზე.

მე 15 ყრილობის შედეგებზე მოხსენებით გამოვიდა ამხ. ვასილიევი, რომელსაც კონფერენცია ქუხარე ტაშით შეხვდა.

ორნახევარი საათის განმავლობაში კონფერენცია დიდი ყურადღებით უსმენდა ამხ. ვასილიევის მოხსენებას. დასასრულ კონფერენციამ მიიღო სათანადო რეზოლიუცია, სადაც კონფერენცია სავსებით იწონებს ლენინურ პარტიის მე-15 პარტყრილობის გადაწყვეტილებებს და მთლიანად უერთდება მათ.

დასასრულ კონფერენციამ გაუგზავნა მისასალმებელი დეპეშები ა. კ. წ. დრ. არმიის სამხ. რევ. საბჭოს, ა.-კ. საოლქო კომიტეტს, ც. კ. და თბ. კ. ამით დაიხურა 6 იანვრის დილის სხდომა.

მეორე სხდომა

საღამოს სხდომაზე კონფერენცია ისმენს ამხ. არუთინოვის მოხსენებას ა. ლ. კ. კ. ც. კ. მუშაობის შესახებ:

განვლილი წელი ამბობს მომხსენებელი საკ. კომკავშირის მე-8 ყრილობის შემდეგ არის გარდატეხის პერიოდი. კავშირის წინაშე წამოიჭრა ამოცანა მუშაობის ფორმებისა და მეთოდების შეცვლის შესახებ. მისი შეგუება მუშურ გლეხურ ახალგაზრდობის ჯანსა და მოთხოვნილებებთან. გამოცოცხლდა კ. კ. მუშაობა. ჩვენ გვაქვს მთელი რიგი ფაქტები — განაგრძობს მომხსენებელი, თუ როგორი აქტიურ მონაწილეობას იღებს ჩვენი კავშირი სხვადასხვა პოლიტიკური კამპანიების გატარებაში. ეხება რა ამხ. არუთინოვი კ. კ. ორგანიზაციის ზრდას, ამბობს, რომ კ. კ. ორგანიზაცია საანგარიშო პერიოდში საგრძნობლად გაიზარდა თუ 1926 წლის 1-ლ იანვრისათვის იყო 49.526 კაცი, ეხლა 1927 წლის 1 იანვრისათვის გვყავს 70.719 ახალგაზრდა.

აგრეთვე ნორმალურია ორგანიზაციის ზრდა პროლეტარულ შემადგენლობის მხრივ. ეკონომიურ მუშაობის დარგში [illegible] გვაქვს მიღწევები. მუშა-ახალგაზრდობის შრომის ხელფასი იზრდება. თუ 1926 წელში საშუალო ხელფასს შეადგენდა 20 მან. 42 კაპ., 1927 წელში იყო 28 მან. 22 კაპ.

საშუალო განაკვეთი 1926 წ. იყო 35 მან., ეხლა არის 49 მან. 19 კაპ.

ახალგაზრდობა აქტიურადაა ჩაბმული საწარმოო საკითხების განხილვაში.

გარდა ამისა ლენინურ კომკავშირმა ერთხელ კიდევ დაიჭირა პოლიტიკური გამოცდა და ერთსულოვნად უკუაგდო ოპოზიციონერ დეზორგანიზატორები. ც. კ. მოხსენების გარშემო გაიხსნა კამათი.

დევ.

ბაქოს კომკავშირის

ათი წლის თავი

ბაქო, 6 იანვარი. 15 იანვარს სრულდება აზ. ახ. ლ. კ. კ. ბაქოს ორგანიზაციის ათი წლისთავი. საიუბილეო გეგმის მიხედვით, კვირა 8—15 იანვრამდე გამოცხადებულია კომკავშირისა და ფიზკულტურულ ორგანიზაციებში ახალგაზრდობის ჩაბმის კვირად. 13 იანვრამდე ყველა უჯრედებში ჩატარდება ათი წლისთავისადმი მიძღვნილი მოსაგონარი საღამოები. 13 იანვარი — ფიზკულტურის დღეა ყველა წრეებსა, სტადიონებსა და კლუბებში. 13 იანვარს ფიზკულტურის სასახლეში გაიმართება ფიზკულტურის ფრონტზე ათი წლის განმავლობაში მიღწეულ გამარჯვებათა აღსანიშნავი საღამო.

14 იანვარი მიძღვნილია კომკავშირის დასახლოვებისადმი შეფობის ქვეშ მყოფ ნაწილების წითელფლოტელებთან. ამ დღეს რაიონებში გაიმართება მოსაგონარი რაიონული საღამოები.

15 იანვარს ქალაქში გაიმართება დემონსტრაცია წითელი არმიისა და ფლოტის, ფიზკულტურელთა და პიონერორგანიზაციების მონაწილეობით. ხოლო საღამოთი კი შესდგება კომკავშირის ბაქოს ორგანიზაციის საერთო საქალაქო სხდომა.

იუბილეს დღეს გაიხსნება სამხედრო ცოდნის გამავრცელებელი ასზე მეტი პუნქტი, კომუნისტების სკოლა და სხ. აზ. ახ. ლ. კ. კ. ბაქოს კომიტეტი ქურთისტანში, ყაზახის რაიონის სოფელ გარაჯალში საჩუქრის სახით ხსნის ორ კოლ-სამკითხველოს.

ათი წლისთავის აღსანიშნავად, აზნავთი თავის წარმოებებში იღებს ას მუშა - ახალგაზრდას და ლენინის, საფაბრიკო - საქარხნო და მაილოვის რაიონებში საძირკველს უყრის მუშა - ახალგაზრდობის სამ საერთო - საცხოვრებელ სახლს. ასეთივე სახლს აშენებს ქალაქში ბაქოს საბჭო. გარდა ამისა, საიუბილეო დღეს ბაქოს საბჭოს განზრახული აქვს გახსნას სამეურნეო - საამშენებლო სკოლა 80 კაცისთვის. (ადს).

საერთაშორისო მიმოხილვა

(კვირიდან—კვირამდე)

დაუესის გეგმის გარშემო. — ამერიკის იმპერიალიზმი. — მთავრობის კრიზისი ლატვიაში. — ჩემბერლენის შიშით.

როგორც გაზ. „ტან" იუწყება, ამერიკის მთავრობას განზრახვა აქვს მიმდინარე წლის ნახევარში მოიწვიოს საერთაშორისო კონფერენცია დაუესის გეგმისა და მოკავშირეთა ვალების გადასინჯვად. ამ გეგმის გადასინჯვის საკითხი განსაკუთრებით მწვავედ წამოიჭრა უკანასკნელი დროს და ის ამჟამად საერთაშორისო პოლიტიკის ცენტრშია მოქცეული. ამის საბაბად შეიქნა რეპარაციების გენერალურ აგენტის. პარკერ გილბერტის მესამე სარეპარაციო წლის ანგარიში და აგრეთვე მისი მემორანდუმი გერმანიის მთავრობისადმი.

ამ დოკუმენტებში გერმანიის ეს ამერიკელი დიქტატორი აცხადებს: მართალია, დღემდე გერმანიას ყოველწლიურად პირნათლად შემოაქვს სარეპარაციო გადასახადი, მაგრამ შემდეგში ამას ვერ შესძლებს, თუ მან თავისი ეხლანდელი საფინანსო პოლიტიკა გააგრძელა. უკანასკნელი კი. გილბერტის თქმით, იმაში მდგომარეობს, რომ გერმანია უცხოეთში დიდძალ სესხს იღებს, ამავე დროს ადიდებს ხარჯებს ქვეყნის საჭიროებისათვის, რის გამოც მის საკრედიტო უნარიანობას საფრთხე მოელის.

ამ სესხის შეზღუდვა, „უნაყოფო" ხარჯების მოსპობა და სახელმწიფო ბიუჯეტის შეკვეცა—ასეთია რეპარაციების აგენტის მოთხოვნა. ესაა გერმანიის საშინაო საქმეებში უხეში ჩარევა და მისი სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის შებღალვა.

მაგრამ გილბერტის გამოსვლა მარტო ამ მხრივ არ არის საყურადღებო. გაცილებით უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს მის მიერ წამოყენებულ წინადადებას სარეპარაციო გადასახადის (ე. ი. მსოფლიო ომში გამარჯვებულ ქვეყნებისათვის მისაცემ სამხედრო ხარჯების) საერთო ჯამის განსაზღვრისა და გერმანიიდან კონტროლის მოხსნის შესახებ.

უნდა ვიცოდეთ, რომ დაუესის გეგმას ასეთი ჯამი არ დაუწესებია. ამ გეგმით გათვალისწინებულია მხოლოდ ყოველწლიურად შესატან გადასახადის რაოდენობა: 1924—25 წ.—1.000 ოქროს მარკა, 1925—26 წ. 1.220 მილ. მარ., 1926—27 წ.—1.500 მილ. მარ., 1927—28 წ.—1.750 მილ. მარკა, ხოლო აქედან დაწყებული ყოველ წ. 2,5 მილიარდი მარკა. მაგრამ რამდენ წელს უნდა იხადოს გერმანიამ ასეთი თანხა, მუდამ ხომ არა,—ეს საკითხი, რომელიც დაუესის გეგმის შედგენის დროს გადაულახავი უთანხმოება გამოიწვია, გადაუჭრელად იქნა დატოვებული.

ეხლა, როგორც ვსთქვით, გილბერტი მოითხოვს სარეპარაციო გადასახადის განსაზღვრას. ამ ზომას მნიშვნელობა ექნება გერმანიისათვის მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მეტ წილად მაინც მოხსნიან მას იმ [illegible] სარეპარაციო კომისიის მიერ დაწესებულ კონტრიბუციას—132 მილიარდ მარკის რაოდენობით. დღეს ამ ფანტასტიურ ციფრის განაღდებაზე არავინ ფიქრობს, გარდა პუანკარესა და სხვა მის მსგავს ფრანგ იმპერიალისტებისა, რომელნიც ამ საკითხში წინანდელ პოზიციაზე სდგანან. საქმე, როგორც ეტყობა, სწორედ კონტრიბუციის ჯამის შემცირებისაკენ მიდის. ამბობენ, ეს ჯამი 132 მილიარდ მარკიდან უნდა იქნეს დაყვანილი 6 მილიარდ დოლარამდე (მარკის ომის წინანდელი ღირებულება—16,29 კ. დოლარის—1 მან 94 კ.).

ეს პროექტი ამერიკის საბანკო წრეებიდან გამომდინარეობს. თითქო გამოდის, რომ ამერიკა გერმანიის „კეთილ მყოფელის" როლს კისრულობს. ნამდვილად საქმის ვითარება სულ სხვაგვარია. ამერიკელმა კაპიტალისტებმა გერმანიას კრედიტი მისცეს და დაუესის გეგმა გაატარეს არა იმიტომ, რა თქმა უნდა, რომ მათ უნდოდათ [illegible] გერმანიის მეურნეობის აღორძინება. მათი მიზანი იყო ევროპაში [illegible] დაბანდებულ თავის კაპიტალების უზრუნველყოფა და თავისუფალ თანხების მოთავსება, რაც შესაძლებლად მიაჩნიათ. პირველ ყოვლისა გერმანიის კაპიტალის სტაბილიზაციით. დაუესის გეგმის განსაზღვრის სამი წლის პრაქტიკამ ნათელყო, რომ მან შესაფერი ნაყოფი ვერ გამოიღო. თუმცა გერმანია იხდის რეპარაციებს, მაგრამ საფრანგეთი, რომელსაც აქედან „ლომის კერძი" მიაქვს, აჭიანურებს ამერიკისადმი დავალიანების გასტუმრებას. აქედან—ამერიკას განზრახვა აქვს რეპარაციების ჯამის საგრძნობ წილს თვითონ დაეუფლოს და სამაგიეროდ „მოკავშირეებს" ჩამოსწეროს ვალების სათანადო რაოდენობა. ის სცდილობს, რეპარაციების ჯამის შემცირებას, რომ გერმანიამ შესძლოს ამერიკისადმი დავალიანების გადახდა და რათა ამავე დროს მას საშუალება მიეცეს მეტი კაპიტალი დააბანდოს გერმანიაში, უფრო დაიპყროს უკანასკნელის სამეურნეო ფინანსიური ცხოვრება და ამ გზით მთელ ევროპაზე გააძლიეროს თავისი გავლენა. ამასთან ამერიკა ილტვის, რათა გერმანიაზე სარეპარაციო კონტროლის გაუქმების საშუალებით მიაღწიოს ისეთ პირობებს, როცა გერმანია პირველ რიგში ამერიკას უნდა უხადოს ვალები და არა საფრანგეთ-ინგლისს. თავის მხრით გერმანიის ბურჟუაზიას განზრახვა აქვს ამერიკის დახმარებით თავი გაინთავისუფლოს საფრანგეთ-ინგლისისაგან და „დიდ" იმპერიალისტ. პოლიტიკას მიჰყოს ხელი. აქ ერთმანეთს უწვდიან ხელს ამერიკა-გერმანიის იმპერიალიზმი. ამ გვარად, სარეპარაციო პრობლემაში ჩამარხულია იმპერიალისტურ ქვეყნების ბრძოლის გამწვავების საშიშროება.

გერმანიის მშრომელ მასების ინტერესების თვალსაზრისით, როგორც დაუესის გეგმა მისი ეხლანდელი სახით, ისე მისი რევიზიის ხსენებული პროექტი ერთნაირად დამღუპველია. ამ გეგმის გატარება მშრომელთა მოსახლეობის ხარჯზე, მისი უზომო ექსპლოატაციის ხარჯზე ხდება. ასეთი მდგომარეობა არ შეიცვლება იმით, რომ გერმანიას ვალების გადახდის საქმეში ამერიკისათვის მოუხდება უპირატესობის მინიჭება, მით უმეტეს, რომ, უდავოა, საფრანგეთი არ დასთანხმდება რეპარაციების ჯამის საგრძნობ შემცირებაზე.

დაუესის გეგმამ, რომელსაც სიხარულით შეხვდენ სოციალ-შემთანხმებლები, როგორც, ვითომდა გერმანიის სახალხო მეურნეობის აღორძინების და საერთაშორისო თანამშრომლობის საფუძველს, აუცილებლად იწვევს გერმანიის ეკონომიკის კრიზისს, კლასთა ბრძოლის გაძლიერებას და საერთაშორისო კონფლიქტებს, რომლებიდან თავის დაღწევა კაპიტალისტური მეთოდებით, რა თქმა უნდა, შეუძლებელია.

⁂

სარეპარაციო საკითხის გარშემო ატეხილი ლაპარაკი, გამოხატულებაა იმ საერთო კრიზისისა, რომლის მოლოდინში მსოფლიო კაპიტალიზმი იმყოფება. შემთხვევითი არ არის ის გარემოება, რომ ამერიკელი ბანკირები და მათი მთავრობა ასე დაჟინებით სწორედ უკანასკნელ დროს აყენებენ ამ საკითხს. ეს დაკავშირებულია ეკონომიურ მდგომარეობის გართულებასთან ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატებში.

ევროპის დიდ სახელმწიფოებთან ერთად ამერიკაც განიცდის საქონლის გასაღების კრიზისს. ამ ნიადაგზე ცალკე წარმოებები და მათი გაერთიანებანი უსასტიკეს კონკურენციას აწარმოებენ ერთმანეთთან. მრავალი წარმოება კვეცავს მუშაობას, ან სრულიად იხურება. უმუშევრობა იზრდება და კლასობრივი ბრძოლა (გაფიცვები) ფართო ხასიათს ღებულობს.

ამერიკა მსოფლიო ომის დროს და მის მომყოლ წლებში საარაკოდ გამდიდრდა. ევროპის ხარჯზე, რომელიც მთელ ყურადღებას ომს აქცევდა, მან არაჩვეულებრივად გაშალა თავისი საწარმოო ძალები, დაიპყრო ახალი ბაზრები და მთელი მსოფლიოს კრედიტორი გახდა. დღეს ის იხრჩობა ამ აურაცხელ სიმდიდრეში. ევროპაში ომის შემდეგ მეურნეობა საერთოდ კვლავ აღორძინდა. დასავლეთის კაპიტალიზმი ეძებს საგარეო ბაზარს თავისი საქონლისათვის, რომელსაც ქვეყანა შიგნით ვერ ასაღებს მომხმარებელ ბაზრის ყიდვითი უნარის დაცემის გამო. და აი, ბაზრებისათვის იწყება ბრძოლა ერთი მხრით ევროპის ქვეყნებს შორის, მეორე მხრით ევროპასა და ამერიკას შორის, რომელიც ცდილობს პირველის გავლენის ქვეშ ქვეყნების თავის ხელში ჩაგდებას. ამ მიზნით იგი ლამობს ევროპაში გერმანიას დაეყრდნოს, შეასუსტოს ინგლის-ამერიკის მზრუნველობა მის მიმართ და ის უფრო დაუმორჩილოს თავის პოლიტიკას. დაუესის გეგმის გადასინჯვა ამ ამოცანას ემსახურება.

ამავე დროს ამერიკა „პირდაპირ" მოქმედებასაც მიმართავს. მკითხველმა უკვე იცის ის დაუსრულებელი ომი, რომელსაც დოლარის რესპუბლიკა აწარმოებს პატარა ნიკარაგუას წინააღმდეგ. იგი მაგრად შეიჭრა მთელ შუა და დასავლეთ ამერიკაში, იძენს იქ ნავთიან და სხვა ნედლეულის ადგილებს, კონტროლს აწესებს მის ქვეყნების ფინანსებზე და მთელ ეკონომიკაზე და აქ ის აწყდება ინგლისის იმპერიალიზმს, რომელსაც დიდი ეკონომიური ინტერესები აქვს ლათინურ ამერიკაში. ამავე დროს ჩრდილოეთ ამერიკის შტატები ხელს იშვერენ ინგლისის დომინიონებისკენ (კანადა და სხვ.).

კონკურენცია ამ ორ ძლიერის იმპერიალისტურ ქვეყანას შორის მწვავდება, რაც იხატება მათ სამხედრო მზადებაშიაც. სხვათა შორის, გასულ წელში მოწვეული საზღვაო კონფერენციის ჩაშლა გვიჩვენებს, რომ ადრე თუ გვიან მათი სამხედრო შეტაკება აუცილებელია.

სამხედრო მზადებასთან ერთად მოქიშპე მხარეები სხვადასხვა ჯგუფებს აძლიერებენ ერთი მეორის დასასუსტებლად. ჩემბერლენი ცდილობს ევროპის დიდი სახელმწიფოების ბლოკი შეკრას ამერიკასთან საბრძოლველად. ამ ბლოკის მონაწილედ გერმანიაცაა ნაგულისხმევი. მაგრამ, როგორც აღვნიშნეთ, ამერიკა უკანასკნელს თავისკენ ეწევა.

ასეთია მდგომარეობა, ყოველი ჯურის გამცემლები უტიფრად გაიძახიან თითქო კაპიტალიზმის ხანგრძლივი „მშვიდობიანი" განვითარება შესაძლებელი იყოს და მასებს პაციფისტური ილუზიებს უნერგავენ. ამავე დროს ამერიკის გარეშე საქმეთა მინისტრი კელოგი აყენებს ლოზუნგს „სამარადისო მშვიდობიანობაზე" ხელშეკრულების დადების შესახებ. ასეთი თვალთმაქცური გამოსვლა სოციალ-პაციფისტებს „საბუთს" მისცემს თავისი „მშვიდობიანობის თეორიის" საქადაგებლად. მაგრამ ფაქტი ულმობელი რამ არის. ვერავინ შესძლებს დამალოს სინამდვილე, რომელშიც მასები კიდევ სულ უფრო ერკვევიან.

⁂

ეს ერთი თვეა, რაც ლატვიაში მთავრობის კრიზისი გრძელდება. ამ კრიზისს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს არა მარტო ლატვიის შინაური პოლიტიკის, არამედ ლატვია - საბჭოთა კავშირის დამოკიდებულების თვალსაზრისითაც.

როგორც ვსთქვით, ლატვია - საბჭოთა ხელშეკრულების გარშემო თავის დროზე დიდი ბრძოლა გაიმართა. მის წინააღმდეგ ილაშქრებდენ ფაშისტური და აგრარული წრეები; უკანასკნელნი მოწადინებულნი არიან თავის ქვეყანას აგრარული ხასიათი შეუნარჩუნონ, გარიყონ საბჭოთა კავშირი მსოფლიო ბაზრიდან, რომ უფრო ადვილად შესძლონ თავის პურეულის გასაღება და გასწყვიტონ ჩვენთან ურთიერთობა, ვინაიდან ეს ურთიერთობა ხელს შეუწყობს ლატვიაში მრეწველობის განვითარებას. ამ ჯგუფების ზურგს უკან დგას ინგლისის მთავრობა, რომელიც ყოველ ზომას ღებულობდა ლატვია - საბჭოთა სავაჭრო ხელშეკრულების ჩასაშლელად.

ლატვიისა და საბჭოთა კავშირის მტრების ცდები მაშინ დამარცხდა და ხელშეკრულება დამტკიცებულ იქნა, მაგრამ მათი „მუშაობა" ამის შემდეგ არ შეწყვეტილა. ლატვიის პარლამენტის მემარჯვენე ოპოზიცია სისტემატიურ თავდასხმას აწარმოებდა სკუჯნეკის მთავრობაზე. ოპოზიცია ამტკიცებს, რომ ეს მთავრობა თითქო საკმაო ენერგიით არ დევნის მემარცხენე მოძრაობას, რომ საბჭოთა კავშირთან დადებულ ხელშეკრულებას ვითომ სარგებლობა არ მოაქვს ლატვიისათვის და სხვ. ვინაიდან მთავრობას მცირე უმრავლესობა ყავდა (2 ხმით მთავრობის კოალიციიდან დემოკრატიული ცენტრის გასვლის შემდეგ, მანამდე კი 7 ხმით), ის იძულებული იყო გადამდგარიყო, რაკი ასეთ პირობებში მას ძალა არ შესწევდა რაიმე სერიოზულ ღონისძიებათა გასატარებლად, კერძოდ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ღონისძიებათა განხორციელებისათვის.

მთავრობის კრიზისმა ქრონიკული ხასიათი მიიღო. რადგან პარლამენტში ძალთა განწყობილება ისეთია (ასი დეპუტატი დაყოფილია 26 ჯგუფად), რომ მტკიცე უმრავლესობის შექმნა შეუძლებელია. მანდატების მეტი რიცხვი ეკუთვნის სოციალ - დემოკრატებს (26), შემდეგ მისდევს გლეხურ კავშირის პარტია, რომელიც აშკარად კულაკურია. დანარჩენი პარტიები და ფრაქციები შესდგებიან 1 — 5 კაცისაგან. მათ შორის დაუსრულებელი დავა და კინკლაობა წარმოებს. საქმეს ართულებს შუათან მცირე ჯგუფების მერყეობა, ისინი ქარის ტრიალს მისდევენ და ხან აქეთ არიან, ხან იქით.

ძნელია იმის თქმა, თუ როგორი კაბინეტი შესდგება ლატვიაში. მაგრამ ერთი რამ აშკარაა: კიდეც რომ შესდგეს მემარჯვენეთა მთავრობა, ის ვერ იქნება მკვიდრი და მალე დაეცემა: მათ საკმაოდ გაიტეხეს სახელი წინანდელი ბატონობის დროს. თუ „მემარცხენე" პარტიებს დაუბრუნდა ძალა-უფლება, არც მათი მდგომარეობა იქნება მტკიცე, ვინაიდან მათი ქანაობა, ბრძოლა მშრომელ მასების წინააღმდეგ და მემარჯვენე ელემენტებთან კომპრომისების ძიება „მემარცხენეებს" ფეხიდან ნიადაგს აცლის. ახალ საპარლამენტო არჩევნებს თუ შეუძლია უფრო მტკიცე პოლიტიკურ მდგომარეობის შექმნა ლატვიაში.

⁂

ლატვიის მთავრობის კრიზისის „გადასაწყვეტად" გამალებით მუშაობს ინგლისის დიპლომატია, რომელიც ცდილობს იქ მემარჯვენე ელემენტები წამოასკუპოს ხელისუფლების სათავეში, რათა ამ გზით შეუძლებელი გახადოს ლატვია - საბჭოთა ხელშეკრულების გატარება. ლონდონის [illegible] ხელი მოსჩანს საბჭოთა კავშირთან ბევრ სხვა ქვეყნების დამოკიდებულებაშიც.

ჩვენ აქ გვინდა შევეხოთ სამხრეთ-სლავიის მთავრობის პოზიციას საბჭოთა მთავრობის ცნობის საკითხში. არიან ზოგიერთი ქვეყნები, რომელთაც ჯერ არ „უცვნიათ" საბჭოთა კავშირი და რომელთა მთავრობები თითქო, „თანახმა" არიან გადადგან ეს ნაბიჯი; მაგრამ ისინი ამ „პრინციპიალურ" თანხმობაზე შორს არ მიდიან. ასეთ მდგომარეობაში იმყოფებიან, მაგ, ჩეხია - სლავაკია და სამხრეთ - სლავია. ვინ ჩამოსთვლის, თუ რამდენჯერ განუცხადებია უკანასკნელის საგარეო პოლიტიკის ხელმძღვანელებს, ბენეშს, რომ ჩეხია - სლავაკიასა და საბჭოთა კავშირს შორის ნორმალური ეკონომიური თანამშრომლობა ვითარდება, რასაც ჩეხია - სლავაკიასათვის დიდი მნიშვნელობა აქვს და საჭიროა ამას მოჰყვეს დიპლომატიური დამოკიდებულების აღდგენაო. მაგრამ აქედან ბენეშში აუცილებელ ლოღიკურ დასკვნას არ აკეთებს და რაღაც „ღრმა" მოსაზრებით თავს იკავებს საბჭოთა კავშირის ცნობისაგან.

თუ რა მოსაზრებაა ეს, ამას გულახდილად გვეუბნება მისი კოლეგა სამხრეთ - სლავიის კაბინეტიდან, მარინკოვიჩი. რაც მას პარლამენტის საფინანსო კომისიაში მოთხოვეს განმარტება, თუ რატომ აგვიანებს მთავრობა საბჭოთა კავშირთან პოლიტიკურ ურთიერთობის აღდგენას, მან სიტყვა-სიტყვით განაცხადა: „როგორც ცნობილია ინგლისის - საბჭოთა დამოკიდებულება არ არის დამაკმაყოფილებელი. სამხრეთ - სლავიასა და საბჭოთა კავშირს შორის მეგობრულ ურთიერთობის დამყარება გააუარესებდა, სამხრეთ - სლავია - ინგლისის ურთიერთობას"-ო. ასეთია ოფიციალური აღიარება.

ამით ერთხელ კიდევ მტკიცდება, რომ, ჯერ ერთი, უფრო წვრილი ბურჟუაზიული ქვეყნები ბრმა იარაღს წარმოადგენენ იმპერიალისტურ სახელმწიფოების ხელში და რომ მათ თავისი საკუთარი პოლიტიკა არ გააჩნიათ. შემდეგ, რომ ინგლისის მთავრობა ხელს უშლის, ნებას არ რთავს სამხრეთ - სლავიის მესვეურებს ჩვენთან ნორმალური ურთიერთობა დაამყარონ, წინააღმდეგ ჩემბერლენის მტკიცებისა, თითქო ის ანტისაბჭოთა კამპანიას არ აწარმოებდეს. ბოლოს, სამხრეთ - სლავიის მთავრობა, ისე, როგორც სხვა მსგავსი მთავრობები, ემორჩილება რა ლონდონის კარნახს, აშკარად მოქმედობს თავის ქვეყნის საზიანოდ.

სამხრეთ - სლავიის ეკონომიურ-ფინანსიური მდგომარეობა აწეწილია, ამასთან მას გადაყლაპვას უქადის იტალია - ინგლისის იმპერიალიზმი. ასეთ დროს მისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელია საბჭოთა კავშირთან დაახლოვება. ამას სამხრეთ - სლავიის მასსები დაჟინებით მოითხოვენ. მაგრამ მარინკოვიჩი ლონდონის შიშით ვერ ბედავს სათანადო ნაბიჯის გადადგმას ამ მიმართულებით. არა გვგონია ამან სამხრეთ - სლავიის პრესტიჟი ასწიოს და მისი მთავრობის მდგომარეობა განამტკიცოს. ყოველ შემთხვევაში მარინკოვიჩის „მადლობელი" უნდა ვიყოთ, რომ მან სიმართლე საჯაროთ სთქვა.

ვ. ქ—ლი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკავშირო კომპარტიის (ბ) მე-XV ყრილობის შედეგები

ამხ. მამია ორახელაშვილის მოხსენება თბილისის პარტაქტივის კრებაზე*)

ისტორიული ყრილობა

ამხანაგებო! ლენინურ პარტიას ჰქონდა ზოგიერთი ყრილობები, რომლებიც ნამდვილ ისტორიულ ყრილობებს წარმოადგენენ. ეს ისტორიული ყრილობები წარმოადგენენ ცნობილ უმნიშვნელოვანეს ეტაპებს ჩვენი პარტიის განვითარებაში და ამით გამოხატავენ ეტაპებს პროლეტარული რევოლუციის განვითარებაში. საბჭოთა პერიოდში ასეთი უმნიშვნელოვანესი ისტორიული ყრილობები იყო ყრილობა, რომელმაც განიხილა ბრესტის ზავის პირობები და რომელზედაც წყდებოდა ახლად შობილ საბჭოთა რესპუბლიკის ბედი, შემდეგ მერვე ყრილობა, რომელმაც დაამტკიცა პარტიის ახალი პროგრამა, მეათე ყრილობა, საიდანაც დაიწყო ახალი ეტაპი ჩვენს ეკონომიურ პოლიტიკაში, მე-12-ე ყრილობა, როცა პარტიამ მთელი თავისი სიგრძე-სიგანით დასვა საკითხი ჩვენი საბჭოთა მრეწველობის აღდგენის შესახებ და აგრეთვე ჩვენი ეროვნული პოლიტიკის შესახებ. მეთოთხმეტე ყრილობა, რომელმაც ჩამოაყალიბა ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის პროგრამა, ყრილობა, რომელზედაც ამავე დროს მოხდა ოპოზიციის გამოსვლა ცეკას პოლიტბიუროს წევრის ამხ. ზინოვიევის მეთაურობით. დაბოლოს, მეხუთმეტე ყრილობა, რომელსაც შეგვიძლია უწოდოთ ინდუსტრიალიზაციის პირველი პერიოდის მიღწევების შემოწმების და ჩვენი მეურნეობის სოციალისტურ განვითარების ხუთწლიანის გეგმის დასახვის ყრილობა, და ამავე დროს ყრილობა, რომელზედაც იდეოლოგიურად გავანადგურეთ და ორგანიზაციულად დავშალეთ ჩვენი შინაპარტიული ოპოზიცია, რომელიც ასულდგმულებს ოპოზიციას საერთაშორისო ასპარეზზე, კომინტერნის ასპარეზზე. ამ თვალსაზრისით მეხუთმეტე ყრილობას განსაკუთრებით დიდი საერთაშორისო მნიშვნელობა ეძლევა. თუ ჩვენი პარტია არის ხელმძღვანელი პარტია კომინტერნის, ძალთა ამ ორგანიზატორის, ბურჟუაზიული წყობილების დასამხობად, თუ ამ ჟამად ეს კაპიტალისტური მსოფლიო გააფთრებულ მზადებას აწარმოებს პროლეტარული რევოლუციის წინააღმდეგ, აქედან აშკარაა, რომ ჩვენი ყრილობის პროგრამაში უნდა ყოფილიყო საერთაშორისო საკითხები და ამ საკითხებზე გაცემულ პასუხს უდიდესი მნიშვნელობა აქვს საერთაშორისო პროლეტარულ რევოლუციის პოლიტიკისათვის. კომინტერნის პოლიტიკისათვის ჩვენი კავშირის საშინაო პოლიტიკის საკითხებს, ჩვენ სამეურნეო მდგომარეობის კლასობრივ ურთიერთობის საკითხებს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს პროლეტარულ რევოლუციის შემდგომ ძლევამოსილ განვითარების მხრივ. დაბოლოს, შინაპარტიულ საკითხებს, შინაპარტიული ოპოზიციის დაძლევის საკითხებს, ამ მემარცხენე ფრაზების ოპოზიციის მთელი წვრილ-ბურჟუაზიული სოციალ-დემოკრატიული ბუნების იდეოლოგიურ მხილების და მისი საბოლოო ლიკვიდაციის საკითხებს უდიდესი საერთაშორისო მნიშვნელობა ეძლევა, ვინაიდან ტროცკისტული ოპოზიციის განადგურება ჩვენში, მისი ბუნების გამომჟღავნება მთელი მსოფლიოს მშრომელთა წინაშე,—ეს ნიშნავს ყველა იმ წვრილ-ბურჟუაზიული ელემენტების დაძლევას, რომლებიც, როგორც საწამლავი, ჩაეწვეთენ ზოგიერთ ადგილას კომინტერნის ორგანიზმში და ცდილობენ ხელი შეუშალონ კომინტერნის სექციების ბოლშევიზაციის პროცესს.

საერთაშორისო მდგომარეობა

თავის თავად ცხადია, ჩვენი პარტიის ცეკას საანგარიშო მოხსენებაში წამოყენებული იყო საერთაშორისო ხასიათის საკითხები. ეს საკითხები შეადგენდა აგრეთვე ამხ. ბუხარინის ვრცელი მოხსენების და მოხსენების გარშემო გამართულ კამათის საგანს. ამ უამრავ ფაქტებიდან საერთაშორისო ცხოვრების სხვადასხვა სფეროებში, ჩვენ უნდა ამოვირჩიოთ მხოლოდ ძირითადი, რაც ახასიათებს ხანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობას.

ჩვენთვის, რომლებმაც ჩავატარეთ ყრილობის წინა დისკუსია, რომელშიაც ამგვარი ხასიათის საკითხებს პირველი ადგილი ეჭირა,—ჩვენთვის არ არის საჭირო თბილისის აქტივის კრებაზე ხელ-ახლა გადმოვალაგოთ საერთაშორისო მდგომარეობის და ჩვენი საერთაშორისო პოლიტიკის ყველა ფაქტები. რომლებიც ასე უხვათ არის მოცემული ცეკას და კომინტერნში მყოფ ჩვენი დელეგაციის საანგარიშო მოხსენებებში,—ჩვენთვის საკმარისია შევჩერდეთ მხოლოდ უმთავრეს საკითხზე-სახელდობრ—ჩვენი კაპიტალისტური გარემოცვის შესახებ, რომელიც წარმოადგენს პროლეტარული რევოლუციის უმთავრეს მტერს. რა ეკონომიური და პოლიტიკური ხასიათის პროცესები ახასიათებს ამჟამად ამ კაპიტალისტურ გარემოცვას, აგროვებს თუ არა ეს კაპიტალისტური გარემოცვა თანდათან მეტ ძალებს, რომ საბოლოო გადამწყვეტი ბრძოლა გაგვიმართოს ჩვენ. თუ ამ ძალების დაგროვების პროცესებს, კაპიტალიზმის სტაბილიზაციის პროცესებს თანსდევს საწინააღმდეგო პროცესები. რომლებიც უკვე ძირს უთხრიან ამ სტაბილიზაციას და ამით გვაძლევენ პროლეტარული რევოლუციის პერსპექტივებს, ახლოვებენ საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებას ჩვენი კავშირის საზღვრებს იქით?

კაპიტალიზმის „სტაბილიზაცია“

მე-15 ყრილობამდე არსებობდა ერთი მდგომარეობა, როგორც კაპიტალისტური ეკონომიკის დარგში, ისე მის პოლიტიკაში. მე-15 ყრილობისათვის ევროპის სახელმწიფოთა ეკონომიკაშიაც და პოლიტიკაშიაც უკვე მოსჩანს ერთგვარი ახალი პროცესები, ეს პროცესები პრინციპიალურად, რასაკვირველია, ახალი არაა, მაგრამ თვისებრივად ახალი მდგომარეობა შეიქმნა.

რანაირია ეს მდგომარეობა?

ამხანაგებო, ჩვენ მოვალენი ვართ სინამდვილეს თვალი თვალში გაუყაროთ. ბოლშევიკს სირაქლემას პოლიტიკა არ შეშვენის, არ შეჰფერის სინამდვილის ხელოვნურად გალამაზება, ილუზიის შექმნა. ჩვენ რეალური პროლეტარული რევოლუციონერები ვართ და ეს რეალობა გვეუბნება, რომ სტაბილიზაციამ ეკონომიურ დარგში, ე. ი. კაპიტალიზმის რიცხვობრივი წარმატების მხრით განსაზღვრულ დონეს მიაღწია: კაპიტალიზმმა ომის წინადროინდელი ეკონომიური დონე აღადგინა. ეკონომიკის ყველა მაჩვენებელი ნიშნების მიხედვით ომის წინადროინდელი დონე მიღწეულია, ზოგიერთ დარგში გადაცილებულია კიდეც. რაც უნდა ავიღოთ: ფოლადი იქნება, თუჯი, ნავთი, ბამბა თუ სხვა რამ, ყველაფერში. ყველა ამ მაჩვენებელ ნიშნების მიხედვით მიღწეულია ომის წინადროინდელი დონე, გარდა ნახშირისა, რომელიც ჯერ კიდევ ჩამორჩენილია, უეჭველია, ინგლისში. მომხდარი გაფიცვის წყალობით. ამასთანავე უნდა ვსთქვათ, რომ კაპიტალიზმის საწარმოო ძალთა გაძლიერებაში ისეთი ქვეყნები იღებენ მონაწილეობას, რომლებიც სწრაფად მიექანებიან წინ, როგორიც, მაგალითად, ამერიკაა და, რაოდენამდე იაპონიაც. ევროპის ქვეყნები ამ ქენიბაში უკან ჩამორჩებიან. ამავე დროს კაპიტალიზმმა მოახერხა თავისი კაპიტალისტური რაციონალიზაციის განხორციელება.

კაპიტალისტურ „სტაბილიზაციის“ მთავარი წინააღმდეგობა

რევოლუციის განვითარებისათვის ეს მინუსია, თუ საქმეს მეტაფიზიკის თვალსაზრისით შევხედავთ. აი, ჩვენ გვეგონა, რომ ბურჟუაზია თავს ვეღარ დააღწევს იმ ჩიხს, რომელშიც იგი ომმა მოამწყვდია, ახლა კი ვხედავთ, რომ კაპიტალიზმმა ომის წინადროინდელი დონე აღადგინა. ძალიან ცუდი იქნებოდა, ჩვენ რომ ასეთი მეტაფიზიკური თვალსაზრისი გვქონებოდა, თუ ასეთი თვალსაზრისით შემოვიზღუდებოდით და უფრო ღრმად და შორს არ დავიწყებდით ცქერას. კაპიტალიზმის ამ წარმატებას თან სდევს მინუსები, რომლებიც კაპიტალიზმს აქვს, რომელთა დაძლევა კაპიტალიზმს არ შეუძლია, რომელთა დაძლევისათვის უკვე ომის მეთოდებია საჭირო. ევროპიული კაპიტალიზმი დაეწია და გადასცდა წარმოების ომისწინადროინდელ დონეს, მან წარმატებას მიაღწია რაციონალიზაციის დარგში, წარმოების ახალ დარგებში. (გერმანიაში ლაპარაკია არა მარტო ელექტროფიკაციის შესახებ, არამედ გაზოფიკაციის შესახებ; იქ საშუალება გამონახეს, რომ ქვანახშირი სათბობ სითხედ გადააქციონ, რაც მრეწველობაში ერთგვარ რევოლუციას წარმოადგენს). მაგრამ ამასთანავე ერთად კაპიტალიზმი ისეთ მდგომარეობაში ვარდება. როდესაც მისი საწარმოო შესაძლებლობანი არ შეეფერება იმ ბაზარს, რომელიც კაპიტალიზმის განკარგულებაშია. ბურჟუაზიის საწარმოო მანქანა იმდენს მუშაობს და მისი საწარმოო ძლიერება იმდენად დიდია, რომ ბაზარი არ ეყოფა პროდუქციის გასასაღებლად, ნედლეულობის გასატანად, კაპიტალის ექსპორტისათვის. ამაშია ძირითადი წინააღმდეგობა. „აღდგენილი“ ევროპა დასერილია 26 სახელმწიფოებრივი საზღვრით. კოლონიებმა ამ ხნის განმავლობაში, ომის განმავლობაში საკუთარი ინდუსტრია განავითარეს, თუმცა მეტროპოლიის, კერძოდ, ინგლისის ბურჟუაზია ამას ეწინააღმდეგებოდა.

ამგვარად, ბაზრის საკითხები, მსოფლიოს ხელ-ახალი დაყოფის საკითხები, ცხადია, ძლიერთა უფლების მიხედვით, კაპიტალისტური ევროპის დღის წესრიგში დგება. ამ საკითხის გადაუჭრელად ამაოდ ჩაივლის რაციონალიზაციის შედეგებიც, შეიძლება ამაოდ ჩაიაროს აგრეთვე მრეწველობის საერთო გაძლიერების შედეგებმაც, ვინაიდან საკმაო ბაზარი არ არის, საკმაო არ არის მსყიდველობითი უნარის მოთხოვნილება. ამაშია ძირითადი, მთავარი წინააღმდეგობა ახლანდელი კაპიტალიზმის ეკონომიურ პირობებში. რა უდევს საფუძვლად იმ „დისპროპორციას“, რომელიც არსებობს კაპიტალისტური მეურნეობის საწარმოო ძლიერებასა და მსყიდველობითი უნარის მოთხოვნილებისა უქონლობას შორის?

ბაზრის სივიწროვის ერთ-ერთი მიზეზი

მე უკვე ვსთქვი:—ომის შემდეგდროინდელი ევროპისა და კოლონიების რუკამ, მეთქი: მაგრამ მეორე მხრით არსებობს სხვა, უმნიშვნელოვანესი ფაქტორიც — მასების თანდათანობითი გაღარიბება. კაპიტალისტურ წარმოებაში ომის წინადროინდელი დონის მიღწევას თან არ სდევს მეორე პროცესი, რომელიც თითქოს თავის თავად უნდა იგულისხმებოდეს, მშრომელთა ხელფასის, უპირველეს ყოვლისა, პროლეტარიატის ხელფასის გადიდება, ომის წინადროინდელ დონემდე.

ზღაპრებია ის, რასაც აქამდე ლაპარაკობდნენ: ვითომც ევროპის სხვადასხვა სახელმწიფოში ხელფასმა მიაღწია და გადასცდა კიდეც ომის წინადროინდელ დონეს. უკანასკნელი ზედმიწევნილი გამოკვლევანი ადასტურებენ, რომ ევროპის არც ერთ სახელმწიფოში ხელფასმა ომის წინადროინდელ დონეს ვერ მიაღწია. ინგლისში ხელფასი 90 პროცენტამდე ავიდა, საფრანგეთში 60 და 80 პროცენტს შუა ქანაობს, გერმანიაში დაახლოებით 75 პროცენტამდეა ასული და მხოლოდ ამერიკაში ხელფასი 30 პროცენტით უფრო მეტია, ვიდრე ომამდე იყო.

აშკარაა, რომ მშრომელთა ფართო მასები, პირველ რიგში პროლეტარიატი არაა ამჟამად იმ პროდუქციის საკმაოდ მომხმარებელი, რომელსაც უშვებს ბაზარზე კაპიტალისტური, კაპიტალისტური წესით რაციონალიზაციაქმნილი, წარმოება.

ამრიგად, წარმოების გაფართოება, ხდება მშრომელი მასების გაღატაკების ხარჯზე და პროლეტარიატის ეკონომიური დაქვეითების საფუძველზე, ამაშია თანამედროვე კაპიტალისტური სისტემის კოლოსალური წინააღმდეგობა. ამ წინააღმდეგობის, ამ მაკრატლის ნიადაგზე უკვე წარმოიშვა ის დიდი სოციალური კონფლიქტები, რომლებიც ჰქვებავენ საერთაშორისო პროლეტარულ რევოლუციას.

ვიმეორებ, კიდევაც რომ არ იყოს ჩვენს თვალწინ თანამედროვე ევროპა, არ გვქონდეს ცნობები იმ ამბების შესახებ, რომლებიც არყევენ კაპიტალისტურ წყობილებას, ჩვენ, როგორც მარქსისტებს მაინც შეგვეძლო გვეწინასწარმეტყველებია, თუ საიდან წამოვა პროლეტარული რევოლუციის ახალი ტალღა. მარქსი სწერდა: „კაპიტალის იმ მაგნატების რიცხვის მუდმივ შემცირებასთან ერთად, რომლებიც ახდენენ გადატრიალების ამ პროცესის ყველა სარგებლობის უზურპაციასა და მონოპოლიზაციას, იზრდება სიღატაკისა, ჩაგვრისა, დამონებისა, გადაგვარებისა და ექსპლოატაციის მასა, მაგრამ ამასთანავე ერთად იზრდება იმ მუშათა კლასის აღშფოთებაც, რომელიც განუწყვეტლივ იზრდება რიცხობრივად, იბრძმედება, ერთიანდება და ირაზმება თვით კაპიტალისტური წარმოების მექანიზმით“. („კაპიტალი“, ტ. 1., თავი 24 „კაპიტალისტური დაგროვების ტენდენცია ისტორია“).

წითელი აჩრდილი ევროპაში

ამას სწერდა მარქსი, რა თქმა უნდა, იმპერიალისტურ ომამდე. ამჟამად ევროპის პროლეტარიატი უკვე გამობრძმედილია არა მარტო თვით წარმოების პროცესში, არამედ იმპერიალისტური ომის და შემდეგ რევოლუციისა და კონტრ - რევოლუციის ქარ-ცეცხლში. ომსა და შემდგომ კონტრ - რევოლუციის ხანაში მიღებულ გამოცდილებას პროლეტარიატისათვის ფუჭად არ ჩაუვლია. რატომაა, რომ კაპიტალისტურმა ევროპამ, რომელიც თითქმის წელში გასწორდა, ამჟამად აღადგინა თავისი წარმოების ომის წინა დროინდელი დონე, რატომაა, რომ ამჟამად ევროპაში უკვე აღარ მიმართავენ პარლამენტარიზმისა და დემოკრატიზმის მეთოდებს, თუნდაც იმ გადამახინჯებული ბურჟუაზიული ფორმით, რომელიც არსებობდა ევროპაში ომამდე? რატომაა, რომ ყველაზე უფრო „დემოკრატიულ“ ქვეყნებს ამჟამად ჰყავთ ფაშისტური მთავრობები? იმიტომ, რომ შიშველი ძალადობის რეჟიმით ხელი შეუშალონ პროლეტარულ რევოლუციას, რომელიც იზრდება თანამედროვე ევროპის ეკონომიური ურთიერთობის ნიადაგზე. რევოლუციის აჩრდილი კვლავ დადის როგორც კოლონიებში, ისე ევროპის დედა ქალაქებისა და სამრეწველო ქალაქების ქუჩებში. ის — კომუნიზმის აჩრდილია. როცა პროლეტარი ან საერთოდ ჩაგრული იწყებს რევოლუციონურ ენაზე ლაპარაკს, ეს იმას ნიშნავს, რომ ის ლაპარაკობს კომუნიზმისა და საბჭოთა ხელისუფლების ენაზე, ვინაიდან 1914 წლიდან რევოლუციონერი ნიშნავს კომუნისტ „ბოლშევიკს“ და პირიქით. არც სხვა პარტიას (პირველ რიგში აქ იგულისხმება სოციალ - დემოკრატია) არაფერი საერთო არა აქვს რევოლუციასთან, სოციალ - დემოკრატია ომის დროს და მას შემდეგ იქცა ბურჟუაზიის მესამე პარტიად.

რევოლუციონური ტალღა იზრდება

ამრიგად, ბურჟუაზიულ ეკონომიკას აქვს რაოდენობითი მიღწევები, მაგრამ ეს მიღწევები ემყარება მშრომელი მასების გაღატაკებასა და ჩაგვრას. აქედან გამომდინარეობს აღშფოთების ის ელემენტები, მუშათა კლასის გამემარცხენებისა და გარევოლუციონერების ის ელემენტები, რომლებიც შეადგენენ პროლეტარული რევოლუციისა და აქ რევოლუციის ხელმძღვანელ კომუნისტური პარტიის ცხოველმყოფელ წყაროს. ამჟამად ევროპის კომპარტიების მდგომარეობა მნიშვნელოვნად განსხვავდება იმ მდგომარეობისაგან, რომელიც ჩვენ გვქონდა ორი წლის წინად. ამჟამად ევროპის კომუნისტური მოძრაობა უკვე თავს აღწევს იმ ნაწილობრივი დაქვეითების ხანას, რომელიც მან განიცადა ამ ორი-სამი წლის წინად. ამჟამად ეს ტალღა, პროლეტარიატის ვეებერთელა მასების გამემარცხენების ტალღა, რევოლუციონური აღტკინების ტალღა, უკვე აშკარაა. ამას მოწმობს პოლიტიკური ხასიათის მთელი რიგი სიმპტომები, რომელთაც ადგილი ჰქონდა ევროპაში ამ უკანასკნელ დროს. ავიღებთ ჩვენ არჩევნებს, თუ ისეთ უბრალო შემთხვევას ბურჟუაზიული სახელმწიფოებისათვის, როგორიც ბურჟუაზიული მართლმსაჯულების მიერ ბურჟუაზიულ ელექტრონის სკამზე ორი მუშა ანარქისტის — საკოსა და ვანცეტის სიკვდილით დასჯაა, ავიღებთ ვენის ამბებს, ტულონის ამბებს საფრანგეთის საზღვაო სტუსალოში, წითელი ფრონტელების ყრილობას გერმანიაში და მთელ რიგ ანალოგიურ მოვლენებს, —ყოველივე ეს მოწმობს ევროპის მუშათა კლასის გამემარცხენების პროცესს. ეს წმინდა წყლის რევოლუციონური მოძრაობაა, რომელსაც ადგილი არ ჰქონია ამ რამდენიმე წლის წინად, ვინაიდან იმ რევოლუციონური ომის შენელების შემდეგ, რომელიც მოჰყვა რევოლუციონურ გამოსვლას, გერმანიაში, ავსტრიაში და სხვა ქვეყნებში, ჩამოვარდა ერთგვარი სიწყნარე. ამჟამად ჩვენ ვამჩნევთ მთელ რიგ აშკარა პოლიტიკურ გამოსვლებს. პროლეტარიატის ეკონომიურ ბრძოლას, გაფიცვების ტალღას, რომელიც ხანგამოშვებით მოედება მთელ ევროპას. ეს გაფიცვები, 1926—27 წლის გაფიცვები მარტოოდენ ეკონომიური გაფიცვები როდია, მათ ხშირად ისეთი ხასიათი აქვთ, როგორიც ჰქონდა რუსეთის მუშათა კლასის გაფიცვებს, — ამ გაფიცვებს ახასიათებს პოლიტიკურ გაფიცვებად გადაქცევის ტენდენცია.

თუ ამ თვალსაზრისით შევხედავთ, ევროპის მდგომარეობას, უნდა ვთქვათ, რომ სტაბილიზაცია ფაქტად რჩება, რომ სტაბილიზაციამ მიიღო განსაზღვრული დასაყრდენი ბურჟუაზიულ მეურნეობის ომის წინა დროინდელ დონემდე მიღწევის სახით, მაგრამ ეს სტაბილიზაცია უკვე ირყევა, ის იბრუნება მთელ რიგ გადამწყვეტ პუნქტებში, ის იბრუნება იმ მხრივ, რომ მუშებს არა აქვს ომის წინადროის სამუშაო ხელფასი, რომ მუშებს ზოგიერთ ადგილებში ემუქრება ძლევამოსილი შემოტევა რვა საათის სამუშაო დღეზე, ხელფასის შემცირება. საარსებო დონის გაუარესება, ზოგიერთ ადგილებში კი ეს მუქარა უკვე მომხდარ ფაქტად იქცა.

სტაბილიზაციის გახრწნა თავს იჩენს იმაში, რომ მთელ რიგ შემთხვევებში მუშათა მასები არღვევენ სოციალ-დემოკრატიულ ფრონტს, მუშათა მასები სტიქიურად გამოდიან ხან იქ, ხან აქ და კენჭის ყრით, უშუალოდ ქუჩაში გამოსვლით, გაფიცვებით ანიშნებენ კომინტერნსაც და შავ - ყვითელ ინტერნაციონალსაც რევოლუციონურ ტალღის ზრდას, მუშათა კლასის გამემარცხენებას.

რა ხდება ახალშენებში

ეს არის ევროპაში. აღმოსავლეთში, კი — კიდევ უფრო ნათლად სჩანს მსოფლიო რევოლუციონურ გაღვივების პროცესი.

კერძოდ, ის, რაც ხდება ამჟამად კოლონიებში, არ შეიძლება არ განვიხილოთ, როგორც ერთგვარი სიმპტომი იმისა, რომ მშრომელთა და ჩაგრულ კოლონიების მოძრაობა საბოლოოდ გადადის რევოლუციის რელსებზე. ჩინეთის რევოლუციამ მიუხედავად უმძიმეს მდგომარეობისა, ადგილ - ადგილ მაინც მიაღწია განვითარების უმაღლეს საფეხურს, სახელდობრ საბჭოთა ხელისუფლების მოწყობას მთელ რიგ მაზრებში და სამხრეთ - ჩინეთის დედა ქალაქ კანტონშიაც კი. თუმცა საბჭოთა ხელისუფლება იქ დაამხვეს და სისხლში ჩაახრჩვეს, მარამ მოძრაობა მთლიანად არ არის დამარცხებული. ის მხოლოდ ჩამოქვეითებულია საბჭოთა სიმაღლეებიდან. ჩინეთის რევოლუცია არ არის წარმავალი ეტაპი, ის მთელ ეპოქას შეადგენს აღმოსავლეთის ხალხთა ისტორიაში, ის წავა საბოლოო გამარჯვებისაკენ მიხვეულ-მოხვეული გზებით, მთელ რიგ დამარცხებების გზით. მე-15 ყრილობა არ გაჰყვა მოწუწუნე ოპოზიციონერებს, მე-15 ყრილობამ გამოააშკარავა შინაგანი ძალები, რომლებიც ასულდგმულებს კოლონიალურ მოძრაობას და რევოლუციებს, საერთოდ ინდოეზიაში, ინდოეთში, სირიაში და ეგვიპტეში, და კერძოდ ჩინეთში. მე-15 ყრილობამ თავის რეზოლუციაში ცეკას ანგარიშისა და ამხ. ბუხარინის მოხსენების გამო, ჯამი გაუკეთა განვლილ ეტაპებს და დასახა მთელი რიგი ამოცანები, რომლებმაც ხელი უნდა შეუწყონ რევოლუციონურ პარტიებს და პირველ რიგში ჩინეთის კომუნისტურ პარტიას, რომ ბრძოლისა და დამარცხებულ შეცდომების ნიადაგზე ხელახლა დააწყონ თავისი რიგები იმ ბრძოლის გასაგრძელებლად, რომლის გამარჯვებით დაბოლოვება უეჭველია, რამდენადაც ეს ბრძოლა, კოლონიალურ ჩაგრულ ხალხთა ბრძოლა ამტკიცებს ევროპის პროლეტარიატის რევოლუციონურ მოძრაობას, და თითონაც ღებულობს სამაგიეროდ სიმტკიცეს. ევროპის მუშათა მოძრაობა, რომელიც გვიჩვენებს გამემარცხენების, გარევოლუციონერების ნიშნებს, პოულობს ძლიერ დახმარებას, საკმაოდ მაგარ დასაწვრებს იმ მოძრაობაში, რომელსაც უკვე ამჟამად აქვს ადგილი კოლონიალურ ქვეყნებში. ჩინეთის რევოლუცია ხდება ინდონეზიისა და ინდოეთის მეზობლად. მართალია ინდოეთის ნაციონალური მოძრაობა ჯერ კიდევ არ იმყოფება რევოლუციონურ სტადიაში, არამედ მხოლოდ რევოლუციის წინა სტადიაშია, მაგრამ ის ენა, რომლითაც ინდოეთის ეროვნული კრება უკვე იწყებს ლაპარაკს ინგლისის კონსერვატორების მთავრობასთან, ის ორგანიზაციული და პოლიტიკური ლოზუნგები, რომლებსაც იღებს ინდოეთის პარლამენტი, მთელი ის ატმოსფერო, რომელიც შექმნილია იქ, მოასწავებს იმას, რომ ინდოეთი სწავლობს „რუსულ ენაზე“, ე. ი. საბჭოთა ენაზე ლაპარაკს. ლაპარაკს პროლეტარულ რევოლუციის ენაზე, რომელიც სოციალისტურ რევოლუციას აკავშირებს ჩაგრულ ხალხთა რევოლუციასთან.

კომინტერნის მორიგი ამოცანები

როგორია ჩვენი ამოცანები საერთაშორისო ასპარეზზე? პირველ რიგში ჩვენი საზღვარგარეთის სექციების ბოლშევიზაციის პროცესი.

ბოლშევიზაციის პროცესი ხდებოდა ამ წლებში, მაგრამ არასაკმაო ტემპით.

ჩვენი საქმისათვის, ამ დიდი ტერიტორიისათვის, რომლის ზიდვა იკისრა მსოფლიო კომუნისტურმა პარტიამ, ეს ტემპი საკმაო არ არის. ჩვენ ევროპაში გვყავს საკმაოდ ძლიერი, ყოველმხრივ ბოლშევიკური პარტიები. ჩვენ გვყავს მშვენიერი კომუნისტური პარტია გერმანიაში, გვყავს 60 ათასიანი პარტია საფრანგეთში, აგრეთვე გვყავს მრავალრიცხოვანი პარტია ჩეხო - სლოვაკიაში, მაგრამ ამ მოწინავე პარტიებსაც კი, რომლებიც მუშაობენ ბურჟუაზიულ ლეგალობის პირობებში, ჯერაც აქვს მთელი რიგი დეფექტები, რომლების მოსპობას კომინტერნი ცდილობს იმ მოვლენათა მოლოდინში, რომლებსაც აუცილებლად უნდა დაურჩეს ადგილი ევროპაში უახლოეს დროში, თუ დროს, რა თქმა უნდა, წლობით ვიანგარიშებთ.

თუ ავიღებთ არალეგალურ პარტიებს, მაგალითად პოლონეთის კომპარტიას და შუა ევროპისა და ბალკანეთის განადგურებულ პარტიებსაც კი, აქაც არის ამ პარტიების გავლენის ზრდის ნიშნები. მაგრამ დამახასიათებელი ის, რომ ის მოვლენები, რომლებსაც ლენინური, ბოლშევიკური პარტია უწინ არაერთხელ აჰყავდათ პირდაპირ უმაღლეს საფეხურზე, ეს მოვლენები, პოლიტიკურ და ეკონომიურ ხასიათისა, ჩვენი საზღვარგარეთის პარტიებისათვის ისე მიმდინარეობს, რომ ეს პარტიები საკმაო ორგანიზაციულ ეფექტს ვერ ღებულობენ ამ პოლიტიკურ მოვლენებიდან.

ინგლისში, ვენაში, გერმანიაში და სხვ. მომხდარი ამბები ისეთი ხასიათის იყო, რომ ჩვენს პარტიას ასეთ პირობებში უნდა შეეძინა არა მარტო პოლიტიკური კაპიტალი, არამედ მორალური, ორგანიზაციული კაპიტალიც.

ბოლშევიზაცია იმაშიაც უნდა იჩენდეს თავს, რომ ჩვენი პარტიის პოლიტიკური წარმატებები ორგანიზაციულადაც უნდა განმტკიცდეს, რომ პარტია იდეურად უნდა იზრდებოდეს. თვითეულ პოლიტიკურ კამპანიის შემდეგ, რომელიც ტარდება მისი ხელმძღვანელობით. მაგალითად, ჩვენი საზღვარგარეთის სექციების თეორეტიული დონე დაბალია საკავშირო კომპარტიის (ბ) დონესთან შედარებით.

მეორეს მხრივ ამ სექციებში ადგილი არა აქვს საკმაო ინტერნაციონალიზმს, რა თქმა უნდა, იმიტომ კი არა, რომ ამ სექციებში ადგილი ჰქონდეს რაიმე „ნაციონალურ გადახრას“. რამდენადაც ბოლშევიზაციის პროცესს ღრმად არ გაუდგამს ფესვები და არ შეხებია ორგანიზაციის თვითეულ საფეხურს, ეს თავს იჩენს იმაშიაც, რომ ადგილი არა აქვს ინტერნაციონალიზმის საკმაო შეგნებას, ადგილი არა აქვს იმას, რომ შეტევას, რომელიმე ჩვენს ორგანიზაციაზე ინგლისში ან ჩინეთში ყველა სხვა სექციები გრძნობდენ როგორც თავის საკუთარ ტკივილს და უპასუხებდენ ამ შეტევას, როგორც საკუთარ მტკივან ადგილზე შეხებას.

ეს მათი დანაშაული კი არ არის, არამედ ჯერ - ჯერობით მათი უბედურებაა. ამ უბედურების დაძლევა საჭირო იქნება გაძლიერებული ტემპით.

გზა უპარტიო მშრომელ მასსებისაკენ

დაბოლოს ჩვენმა კომუნისტურმა სექციებმა საზღვარგარეთ უნდა შესცვალონ მასების დაპყრობის მეთოდი, სხვანაირად უნდა მიუდგენ ამ საკითხს. მთლიანი ფრონტის დაპყრობა უნდა სწარმოებდეს ქვევიდან. ამავე დროს საჭიროა კონტაქტი პროფკავშირების ზედა ფენებთანაც ლენინიზმის თვალსაზრისით ჩვენ სავსებით მართალი ვიყავით, როცა ურთიერთობას ვიჭერდით ხიკსთან; პერსელთან და სხვ., მაგრამ რამდენათაც მათ უკვე გამოამჟღავნეს თავისი ბუნება, რამდენადაც ჩვენ ვამხილეთ მათი მოღალატეობა მუშათა კლასის მიმართ, რამდენათაც მათ ჩაშალეს ინგლის-რუსეთის კომიტეტი, ეს ნიშნავს იმას, რომ ჩვენ უნდა ვაწარმოოთ გაძლიერებული ბრძოლა მთლიანი ფრონტისთვის და ამავე დროს გენსაბჭოს და სხვ. პროფბიუროკრატების სოციალ-იმპერიალისტურ ხელმძღვანელ წრეების შესაცვლელად. ჩვენ ხაზს უსვამთ სწორედ ქვედა ფენების ფრონტის მთლიანობას. და ამ მიზნებისთვის პროფინტერმა უნდა გააძლიეროს თავისი მუშაობა საკავშირო ცენტრალურ პროფსაბჭოსთან კონტაქტში. მაგრამ ეს არ არის საკმარისი, ვინაიდან ჩვენ უნდა დავეყრდნოთ არა მარტო პროფკავშირებს, არამედ აგრეთვე იმ მრავალრიცხოვან უპარტიო გაერთიანებებსა და კავშირებსაც, რომლებიც ამჟამად არის ევროპაში და ამიტომ კომინტერნი აყენებს საკითხს ამ უპარტიო ორგანიზაციების დაპყრობის შესახებ. ოქტომბრის ათი წლის თავზე, მოსკოვში გაიმართა საბჭოთა კავშირის მეგობართა კონგრესი, საჭიროა განვამტკიცოთ ეს მიღწევები. ჩვენ მოწმე ვიყავით იმის, რომ გერმანიის წითელ ფრონტელებმა დასდევს ფიცი, რომ არ დაუშვებენ საბჭოთა კავშირზე თავდასხმას და დაიცავენ კავშირს საკუთარი ბურჟუაზიის იერიშებისაგან.

ეს არის ისეთი მოვლენა, რომელსაც უნდა დაეყრდნოს კომინტერნი და რომელიც უნდა გამოიყენოს მან ბოლომდე. უნდა გამოვიყენოთ ევროპის და აღმოსავლეთის მთელი რიგი სხვა ორგანიზაციები, რომლებიც პირდაპირ „მოითხოვენ“ ჩვენ კომუნისტურ ხელმძღვანელობას. ამით ჩვენ ვავსუსტებთ კონტრ-რევოლუციონურ სოციალ-დემოკრატიის გამხრწნელ გავლენას.

ბურჟუაზიის მესამე პარტია

არ არსებობს უფრო მნიშვნელოვანი დაბრკოლებები, უფრო შეურიგებელი მტერი, უფრო გაიძვერა და საზიანო, ვიდრე საერთაშორისო სოც.-დემოკრატია, რომელიც, ვიმეორებ ბურჟუაზიის მესამე პარტიათ გადაიქცა. ისინი უმთავრეს დაბრკოლებას წარმოადგენენ მუშათა მასების დაპყრობის საქმეში, ისინი სთესენ გახრწნის შხამს, პაციფიზმის შხამს, ჰქადაგებენ, რომ რევოლუციის და სისხლიღვრის გარეშე, უბრძოლველად შესაძლოა სოციალისტური წყობილების დამყარება. ისინი წარმოადგენენ ბურჟუაზიის მთავარ აგენტურას, მათ არამც თუ პოლიტიკურად უარყვეს კლასობრივი ბრძოლა, არამც თუ ამოშალეს თავის პროგრამაში სიტყვა კლასობრივი ბრძოლა, არამედ ისინი გადაიქცნენ კიდეც კაპიტალისტური წყობილების მოციქულთა არმიად.

სოციალ-დემოკრატიის მნათობნი, როგორიცაა ჰილფერდინგი და ბაუერი, არამც თუ ზურგს უმაგრებენ პოლიტიკურად ბურჟუაზიას, არამედ აგვირგვინებენ კიდეც კაპიტალისტურ წყობილებას. თვით ბურჟუაზიული ეკონომისტი ზომბარტიც აღიარებს, რომ ომის შემდეგ ევროპის კაპიტალიზმს მოსძვრა პირველი კბილი, რომ დაიწყო მისი სიბერე. სიდამპლის წინაგრძნობა ცხვირში სცემს ბურჟუაზიულ სოციოლოგს ზომბარტს, სოციალ-დემოკრატებს კი სამარცხვინო უპირატესობა აქვთ მის წინაშე თავისი ხელობით, რომელიც გამოიხატება ბურჟუაზიულ სინამდვილის შეფერადებაში. ისინი კაპიტალიზმს ხატავენ, როგორც წყობილებას, რომელიც უზრუნველყოფს მუშათა კლასის უმტკივნეულო განვითარებას მის წიაღში, უმტკივნეულო გადასვლას სოციალიზმში. ეს სოციალ-დემოკრატიული შხამი უნდა მოვსპოთ. საზღვარგარეთის სექციების აგიტაცია და მთელი მუშაობა პირველ რიგში მიმართული უნდა იქნეს სოციალ-დემოკრატიულ ილიუზიების დაძლევისაკენ. მათ უნდა გამონახონ საწინააღმდეგო საშუალება იმ გამხრწნელ გავლენის წინააღმდეგ, რომელიც ამჟამად აქვთ სოციალ-დემოკრატებს მუშათა კლასში, უნდა ებრძოლონ სოციალ-დემოკრატების მიერ დანერგილ პაციფიზმს, რომელიც სთვლის, რომ ერთა ლიგა არის კაცობრიობის მფარველი ანგელოზი, რომელიც უნდა იცნოს პროლეტარიატმა, ჩასთვალოს მშვიდობიანობის დაცვის ნამდვილ ორგანოთ და სხვ. ამას ჩვენ უნდა ვებრძოლოთ.

საბჭოთა კავშირი მშვიდობიანობის სადარაჯოზე

ჩვენ უკვე ვებრძვით მას. ჩვენმა დელეგაციამ ჟენევაში ამხილა არა მარტო ბურჟუაზიის გაუმაძღრობა, არამედ წვრილ ბურჟუაზიის პაციფისტური მშვიდობიანობის ილიუზიები, რომლებსაც ამჟამად მხარს უჭერს სოციალ-დემოკრატია. შეიძლება თუ არა ამის შეთავსება, შეგვიძლია თუ არა ჩვენ მარქსისტებს, კომუნისტებს მხარი დავუჭიროთ ბურჟუაზიულ ევროპის მშვიდობიანობას და ამავე დროს ვამხილოთ პაციფისტური ილიუზიები. შეგვიძლია და საჭიროც არის ასე მოვიქცეთ, ვინაიდან ამჟამად მშვიდობიანობა მსოფლიოს სოციალისტურ სექტორისათვის წარმოადგენს საჭირო ორანჟერეას, სადაც მწიფდება კაპიტალისტურ წყობილების დაძლევის ელემენტები. მშვიდობიანობას, დროებით შესვენებას ჩვენ გამოვიყენებთ სოციალისტურ წყობილების მტკიცე საძირკვლის მოსამზადებლად, რაც უზრუნველყოფს ჩვენს საბოლოო გამარჯვებას და ამიტომ გამოვდივართ რა ერთა ლიგის წინააღმდეგ, რომელიც წარმოადგენს ბურჟუაზიის მტაცებლობის და ყაჩაღობის საფარს, ჩვენ იმავე დროს ვიცავთ მშვიდობიანობას, რამდენათაც ის ჩვენთვის საჭირო და აუცილებელია, როგორც ჩვენი საალმშენებლო ძალების მოსამზადებელი ეტაპი, რომელიც შესაძლებლობას მოგვცემს განვამტკიცოთ ჩვენი საბჭოთა წყობილება, რაც უზრუნველყოფს მსოფლიო რევოლუციის გამარჯვებას.

და ამიტომ ყრილობაზე ჩვენ უკვე აღარ ვხედავდით იმ საძაგელ ხითხითს, რომელიც ისმოდა ჩვენი საგარეო პოლიტიკის გარშემო გამართულ დისკუსიის დროს. ოპოზიცია ერთ დროს იღრიჭებოდა იმის გამო, რომ ჩვენ მზადა ვართ გადავიხადოთ ომის წინა დროინდელი ვალების ნაწილი, რათა მივიღოთ კრედიტი აღმშენებლობისათვის. ამხანაგებო, ეს იყო ვალების საკითხის ლენინურად დაყენება და ეს სჩანს იქედან, რომ მიუხედავად ოპოზიციის ყვირილისა, რომ ეს არის საბჭოთა კავშირის გაყიდვა, სრული კაპიტულიაცია საფრანგეთის კაპიტალის წინაშე, საფრანგეთის მთავრობამ არ მიიღო ჩვენი თანხმობა „კაპიტულიაციაზე“ მარტო აქედან შეგვიძლია მტკიცედ დავასკვნათ, რომ ჩვენი პოლიტიკა იყო სწორი, იყო რევოლუციონური და ამიტომ მიუღებელი აღმოჩნდა ჩვენი კონტრრევოლუციონური კონტრაგენტებისათვის. და ამიტომ რაკოვსკი, რომელიც ყველაზე მეტს ჰყვიროდა ცეკას უკანასკნელ პლენუმზე, რომელიც მოსკოვის კონფერენციაზე განირჩეოდა თავის „მებრძოლი“ განწყობილებით, ყრილობაზე დაკმაყოფილდა მხოლოდ იმით, რომ შეეცადა გაემართლებია თავი, თითქოს მათ „მიაწერეს „უგუნური“, პირდაპირ იდიოტური“ აზრი. ყრილობა დაეთანხმა, რომ ეს დახასიათება სწორია, რომ რაკოვსკის „აზრი“ ომის შესახებ მართლაც უგუნური და იდიოტურია.

ძველი ვალების საკითხი

რათაც არ უნდა დაგვეჯდეს უახლოეს პერიოდში გვესაჭიროება მშვიდობიანობა. ცხადია „რათაც არ უნდა დაგვიჯდეს“ არ ნიშნავს, რომ ჩვენ მზად ვართ დავთმოთ ოქტომბრის რევოლუციის თუნდაც ერთი მბრძანებელი მაღლობი. ეს ყველასათვის ცნობილია და გამეორება საჭირო არ არის.

ჩვენ მზად ვართ ცოტა რამ გავიღოთ ომის თავიდან აცილებისათვის. ამავე დროს ვსარგებლობთ წინააღმდეგობით ბურჟუაზიულ სახელმწიფოებს შორის, და ვიხდით ომის წინადროინდელ ვალების ნაწილს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეხლავე მოგვცემენ კრედიტებს, რომლებშიაც ჩვენ ვიძლევით გადიდებულ პროცენტებს, ვსთვლით რა ამას ომის წინადროინდელი ვალების გადახდათ. ომის წინადროინდელი ვალების ნაწილის ეს ანაზღაურება არის ზედმეტი პროცენტი იმ კაპიტალზე, რომელსაც ჩვენი კონტრაგენტებისაგან მოვითხოვთ ჩვენი ეკონომიკის განაყოფიერებისათვის, ეკონომიკის, რომელსაც არავის არ ვაძლევთ, არ ვყიდით, ვინაიდან ამ ეკონომიკაში არის ჩვენი ძალა, ამ ეკონომიკიდან წარმოიშობა ის ელემენტები, რომლებიც არა მარტო განამტკიცებენ საბჭოთა ხელისუფლებას, არამედ იქნებიან კაპიტალისტური გარემოცვის დაშლის ფერმენტი, პროლეტარული რევოლუციის ფერმენტი. ჩვენ ვხედავთ ამ პოლიტიკის შედეგებს. ჩვენ ვხედავთ, რომ ევროპის მუშათა კლასი ეხლა ჩვენ გვემხრობა, იგი სცნობს, რომ მუშათა კლასმა საბჭოთა კავშირში შექმნა საკუთარი სახელმწიფო მემამულეთა, კაპიტალისტების გარეშე და აშენებს სოციალიზმს.

საბჭოთა კავშირი და ევროპის მუშათა კლასი

დელეგაციები, რომლებიც უკანასკნელ წლებში ჩამოდიან ჩვენში, ტურისტების დელეგაციები არ არიან. ისინი უდიდეს საქმეს აკეთებენ დასავლეთ ევროპაში. ისინი აკეთებენ იმას, რისი გაკეთებაც არ შეგვეძლო და რასაც არ ველოდით წარსულ წლებში. ევროპის მუშათა კლასის სულისკვეთებაში გარდატეხა მოხდა. წინედ ევროპის მუშათა კლასი თანაუგრძნობდა ჩვენს ბრძოლას, რამდენადაც ეს ბრძოლა მიმართული იყო ბურჟუაზიის წინააღმდეგ, მაგრამ იგი ერთგვარ უნდობლობით უყურებდა იმას, რასაც ჩვენ ვაკეთებთ. როცა ის ხედავდა, რომ პროლეტარულ რევოლუცია პირველ ხანებში ნიშნავს მრეწველობის დეგრადაციას, ფაბრიკებისა და ქარხნების შეჩერებას სურსათის უქონლობას ქალაქებში, ტიფის ტილებს და სხ., რასაკვირველია ევროპის მუშათა კლასი აქტიურად არ გამოდიოდა ასეთი ხელისუფლების, ასეთი წყობილების დასაცავად; თუმცა თავის კაპიტალისტებს არ აძლევდა ჩვენს კავშირზე თავდასხმის საშუალებას. ეხლა სხვა მდგომარეობაა. ევროპის მუშათა კლასი ეხლა ხედავს, რომ მუშათა კლასი აქ აშენებს თავის მეურნეობას, ანვითარებს უდიდეს მშენებლობას, ახორციელებს თავის ხელისუფლებას. ამიტომ ჩვენი მეურნეობის საკითხებს ეხლა გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება არა მარტო პროლეტარული რევოლუციის ბედისათვის ჩვენი კავშირის შიგნით, ამას ფართო საერთაშორისო მნიშვნელობა ეძლევა. წარმატებანი სამეურნეო ფრონტზე საუკეთესო მოწოდებაა დასავლეთისა და აღმოსავლეთის ყველა მშრომელთათვის, და ამასთანავე არის ბურჟუაზიული მსოფლიოს გაბოროტების მიზეზი. აქედან გამომდინარეობს ის, რომ ეხლა ევროპის დღის წესრიგში სდგას ომი საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, აქედან გამომდინარეობს ინგლისის შუბლმაგართა „ყველა თვისებაზი“, რომელნიც მიუხედავად ჩვენი კავშირის მშვიდობიანი განწყობილებისა, რაიც ჩვენ გამოვააშკარავეთ ჟენევაში, რასაც ჩვენ დავაშკარავებთ ყველგან, მიუხედავად ჩვენი წინადადებისა, რომ პირველად ჩვენ განვიარაღდებით, თუ მიღებულ იქნება გადაწყვეტილება საყოველთაო განიარაღების შესახებ, მიუხედავად ამისა, ისინი აღვსილი არიან ჩვენდამი მტრობისა და მძულვარების გრძნობით, მათ სურთ ჩვენი დახრჩობა და თანამედროვე ფაშისტური ბურჟუაზიის ამ „უაღრესად ცივილიზაციურ“ და „ჰუმანიურ“ აქტს ამზადებენ პროლეტარიატის წინააღმდეგ, რომელმაც გაბედა კერძო საკუთრების დამხობა. ჩვენ უნდა განვამტკიცოთ და გავაძლიეროთ ჩვენი სოციალისტური საკუთრება, რომელიც ბურჟუაზიას წავართვით.

ჩვენი საშინაო მდგომარეობა

როგორია ჩვენი მიღწევები და ამოცანები ამ დარგში. ამხ. რიკოვსკის და კრჟიჟანოვსკის მოხსენებაში, ამ მოხსენების ირგვლივ გამართულ კამათში გამოაშკარავდა წარმტაცი სურათი იმ პერსპექტივებისა, რომელნიც დასახულ იქნა ამ დარგში. ცხადია, ამხანაგებო, ჩვენ ამ დარგში ხამები არ ვართ, მონაწილეობას ვიღებთ ამ მშენებლობაში, გვეკისრება პასუხისმგებლობა ამ მშენებლობის როგორც წარმატებისათვის, ისე ნაკლულოვანებისათვის. გარდა ამისა, ეს საკითხები ჩვენ საფუძლიანად დავამუშავეთ დისკუსიაში, რომელიც ყრილობის წინ სწარმოებდა და ამიტომ ამას აქ შევეხები მოკლედ.

„ვინ—ვის?“

აქ ჩვენ უნდა ავიღოთ ისევ ის ძირითადი მოვლენა, რაც ამჟამად ახასიათებს ჩვენს სამეურნეო მდგომარეობას და ჩვენს სამეურნეო განვითარების ამოცანებს. აქ ჩვენ უნდა გამოვჰყოთ არა მარტო დაკერძოებითი ხასიათის ამოცანები, არამედ ამოცანებიც, რომლებიც გათვალისწინებული არიან მთელ რიგ წლებისათვის, მთელი ფაზისათვის. მთავარი საკითხი, მთავარი ამოცანა, რომელიც პროლეტარული დიქტატურისათვის სიკვდილ-სიცოცხლის საკითხს წარმოადგენს, არის საბჭოთა ხელისუფლებისათვის სოციალისტური საძირკვლის ჩაყრის საკითხი. ეს საკითხი ფორმულად ჩამოსხმულია ლენინის ორ პატარა სიტყვაში: ვინ ვის? ჩვენ უნდა ვაღიაროთ, რომ მრეწველობის დარგში ეს საკითხი წყდება ჩვენს სასარგებლოდ. ჩვენ გამოვგლიჯეთ ბურჟუაზიას არა მარტო პოლიტიკური, არამედ ეკონომიური სადავეც. ჩვენი მრეწველობა ნაციონალიზაციაქმნილია არა მარტო სადეკრეტო წესით, არამედ ფაქტიურად. ჩვენმა მრეწველობამ უკვე გაიარა თავისი აღდგენითი პერიოდი და შევიდა რეკონსტრუქციის პერიოდში. ახალ შენების, ინდუსტრიალიზაციის პერიოდში. გამოვიდა განვითარების იმ მთავარ ხაზზე, რომელიც დასახა მე-14 ყრილობამ. მე-15 ყრილობამ პირველად გაუკეთა ჯამი იმას, რაც ჩვენ გავაკეთეთ ამ ორი წლის განმავლობაში ინდუსტრიალიზაციის დარგში.

ინდუსტრიალიზაცია, რომელიც ჩვენ გვჭირია, ეს არის, რასაკვირველია. არა მარტო ჩვენი საწარმოო კერების რაოდენობითი ზრდა, არ მარტო ჩვენი ფაბრიკების და ქარხნების რიცხობრივი ზრდა, არამედ ეს არის განვითარება სოციალიზმის მიმართულებით, ეს არის ინდუსტრიალიზაცია სოციალისტ. საფუძვლებზე. კონკრეტულად ეს არის საკითხი მთლიანად ჩვენი მეურნეობისა, როგორც მრეწველობის, ისე სასოფლო მეურნეობის და საქონლის ბრუნვის სოციალისტური სექტორის გაძლიერებისა და ზრდის შესახებ.

ჩვენი „მეორე პარტიული პროგრამა“

ეხლა ჩვენ შეგვიძლია დავადასტუროთ, რომ ჩვენ ზოგი რამ შევითვისეთ არა მარტო დაგეგმვის, არამედ მთელი ჩვენი მეურნეობის მოწესრიგების დარგში: ჩვენ არა მარტო ვაწესრიგებთ და ვხელმძღვანელობთ, არამედ წინასწარ ვხედავთ და ვითვალისწინებთ მთელი რიგი მომავალი წლებისთვის იმ პროცესებს, რომლებიც წარმოადგენენ ჩვენი ქვეყნის სამეურნეო ცხოვრების არსებით მხარეს. და ის გეგმა, რომელსაც თავის ღერძათ ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია აქვს, ეს ხუთწლიანი გეგმა სწორედ აგებულია იმ პროცესების გათვალისწინებაზე, რომლებიც ჩვენ უნდა მოვაწესრიგოთ. როგორია საკითხები წამოიჭრება განსაკუთრებით ჩვენს ხუთწლიან გეგმაში? ეს წარმოადგენს სწორედ იმ საკითხს, იმ პუნქტს, რომლიდანაც იწყება ჩვენი პარტიის განვითარების ახალი ხანა. თუ კი აქამდე ბოლშევიკი ნიშნავდა შეურიგებელ პროლეტარ - რევოლუციონერს, შეურიგებელ მებრძოლს, ბურჟუაზიულ წყობილების დამამხობელს, ბურჟუაზიულ მანქანის გამანადგურებელს, ეხლა ჩვენს პირობებში ბოლშევიკი ნიშნავს ადამიანს,—რომელმაც თავისითავი არა მარტო დაუკავშირა ლენინის პარტიას, რომელმაც არა მარტო დასდო პროლეტარული რევოლუციონერის ფიცი იყოს დაუნდობელი მემამულებისა და ბურჟუაზიის მიმართ, არამედ დღეს ბოლშევიკი ნიშნავს კაცს, რომელიც თავის პარტიასთან ხელიხელ ჩაკიდებული აქტიურად მონაწილეობს საბჭოთა მეურნეობის მშენებლობაში, ვინაიდან დღეს სოციალისტური სახელმწიფო, მისი განვითარების პროგრამა ინდუსტრიალიზაციის საფუძველზე,—წარმოადგენს ჩვენს მეორე პარტიულ პროგრამას, როგორც ამბობდა ლენინი. ეს არის ჩვენი მეორე პროგრამა, რომელიც ჩვენ ზედმიწევნით უნდა შევისწავლოთ და რომელიც უნდა განვახორციელოთ.

მე-15 ყრილობა დაკმაყოფილდა იმით, რომ მოგვცა ძირითადი განაწესი ხუთწლიანი გეგმის შესადგენად, ძირითადი დირექტივა იმის შესახებ, თუ როგორ, რა რესურსებით და რა მიმართულებით შევადგინოთ ეს ხუთწლიანი გეგმა, რადგან ხუთწლიანი გეგმა, შედგენილიც რომ ყოფილიყო იგი, ვერ იქნებოდა დამტკიცებული პარტიის ყრილობის მიერ, იმიტომ, რომ ყრილობას არ შეეძლო ეკისრა პასუხისმგებლობა მთელ რიგ წლებისათვის წინასწარ შედგენილ ციფრებზე. ეს არის საბჭოთა ორგანოების საქმე და გეგმის შემდგომი დამუშავების საგანი.

ყრილობა დაკმაყოფილდა მით, რომ მოგვცა ძირითადი განაწესი ხუთწლიანი გეგმის შესადგენად.

სამეურნეო პერსპექტივები

არსებობს ამ გეგმების რამოდენიმე ვარიანტი. ერთი ყველაზე უფრო დამუშავებული ვარიანტთაგანი ლაპარაკობს იმის შესახებ, რომ 32 წლისათვის ჩვენ გვექნება ჩადებული ჩვენს სახალხო მეურნეობაში 20 მილიარდი კაპიტალი. ამ დროისათვის ომის წინა ნორმებთან შედარებით ჩვენ გავაორკეცებთ ჩვენს ნაციონალიზაციაქმნილ მრეწველობის პროდუქციას. საერთოდ კი ჩვენი მრეწველობის პროდუქცია გაიზრდება 70 პროც. ამასთან ერთად ჩვენი მეურნეობის ზრდის დროს გვექნება მძიმე ინდუსტრიის უფრო მეტი ზრდა მსუბუქი ინდუსტრიასთან შედარებით. ეს უნდა დაიმახსოვროთ. რადგან მხოლოდ ამ ძირითად დირექტივის თვალსაზრისით შეგვიძლია ჩვენ ჩავწვდეთ იმ სიძნელეებს, რომელიც ჩვენ გვაქვს საქონლის ბრუნვის სფეროში იმ საქონლის სიმშილის სახით, რომელსაც ჩვენი ქვეყანა განიცდის ფართო მოხმარების პროდუქტებზე. ინდუსტრიალიზაცია, როგორც პროგრამა, გულისხმობს ჩვენს ეკონომიურ დამოუკიდებლობას, საწარმოო საშუალებათა წარმოებას ჩვენს კავშირს შიგნით. ხუთი წლის დამლევს ამ ვარიანტით ჩვენ გვექნება საკუთარი წარმოებით დამზადებულ მანქანების 80 პროცენტი, მხოლოდ 20 პროცენტის შემოტანა დაგვჭირდება საზღვარგარეთიდან. ეს იქნება უდიდესი ნახტომი წინ. თუჯი 118 პროცენტით მეტი გვექნება, ვიდრე დღეს, რკინა 103 პროცენტით, ნავთი 99 პროცენტით, ბამბის ქსოვილი 81 პროცენტით, შალის ქსოვილი 655 პროცენტით, ელექტრო-ენერგიის მოხმარება გადიდებულ იქნება 688 პროცენტით, აი, ამხანაგებო, რამოდენიმე ამოგლეჯილი მაგალითი იქიდან, თუ რას ნიშნავს ჩვენი ხუთწლიანი გეგმა, რასაკვირველია, როცა იგი განხორციელებული იქნება.

კაპიტალური ხარჯები ნავარაუდევია 20.000.000.000 მან. რაოდენობით, მაგრამ აქ ბუნებრივად ისმება კითხვა—საიდან მივიღოთ ეს თანხები? ეს ძირითადი საკითხია. ჩვენი ერთად ერთი წყარო საერთო ნაციონალური შემოსავალი. ჩვენი საკონტროლო ფონდები შეიქმნებიან მხოლოდ იქიდან, რასაც ჩვენ შემოვინახავთ საერთო-ნაციონალური შემოსავლიდან, რასაც ჩვენ ვაგროვებთ შიგნით. როგორია ამ შემოსავლის წყაროები?

სამეურნეო განვითარების წყაროები

ჩვენ ვიცით ერთის მხრივ და პირველყოვლისა ჩვენი სოციალისტური მრეწველობა, შემდეგ კერძო კაპიტალი და გლეხობა. ინდუსტრიალიზაცია ამჟამად იმდენად პოპულიარულია, ამ სიტყვის ჩვეულებრივი მნიშვნელობით, რომ ის დაეუფლა მუშათა კლასის შეგნებას. მუშათა კლასი ბრწყინვალედ გამოეხმაურა ინდუსტრიალიზაციის სესხს; ჩვენშიაც კი, ამ ღარიბ ქვეყანაში—კავკასიაში—

---

*) ი. წ. 4 იანვარს.

ინდუსტრიალიზაციის სესხმა ფინსახკომის ცნობებით ორი მილიონ მანეთზე მეტით გადააჭარბა ვარაუდს. მივიღეთ 5.200.000 მანეთი, ნავარაუდევ 3.000.000 მანეთის მაგიერ. ჩვენ აქ გვაქვს ერთგვარი ალტყინება, თუ გნებავთ, სალი რევოლიუციონური აჟიოტაჟი მუშათა კლასში შემონახულ ნაღდის ამ საქმისათვის მოხმარების მხრივ. მაგრამ, რასაკვირველია, ეს ცოტაა. რა შეიძლება ითქვას კერძო კაპიტალზე? შეგვიძლია თუ არა იმედი ვიქონიოთ, რომ ჩვენი მეურნეობის ამ სექტორიდან უხვად შემოგვივა მილიარდები? რასაკვირველია, ჩვენ ამ სექტორს არ დავზოგავთ, უფრო მეტად და უფრო ხშირად გავცხრილავთ, რომ არ დაგვრჩეს აქ დაუბეგრავი კონჭული. მაგრამ საქმე იმაშია, რომ კერძო სექტორის შემოსავალი მცირდება, ისე, რომ ეს წყარო არ გამრავლდება, არ გაიზრდება და არ მოგვცემს იმდენად დიდ შემოსავალს, პირიქით, სულ უფრო და უფრო ნაკლებს შემატებს ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციას, ვინაიდან იზრდება სახელმწიფო სოციალისტური მრეწველობა, იზრდება ჩვენი სახელმწიფო ვაჭრობა და სახელმწიფო კოოპერატიული სავაჭრო ბრუნვა. კერძო სექტორის ხარჯზე. ამ რიგად, აქ ჩვენ დიდ იმედს ვერ ვიქონიებთ, ვერ დავაწყებით ამ სექტორს იმდენად, როგორც ამას გაიძახოდა ოპოზიცია. ვერ ამოვქაჩავთ იმ მილიარდებს, რომელთაც ოპოზიცია ამაოდ დაეძებდა, ავიღოთ გლეხობის სექტორი. შეგვიძლია თუ არა ამ სექტორზე დავამყაროთ ის იმედები, რომელთაც ოპოზიცია ამყარებდა? ცხადია, ეს სექტორი ჩაბმული გვყავდა და გვეყოლება ინდუსტრიალიზაციის საქმეში, ვინაიდან ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია თავის პროცესში თავის გავლენის ქვეშ აყენებს საერთოდ მთელს სახალხო მეურნეობას, მაშასადამე, გლეხურ მეურნეობასაც. მაგრამ იმის ფიქრი, რომ ამ სექტორიდან ჩვენ შეგვიძლია მილიარდები ამოვქაჩოთ,— რასაკვირველია, შეუძლებელია, შეუძლებელია იმიტომ, რომ ჩვენ ვიცით სოფლის გადახდის უნარიანობა, ვიცით სოფლის შესაძლებლობანი ამ დარგში, ასე, რომ ახლო მომავალში ამ მილიარდების იმედი არ შეიძლება გვქონდეს. ამიტომ შეუძლებელია დადგომა იმ მოლიპულ გზაზე, რომლისკენაც შეუნებლად გვეწიკებოდა ოპოზიცია: გაუმჯობესება ყველა ფრონტზე, ზეინდუსტრიალიზაცია, მუშების სამუშაო ხელფასის მომატება, საუკეთესო საბინაო პირობების შექმნა, პირველ მოთხოვნილებების პროდუქტებით მოსახლეობის მომარაგების გადიდებაც, რომ მოხმარების ნორმა არა თუ აღწევდეს ომის წინანდელ დონეს, არამედ „როგორც ეს შეეფერება პროლეტარულ ქვეყანას",—აღემატებოდეს მას და სხვ. და სხვ.

არა დემაგოგია—არამედ რეალური პოლიტიკა

ასე შეუძლებელია. არც ერთი მეურნე ას არ გეგმავს თავის მეურნეობას. არსებობენ ინდუსტრიალიზაციის განსაზღვრული წყაროები და საბჭოთა რესპუბლიკის პოლიტიკოსის და ეკონომისტის ამოცანაა, რომ ყურადღება ძირითადზე იქნეს მართებულად გადატანილი. ძირითადი კი არის—ინდუსტრიალიზაცია, პირველ რიგში მძიმე მრეწველობის, საწარმოო საშუალებების დამზადების განვითარების ტემპის გაძლიერება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ჩვენ ცოტათი უნდა „ვაწყენინოთ" მსუბუქ მრეწველობას და ჩვენი მეურნეობის დანარჩენ სექტორებს, ვინაიდან შეუძლებელია ყველა მიმართულებით სვლა მაქსიმალური ტემპით, და ამიტომ ამჟამად, განვითარების ამ სტადიაში, დაბრკოლება, რომელსაც ადგილი აქვს ბაზარზე, ძალიან ადვილი გასაგებია. რასაკვირველია, ჩვენ ასეთი მდგომარეობა ბაზარზე უნდა გავაუმჯობესოთ, მაგრამ ადვილი გასაგებია, რომ ჩვენ უმთავრეს ყურადღებას ვაქცევთ მსუბუქ მრეწველობას, და ვერ მივაქცევთ მსუბუქ მრეწ. იმაზე მეტ ყურადღებას, ვიდრე დღემდე ვაქცევდით. ამიტომ ჩვენში შეუძლებელია ერთსა და იმავე დროს მსხვილი, გიგანტიური ქარხნების შენება და ასეთივე ტემპით ქსოვილების დამზადება, პურის მარაგის შექმნა და დაგროვება და სხვ.

ჩვენი ეკონომიკის ამ მდგომარეობაში ჩვენ ნათლად უნდა გავერკვეთ, რომ არ იქნეს რაიმე საბაბი დემაგოგიისათვის. ჩვენ მოკლებული ვართ საზღვარგარეთის კრედიტებს და იმ შემოსავალს, რომელიც აქვს ბურჟუაზიულ ქვეყნებს, ე. ი. ჩვენ არა გვაქვს შემოსავალი კოლონიების ძარცვიდან, ჩვენ ამ გზას არა თუ უარვყოფთ, არამედ კიდევაც ვგმობთ, ჩვენ უნდა აღებული გვქონდეს გეზი მხოლოდ საკუთარ სახელმწიფო მუშურ გლეხურ ხაზინაზე, და ამიტომ ისე გავანაწილოთ შემოსავალი რომ უმთავრესი უზრუნველყოფილი იქნეს პირველ რიგში. ძირითად ამოცანას კი ის წარმოადგენს, რომ თუ შესაძლებელია, დავიჩქაროთ მძიმე მრეწველობის განვითარების ტემპი. რათა გავინთავისუფლოთ თავი კაპიტალისტურ ევროპაზე დამოკიდებულებიდან, რომ უახლოეს დროში შეგვეძლოს დავდგეთ საკუთარ ეკონომიურ ფეხზე და არ გავხდეთ ევროპის კაპიტალისტურ მეურნეობის აგრარულ დანართად. თუ ასე შევხედავთ ჩვენს ამოცანებს, ჩვენ უფრო რეალურად, ნაკლები პანიკით უნდა მოვეპყრათ დამატებით სიძნელეებს ამ დარგში, უმუშევრობას, სატრანსპორტო სიძნელეებს და სხვ. დღემდე ტრანსპორტს ჩვენ საკმაო ყურადღებას არ ვაქცევდით. ეხლა უკვე ყრილობამაც და პარტიის ყრილობის შემდგომი წინადადებებიც ტრანსპორტის პრობლემას პირველ რიგში აყენებს, ვინაიდან, როგორც მოხდენილად სთქვა ამხ. რიკოვმა, ჩვენ დღემდე ტრანსპორტს ვუყურებდით, როგორც „უბრალო მეეტლეს": მივყავდართ კარგი, არა და ვაგინებთ. ეხლა ჩვენ უკვე იქამდე მივედით, რომ ტრანსპორტს ვუყურებთ არა მარტო როგორც მეეტლეს და ჩვენი საქონლის მზიდავს, არამედ როგორც უძლიერეს ეკონომიურ ფაქტორს, რომელიც იჭრება სახალხო მეურნეობის ცხოვრებაში და შეუძლია რევოლიუცია მოახდინოს ამა თუ იმ რაიონში. ტრანსპორტს შეუძლია გამოაცოცხლოს, მაგრამ შეუძლია კიდევაც გაჰყინოს რაიონის ეკონომიკა და ამიტომ ყრილობამ ის დააყენა მსხვილი მრეწველობის გვერდით და ყრილობის გადაწყვეტილებათა თანახმად უახლოეს დროში ტრანსპორტზე უნდა დაიხარჯოს მილიონების საკმაო რაოდენობა, რათა გამოსწორებულ იქნას მისი მდგომარეობა. რომ ის არ ჩამოშორდეს მძიმე მრეწველობის საერთო მსვლელობას, ვინაიდან ტრანსპორტი არა მარტო დამხმარე საშუალებაა ამ მრეწველობის, არამედ ამავე დროს ის მომქმედი ელემენტია იმ ეკონომიურ პროცესისა, რომელმაც უნდა გარდაქმნას ჩვენი დიდი კავშირის ამა თუ იმ რაიონის სახე.

უმუშევრობა

თუ სალი თვალსაზრისით შევხედავთ ჩვენს უმუშევრობას, ბევრი რამე ისე პანიკურად გაშუქებული აღარ წარმოგვიდგება, როგორც ხდება ხოლმე ეხლა. უმუშევრობა იზრდება,— ჩვენ ეს ვიცით, ვიცით ამის წყაროები, ვიცით, რომ უმუშევართა არმიაში ინდუსტრიალური ელემენტები მცირეა, დროდადრო ეს ელემენტები ნოლამდეც კი დადის მაშასადამე, სადღაა უმუშევრობის ფესვები? ეს არის ჩვენი აგრარული მოსახლეობის სიჭარბე. ჩვენ ვიცით, რომ ბურჟუაზიული სახელმწიფოები თავის ზედმეტ სამუშაო ძალას ემიგრაციაში უშვებენ. ჩვენ კი ეს გზა არა გვაქვს, საბჭოთა კავშირიდან ემიგრაციაში არავინ გარბის, პირიქით— ჩვენში ადგილი აქვს იმიგრაციას, ე. ი. აქ უკანვე მოდიან ისინი, ვინც ოდესმე აქედან გადასახლებულა, ჩვენ ლტოლვილებიც კი მივიღეთ. ამასთან ერთად ჩვენში ადგილი აქვს ისტორიულ დისპროპორციას ქალაქსა და სოფელს შორის და აქედან წარმოიშობა ჩვენი უმუშევრობა, რომელსაც ამრიგად აქვს ისტორიული ფესვები, რომლებიც არ გადაიჭრება ოპოზიციის დემაგოგიური დაპირებებით. ამავე დროს აქ ხაზგასმით უნდა აღინიშნოს უმუშევარ ინტელიგენტების ერთი ნაწილი. რომლების შესახებ ამხ. რიკოვმა მოხდენილად სთქვა: „უმუშევრებად აღარ უნდა ვთვლიდეთ იმათ, რომლებსაც ქალაქში უმუშევრობა ურჩევნიათ სოფლად მუშაობას".

კულტურის ფრონტზე

ყრილობამ განსაკუთრებით მკაფიოდ გამოჰყო კულტურის საკითხი. ჩვენი ხუთწლიანი გეგმის პროგრამა მოასწავებს არა მარტო სამეურნეო რევოლიუციის დაწყებულ პროცესს, არამედ ის მოასწავებს ამ სამეურნეო რევოლიუციის განსაზღვრულ წარმატებებსაც. ტეხნიკურ-საწარმოო რევოლიუციის დაწყება უკვე ფაქტია და ეხლა ჩვენ უკვე ვლაპარაკობთ კულტურულ რევოლიუციის შესახებ; ამას გვაიძულებს ჩვენ საზოგადოებრივ ურთიერთობათა მთელი სისტემა, საბჭოთა სამეურნეო ეკონომიკის მთელი სისტემა. ეს კულტურული რევოლიუცია არ უნდა გავიგოთ მხოლოდ იმ „კულტურის" ფორმით, რომელსაც ჩვენ დღემდე ვუკეთებდით ბალანსს თვითეულ ყრილობაზე ახალ ასეულ სკოლ. და ახალ ათას. მოსწავლეთა აღრიცხვით. რა თქმა უნდა, კულტურული რევოლიუცია ამ პროცესსაც შეიცავს, მაგრამ ეს პროცესი წარმოადგენს მხოლოდ მცირე ნაწილს იმ საერთო მძლავრ მოძრაობისას, რომელსაც გულისხმობს კულტურულ რევოლიუციის პროცესი. ეს პროცესი, ვიმეორებ, ეხება არა ერთ, არამედ მთელ რიგ თაობებს, მაგრამ ეს პროცესი ამჟამად ხდება ჩვენი აღმშენებლობის აუცილებელ საჭიროებად; აუცილებლად საჭიროა კულტურული ზრდა. კულტურული აღორძინება, კულტურული გაწრთვნა, იმ გამოცდილების შეძენა, რომელიც საჭიროა საუკეთესო აღმშენებლობისათვის, ურომლისოდაც ჩვენი აღმშენებლობა ვერ იწარმოება სასურველი ტემპით, და ამ აღმშენებლობის ღირსებაც იმაზე უფრო დაბალი იქნება, ვიდრე ჩვენ გვესაჭიროება. ამიტომ კულტურულ რევოლიუციის პროცესი ჩვენ უნდა განვიხილოთ, როგორც ტეხნიკურ-საწარმოო პროცესის პარალელური და მისგან აუცილებლად გამომდინარე. ეს პრობლემა დღეიდან ისმება ჩვენი პარტიის მუშაობის დღის წესრიგში, ეს პრობლემა უკვე წესრიგდება საგეგმო და სამეურნეო ორგანოებში და ამიტომ შემთხვევითი არ არის, რომ ამის გამო ყრილობაზე კამათში ჩვენი მეურნეობის ხუთწლიან განვითარების გეგმის შესახებ გამოვიდნენ—და ეს თავის დროზე და თავის ადგილზე იყო—ჩვენი სახალხო განათლების ხელმძღვანელები, ლუნაჩარსკი, პოკროვსკი და მთელი რიგი სხვა კულტურული მუშაკები. ეს იმას მოასწავებს, რომ ჩვენ მივაღწიეთ ჩვენი სამეურნეო განვითარების იმ დონეს, როდესაც ჩვენ უკვე შეგვიძლია დღის წესრიგში დავსვათ ის საკითხები, რომლებიც აუცილებლად გამომდინარეობს ჩვენი ინდუსტრიალური აღმშენებლობიდან—სახელდობრ კულტურულ რევოლიუციის საკითხები. ჩვენი სამეურნეო ზრდის შედეგია მუშათა კლასის მიერ მატერიალური დოვლათის მოხმარების ზრდა, ამ ზრდას კი დღემდე თან არ სდევდა კულტურულ მოთხოვნილებათა შესაფერი ტემპით ზრდა.

ამ დარგში ჩამორჩენა იმას ამტკიცებს, რომ რამოდენიმედ ფერხდება ჩვენი საერთო წინსვლა. ყრილობამ გარკვეული დირექტივა შეიმუშავა კულტურის საკითხების მოწესრიგების მხრივ, წამოაყენა ზოგიერთი კონკრეტიული წინადადებები, რათა გაძლიერებულ იქნას ის ფონდი, რომელიც უნდა ჰკვებოს სათანადო აღმშენებლობას.

ამგვარად ჩვენს სამეურნეო რევოლიუციას, რომელიც ქრონოლოგიურად არის მეორე რევოლიუცია ოქტომბრის სოციალ-კლასიური, პოლიტიკური რევოლიუციის შემდეგ, ემატება მესამე რევოლიუცია, სახელდობრ, მესამე— კულტურული ფრონტი. ეს კულტურული ფრონტი არ უნდა იყოს მხოლოდ განათლებული, ჰუმანიტარულად განათლებული ხალხის ფაბრიკაცია. ამ ფრონტმა უნდა გამოზარდოს და მოამზადოს ის, რიკოვის სიტყვით რომ ვსთქვათ, სამხედრო მოწყობილობა (კულტურული იარაღი), რომელიც მებრძოლებს ესაჭიროება სოციალისტური წყობილების განსამტკიცებლად.

განსაკუთრებით გვესაჭიროება ეს ჩვენს პირობებში, როცა საერთო ჩამორჩენილობასთან ერთად, უფრო ჩამორჩენილია ჩვენი სოფელი.

სოფლად მუშაობის საკითხები

სოფელი, როგორც ვსთქვი, წარმოადგენს უდიდეს ტვირთს, რომელიც პროლეტარულ ქალაქს აწევს ზურგზე, მაგრამ ჩვენ ამ ტვირთით უნდა გავსწიოთ წინ, სოციალიზმისაკენ. ჩვენს კავშირში, მოკავშირე რესპუბლიკებში რომ იყოს ისეთი პოლიტიკოსი, რომელიც უარყოფდეს, უხვევდეს სასოფლო მეურნეობის საკითხებს, გლეხთა შორის მუშაობის საკითხებს, გლეხობასთან კავშირის ისტორიულ მნიშვნელობას, — ასეთი პოლიტიკოსი იქნებოდა არა მარტო ბეცი, არამედ დაღუპვის ღირსი, ჩამოგდების ღირსი ყოველგვარი წესით, არა მარტო ოპოზიციონერთა, არამედ მენშევიკების მიერ თავდასხმის გზით. ლენინურ პარტიას არ შეუძლია ასე შეხედოს ამ საკითხს. ლენინურ პარტიას არ შეუძლია არ სცნოს, რომ სასოფლო მეურნეობის საკითხები გადახლართულია ქალაქის პროლეტარული მრეწველობის საკითხებთან და ჩვენი საგლეხო პოლიტიკა შეთანხმებული უნდა იყოს ჩვენს საერთო პროლეტარულ - კლასიურ პოლიტიკასთან. მე-15 ყრილობამ ერთხელ კიდევ გამოაშკარავა ეს დიალექტიური მთლიანობა, რომელსაც ლენინიზმი ახორციელებს მთლიანი კლასიური პოლიტიკის დარგში, მთლიანი კლასიური პოლიტიკის, რომელიც ითვალისწინებს არა მარტო პროლეტარული ქალაქის და პროლეტარულ სოციალისტური მრეწველობის, არამედ საგლეხო მეურნეობის — გაფანტული, დაქსაქსული მეურნეობის ინტერესებსაც.

გლეხკაცობის მენშევიკური შეფასება

მე-15 ყრილობაზე პარტიას უნდა დაესვა საკითხი იმის შესახებ, თუ რა უნდა გავაკეთოთ სოფლად მომავალში? ფაქტია, რომ ჩვენი გლეხური სასოფლო მეურნეობა იზრდება, რომ განვითარების გზები, და განსაკუთრებით განვითარებული მეურნეობის გზები საერთოდ ეთანხმება იმ კანონებს, რომლებიც ასე ბრწყინვალედ გამოაშკარავა ლენინიზმმა და რომლებსაც დღემდე უარყოფენ შუბლმაგარი სოციალ-დემოკრატები; ისინი ფიქრობენ, რომ გლეხური მეურნეობა, დაქსაქსული მეურნეობა არ წარმოადგენს იმ მასალას, რომლიდანაც შეიძლება მივიღოთ მასალა სოციალიზმისთვის, რომ თითქოს გლეხური მეურნეობა არის მართლაც მკვდარი ტვირთი, რომელიც პროლეტარული რევოლიუციისა და სოციალიზმის პერმანენტული მტერია.

მოვიგონეთ, როგორ აფასებდნენ ამ შეხედულებას მენშევიკები. ჟორდანია გლეხობას ახასიათებდა, როგორც რეაქციონურ კლასს, რომელიც ყოველთვის ყოველ რევოლიუციაში იყო რევოლიუციის მესაფლავე. მენშევიზმი წინასწარ განსაზღვრულად სთვლის სოფლის ბურჟუაზიული გზით განვითარებას.

აქ უადგილო არ იქნება მოვიყვანოთ მარქსის სიტყვები იმის შესახებ, თუ რაში მდგომარეობს ბურჟუაზიული განვითარება.

მარქსი ამბობდა: „ბურჟუაზიული საზოგადოება გლეხს სწოვს სისხლს მისი გულიდან, ტვინს მისი თავიდან, და ყოველივე ამას აგდებს კაპიტალიზმის, ამ ახალი ალქიმიის ქვაბში".

აი, სოფლის ბურჟუაზიული „განვითარების" გზა. ამბობენ, რომ გლეხობის მდგომარეობაში პროლეტარული დიქტატურის რეჟიმის დროს არ არსებობს ძირითადი გარდატეხა და ჩვენს გლეხურ მეურნეობისათვის წინასწარ არის განსაზღვრული განვითარების ისეთივე გზები, რომლებიც დამახასიათებელია გლეხურ მეურნეობისათვის კაპიტალისტურ ქვეყნებში.

ტროცკის პოზიცია

ზოგიერთებმა მოიტეხეს ფეხი ამ უცნაურ თვალსაზრისზე, რომელსაც არაფერი არ აქვს საერთო მარქსიზმთან და ლენინიზმთან. მე წავიკითხავ ერთ ამონაწერს ლ. ტროცკის მოხსენებიდან:

„სანამ არ შეგვიძლია სოფელს მივსცეთ უმაღლესი ტეხნიკა, ჩვენ ორი საშუალება გვაქვს: ან გამოვიყენოთ სოფლად სამხედრო კომუნიზმის მეთოდები და შევაჩეროთ საწარმოო ძალთა განვითარება, რაიც გამოიწვევდა ბაზრის შევიწროვებას და ამით შეფერხდებოდა საწარმოო ძალები მრეწველობაში; ან მანამ, სანამ (კარგია „სანამ". შ. ო.) ჩვენი მრეწველობის საშუალებებით, არ შევეძლება სასოფლო მეურნეობის კოლექტივიზაცია, ჩვენ აქ უნდა დაუშვათ საწარმოო ძალთა განვითარება, თუნდაც კაპიტალისტური მეთოდების მეოხებით. ამაშია ჩვენი ეხლანდელი პერიოდის პოლიტიკის თვისებურება" (ლ. ტროცკი. „ჩვენი ახალი ამოცანების შესახებ". მოხსენება პარტიული ორგანიზაციის საერთო-საქალაქო კრებაზე ქ. ზაპოროჟიეში 1925 წ. 1 სექტემბერს. სახელმწიფო გამომცემლობა. 1926 წ. გვ. 19).

ეს სიტყვები ეკუთვნის ლევ დავითისძე ტროცკის, სწორედ იმ ტროცკის, რომელიც ლენინის პარტიას სდებდა ბრალს კულაკურ გადახრაში.

აი, რას ნიშნავს, როცა ადამიანს საბოლოოდ არ გაუწყვეტია ის ძაფები, რომლებიც დიდი ხანი აკავშირებდა მას მენშევიზმთან. ეს იჩენს თავს ყველა ფორმულიროვკაში.

1925 წლის ბოლოს ტროცკი ჩვენს ამოცანებს სოფლად მუშაობის დარგში უკეთებს ისეთ ფორმულიროვკას, რომელიც ამჟღავნებს ერთგვარ მენშევიკურ საფუძვლებს. ის, რასაც ეხლა ლაპარაკობს ბაუერი და სხვ., ის, რასაც ისინი უწინასწარმეტყველებენ გლეხურ მეურნეობას საერთოდ, დამახასიათებელია სოციალ-დემოკრატიისათვის, რომელიც გლეხურ მეურნეობას სთვლის საშუალო საუკუნოების რეაქციონურ ნაშთად, კლასად, რომელსაც აქვს ისეთი პრინციპები, რომლებიც მას არ აძლევს საშუალებას შეეთვისოს სოციალიზმს,—ყოველივე ეს დამახასიათებელია ოპოზიციონერთათვის, რომელთაც სოციალიზმის გამარჯვების რწმენა დაკარგეს.

გლეხკაცობა ლენინური შეფასებით

ასე არ უყურებს ამ საკითხს ლენინიზმი, ამას არ გვეუბნება ჩვენი, უკვე საკმაოდ დიდი პრაქტიკა ქალაქისა და სოფლის კავშირის დარგში, პროლეტარიატისა და გლეხობის კავშირის დარგში, არა მარტო პოლიტიკური, არა მარტო სამეურნეო ხელშეკრულებათა კავშირის, არამედ ისეთი კავშირის, რომელსაც გლეხობა მიჰყავს პროლეტარიატთან ერთად.

ამასთანავე მიჰყავს არა როგორც გაყვლეფილთა ფარა, რის შესახებაც ლაპარაკობდა პრეობრაჟენსკი, რომელიც ფიქრობს, რომ გლეხური მეურნეობა არის საბჭოთა ქალაქის კოლონია, პროლეტარული მრეწველობის კოლონია,— მიჰყავს როგორც ისეთი ელემენტი, რომელსაც აქვს უნარი შეეგუოს მეურნეობის სოციალისტურ ფორმებს; ამავე დროს აუცილებლად უნდა იქნას ცნობილი პროლეტარიატის ხელმძღვანელობა, უნდა არსებობდეს პროლეტარული დიქტატურა.

ჩვენის თვალსაზრისით. ლენინიზმის თვალსაზრისით, გლეხურ მეურნეობას, როგორც არ უნდა იყოს იგი ჩამორჩენილი, როგორი ჭურჭელიც არ უნდა იყოს იგი საშუალო საუკუნოების სხვადასხვა ნაშთებისა. სხვადასხვა ცრუმორწმუნეობათა, სიბნელისა, კონსერვატიზმისა, — ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამ გლეხურ მეურნეობას პროლეტარული დიქტატურის დროს, რომელიც განმტკიცებულია პროლეტარული სახელმწიფოს განკარგულებაში მყოფი ძალებით, შეუძლია თავისი საშუალო და მით უფრო ღარიბთა ნაწილით იყოს პროლეტარიატის არა მარტო პოლიტიკური მოკავშირე; მას შეუძლია აგრეთვე პროლეტარიატის ხელმძღვანელობით წავიდეს წინ სოციალიზმისაკენ.

მორიგი ამოცანა სოფლად

რას ნიშნავს სვლა სოციალიზმისაკენ?

ეს არ არის სააგიტაციო ხასიათისა და პროპაგანდის საკითხი. ეს არის საკითხი იმის შესახებ, თუ რა პირობებში შეგვიძლია ჩვენ, ხელისუფლების სათავეში მდგომს, სახელმწიფო ზეგავლენის ბერკეტით აღჭურვილს, დავაყენოთ გლეხური მეურნეობა ისე, რომ გლეხი სთვლიდეს ხელსაყრელად მიწით სარგებლობის კოლექტიურ ფორმებს, მიწის დამუშავების კოლექტიურ ფორმებს, კოლექტიურ წარმოებას, რომ არ ვილაპარაკოთ კოლექტიურ გასაღებაზე და მისთვის საჭირო მასალის, ინვენტარის და სხვა კოლექტიურ შეძენაზე.

აი, რაზეა ლაპარაკი ეხლა, აი რას აყენებს პარტია თავის ხვალინდელი მუშაობის პროგრამაში. ჩვენ არ შეგვიძლია გვერდი ავუხვიოთ ამ მუშაობის პროგრამას, რადგან მის გარეშე ჩვენ ვერ გადავწყვეტთ საკითხს გლეხურ მეურნეობათა შესახებ, რომელთა რიცხვიც ჩვენს კავშირში დაახლოებით 24 მილიონს აღწევს. ამ პროგრამის გარეშე ჩვენ, რასაკვირველია, ვერ შევკრავთ სოციალიზმს ვაზიაროთ უთვალავი, გაფანტული და დაქუცმაცებული ინდივიდუალური მეურნეობანი. თუ სოციალისტური მეურნეობა შედარებით ადვილი განსახორციელებელი ხდება ქალაქში, სადაც თავმოყრილია დიდძალი პროლეტარიატი, სადაც გატარებულია წარმოების კონცენტრაცია და სადაც ამ ხელსაყრელ პირობებს ემატება კიდევ სოციალისტური გარემოცვა და პროლეტარიატის სოციალისტური ხელმძღვანელობა, — ეს არ შეიძლება ითქვას სოფელზე, სასოფლო მეურნეობაზე, რომელიც ამ პირობებს მოკლებულია. ამ პირობებს ჩვენ უნდა მივაღწიოთ, რადგან, ვიმეორებთ, ამ პირობებს გარეშე ჩვენ ვერ შევსძლებთ აურაცხელ დაქუცმაცებულ გლეხურ მეურნეობების გაერთიანებას, მათ გარდაქმნას მსხვილ მეურნეობათ. სოციალიზმის შენება ამ ძირითად ამოცანის გარეშე შეუძლებელია მთელი ამოცანის გადაჭრა. აი, ამიტომ ლენინიზმის ხაზი მთელი ჩვენი ეკონომ. პოლიტიკის ხაზი მთელი სიძლიერით მიმართულია ამ წერტილისაკენ. აქამდე ჩვენ გვქონდა სხვა სნეული ადგილები, რომლებიც საჭიროებდნენ მკურნალობას: ჩვენი მსხვილი მრეწველობის აღდგენის გარეშე, ისე, რომ არ მოგვეწესრიგებია ჩვენი სახელმწიფო მრეწველობა, ჩვენ ვერ შევძლებდით საბჭოთა ხელისუფლების შენარჩუნებას. მაგრამ იმ გარემოებას, რომ ეხლა პარტია თავის ყრილობის და თავის ხვალინდელი მუშაობის დღის წესრიგში აყენებს საკითხს სასოფლო მეურნეობის კოლექტივიზაციის შესახებ, უკვე აქვს არა მარტო მოგებული ბრძოლის მნიშვნელობა, არამედ მეტყველებს იმის შესახებ, რომ ჩვენ მოვიგეთ მთელი რიგი ბრძოლები, ვინაიდან თვით ამ საკითხის დასმა, საკითხის დასმა 24 მილიონი გლეხური მეურნეობის საზოგადოებრივ ფორმებზე გადაყვანის შესახებ ნიშნავს იმას, რომ ჩვენ საკმაოდ ბევრი რამ გავაკეთეთ სხვა დარგებში. ჩვენში იმდენად მომწიფდნენ ჩვენი ეკონომიკის სოციალისტურად გარდაქმნის პროცესები ქალაქად და სოფლად, რომ ეხლა რეალურად ყველა სიძნელების გათვალისწინებით ამ დარგში ვსვამთ ამ საკითხს.

7 საათის სამუშაო დღე

ინდუსტრიის დარგში ცოტა ხნის წინად გადავედით 7 საათიან სამუშაო დღეზე, ესე იგი პრინციპიალურად გამოვაცხადეთ 7 საათიანი სამუშაო დღე. ეს დამახასიათებელი მაჩვენებელია იმის, თუ რას მივაღწიეთ ჩვენ ამ დარგში. დეე, ნურავინ ნუ იფიქრებს, რომ მომავალი წლიდან ჩვენ გადავალთ 7 საათიან სამუშაო დღეზე. ჯერჯერობით ეს მხოლოდ პროგრამაა. ერთ წელიწადს ჩვენ მოვანდომებთ იმას, რომ შევისწავლით და მივამზადებთ პირობებს 7 საათიანი სამუშაო დღის გასატარებლად. ეს კი იმას არ ნიშნავს, რომ ავიღოთ და ერთბაშად გამოვაცხადოთ 7 საათიანი სამუშაო დღე ისე, როგორც აქ თბილისის ტრამვაის სახელოსნოების ტრამვაის დირექტორმა გამოსცა განკარგულება 7 საათიანი სამუშაო დღის შემოღების შესახებ. ჩვენ ასეთი ნაბიჯები კი არ გვაქვს მხედველობაში, არამედ ჩვენ მხედველობაში გვაქვს მომზადება ამ უდიდესი რეფორმისათვის, იმისათვის, რომ გადავიდეთ 7 საათის სამუშაო დღეზე.

ეს არის საკითხი, რომელიც დეტალურ შესწავლას, ხანგრძლივ მომზადებას მოითხოვს, მხოლოდ ამის შემდეგ შეგვიძლია ვთქვათ, რომ გადავდივართ 7 საათის სამუშაო დღეზე და ვაგვირგვინებთ ამით ჩვენი სოციალისტური მშენებლობის პირველ ეტაპს.

ეს შეეხება სახელმწიფო მრეწველობას.

სოფლისათვის ასეთი მნიშვნელობა აქვს საკითხის დასმას მეურნეობის კოლექტივიზაციის შესახებ. დეე, ნურავინ იფიქრებს, რომ ჩვენ ადვილად გადავჭრით ამ საკითხს, რომ ხუთ-ათ-ხუთმეტ წელში კოლექტივიზაციის პროცესი დამთავრებული იქნება. რადგან, თუ ასე ვიფიქრებთ, ჩვენ შევცდებით და კისერს მოვიტეხთ ეს ნაბიჯი ჩვენ უნდა გადავდგათ ენერგიულად, მაგრამ სიფრთხილით. ამ ამოცანის გადაჭრა მისი სიძნელის გამო გათვალისწინებულია რამოდენიმე თაობისათვის, მაგრამ ჩვენ ეს ამოცანა უნდა გადავჭრათ და ამ ამოცანის გადაჭრით გადავსწყვეტთ ყველა იმ დამატებითი საკითხებს, რომლებიც ამ დარგიდან გამომდინარეობენ.

შეტევა კულაკის წინააღმდეგ

რას ნიშნავს ასეთი კურსის, ასეთი პერსპექტივის დროს შეტევა კულაკზე?

ოპოზიციონერებმა შენიშნეს, რომ ამხ. სტალინს თავის მოხსენებაში არ უთქვია თეზისი იმის შესახებ, რომ ეხლა ჩვენ უნდა გავაძლიეროთ შეტევა კულაკის წინააღმდეგ. ამ შეტევის გაძლიერების გამოცხადება პარტიის მიერ მათ მიაჩნიათ მხოლოდ პროვოკაციით ყრილობის წინ გამართულ დისკუსიისათვის, უბრალო მანევრად და სხვა.

ეს ადამიანები ტრაბახობდენ, რომ ჰქონდათ შორს დამიზნების პოლიტიკა. ამჟამად, როცა ჩვენი პოლიტიკა მიმართულია იქითკენ, რომ ეს კულაკი ეკონომიურად მოვსპოთ, საკითხი მისი გადასახადებით დატვირთვის შესახებ მეორეხარისხოვანი ხდება, მაგრამ. რასაკვირველია, არ კარგავს თავის საჭირბოროტო მნიშვნელობას.

ოპოზიციის ფანტაზია და რეალური სინამდვილე

სოფლად წინ მიდის დიფერენციაცია, ფენებათ დაყოფის პროცესი და ჩვენ ამას ანგარიშს უწევთ, მაგრამ როცა ყრილობა სახავს სოფლის ეკონომიურ განვითარების უმნიშვნელოვანეს საფეხურებს, რომელიც აყენებს ისეთ პირობებს. როგორიცაა გლეხური დაქსაქსულ მეურნეობათა ჩაბმა საერთო სოციალისტურ მოძრაობაში, რასაკვირველია, საკითხი კულაკის შესახებ ამ პერსპექტივაში კარგავს იმ მნიშვნელობას, რომელსაც ოპოზიციონერები აძლევდენ მას, გაჰყვიროდენ რა თავდავიწყებით, რომ ადგილი აქვს კომუნისტის მოვალეობის დავიწყებას, კულაკის წინააღმდეგ ბრძოლის აუცილებლობის დავიწყებას და სხვ. აქ ძველი ამოცანა რჩება: კულაკის პოლიტიკურად მოსპობა და ეკონომიურად განიარაღება. ეკონომიურად განიარაღება არის სტრატეგიული ამოცანა, რომელიც შესრულებული უნდა იქნეს მთელ რიგ წლების განმავლობაში, ხოლო კულაკის გადასახადებით შევიწროება— ეს არის ცალკე ეპიზოდი ამ ბრძოლაში, რომლის მიზანია გლეხურ მეურნეობის კოლექტივიზაციის განხორციელება, ამ მეურნეობის მოწყობა სოციალისტურ საფუძვლებზე. ოპოზიცია ლაპარაკობდა იმის შესახებ, რომ საჭიროა თვითეულ ღარიბ გლეხს მივცეთ მომუშავე ცხენი: ეს არის ფანტაზია, ჩვენი ბიუჯეტი ვერ გაუძლებს ამას. მაგრამ მთელ რიგ ღარიბ მეურნეობათათვის არ არის ხელსაყრელი ცხენის ყოლა, არ არის ხელსაყრელი გუთანის შეძენა. მამაპაპური კავის პატრონს არ შეუძლია იყოლიოს ცხენი იმიტომ, რომ ის არ ამართლებს თავის თავს, ვერ ამართლებს ცხენის საკვებ ხარჯებს და სამუშაოების დამთავრების შემდეგ საჭირო ხდება ცხენის გაყიდვა. ასევე არ არის ხელსაყრელი გუთანის შეძენა. რომ არაფერი ვსთქვათ რთული მანქანების შეძენაზე, ტრაქტორების შეძენაზე. ხოლო მსხვილი მეურნეობა შესაძლოა და რენტაბელურად ხდის ურთულესი მანქანების გამოყენებას და ამიტომ სოფლის უზრუნველყოფა წარმოების ტეხნიკურ იარაღებით, სოფლის ტეხნიკური გარდაქმნა, სასოფლო მეურნეობის ინტენსიფიკაცია, მეტად ტეხნიკურ კულტურების განვითარება, ყველაფერი ეს შესაძლო იქნება მხოლოდ განსაზოგადოებულ მეურნეობის ნიადაგზე. ეს ამოცანა რთული და ხანგრძლივია, მაგრამ რაკი ხელთ გვიპყრია საბჭოთა ხელისუფლების ბერკეტი, ფინანსიურ საშუალებათა ბერკეტი, სასოფლო - სამეურნეო კრედიტები, ტრანსპორტი და სხვა ბერკეტების მთელი სისტემა, თუ ყველაფერი ეს ამუშავდება გეგმიანათ ამ ამოცანის დაძლევა ადვილად განსახორციელებელია. ამხ. მოლოტოვის საფუძვლიან მოხსენებაში, რომელიც მან გააკეთა ყრილობაზე ამ საკითხის შესახებ, მოხსენებაში, რომლის თვითეული თეზისი გაჟღენთილია მარქსიზმით და ლენინიზმით, ამ მოხსენებაში დამტკიცებულ იქნა ამ საკითხის დასმის აუცილებლობა, მიწის დამუშავების განსაზოგადოებულ ფორმებზე გადასვლის და კოლექტივიზაციის იმ პროცესის აუცილებლობა, რომლის გარეშე წარმოუდგენელია ჩვენი კავშირის სოციალისტური საძირკველის დამთავრება.

ახალი პარტიული „დატვირთვა"

ამიერიდან ჩვენ ვღებულობთ ახალ ამოცანას, ახალ პარტდატვირთვას სოფლად მუშაობის სფეროში. ამ მუშაობას უნდა, მოუდგეთ სხვაგვარ თვალსაზრისით. ჩვენი ამოცანები გართულდა. ჩვენ ისე განვიმტკიცდით ჩვენი მუშაობის სხვა ფრონტებზე, რომ უკვე მივდივართ იმ სიმაგრეზე, რომლის აღება მოასწავებს ჩვენს საბოლოო გამარჯვებას. თუ ჩვენ გლეხურ მეურნეობას დავიყვანთ სრულ სოციალიზმამდე, ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენი ოქტომბრის რევოლიუციის ამოცანა კავშირის ფარგლებში შესრულებულია. რომ სოციალიზმი, მისი ძირითადი პირობებით და საფუძვლებით აგებულია. ვინაიდან ერთად-ერთი საშიშროება, რომელიც ჩვენს კავშირს ემუქრება შიგნით, — ეს არის განხეთქილება მუშებსა და გლეხებს შორის. თუ იზრდება ამ განხეთქილების მუქარა, მაშინ დიქტატურას დაღუპვა მოელის. მეორეს მხრივ ჩვენს წინაშე წარმოიშვებოდა დიდი სიძნელენი, რომ არ შეგვესრულებინა ოქტომბრის რევოლიუციის პროგრამა. რომ არ შეგვენარჩუნებინა ჩვენი რევოლიუციის სოციალისტური ხასიათი, იმ რევოლიუციის, რომელიც ეხება ქალაქსაც და სოფელსაც. ამჟამად პარტია და, მაშასადამე, საბჭოთა ხელისუფლებაც მჭიდროთ მიუახლოვდენ ამ პრობლემას. ეს გამოიხატა ჩვენს კომიტეტებთან სოფლად მუშაობის განყოფილებების შექმნით. ჩვენს პირობებში თვითეული სამაზრო და ცენტრალური კომიტეტი წარმოადგენს სოფლად მუშაობის განყოფილებას. მაგრამ აქ ჩვენი კომიტეტის და მთელი ჩვენი პარტიის წინაშე ისახება სხვაგვარი პროგრამა, სხვანაირი გეზი. ამიტომ, ვიმეორებ, აქ ყოველგვარი იარაღით უნდა იყო აღჭურვილი, რათა ამ სფეროშიაც ჩვენ მოვიპოვოთ ისეთივე გამარჯვება, როგორც მოვიპოვეთ ჩვენი მსხვილი მრეწველობის აღორძინების სფეროში, მისი რეკონსტრუქციის და ინდუსტრიალიზაციის რელსებზე გადაყვანის სფეროში.

ჩვენი აღმშენებლობის დეფექტები

აი, მტკივნეული ადგილი, რომელსაც პარტიამ მიაქცია ყურადღება ამხ. სტალინის, რიკოვის და ორჯონიკიძის მოხსენებებში: ჩვენი ახალი აღმშენებლობის სიძვირე, ქალაქის და სოფლის აღმშენებლობის სიძვირე, ხუთწლედში შეტანილია 20 მილიარდი მან. კაპიტალური ხარჯები. სახ. კომისართა საბჭოს დადგენილებით, რომლითაც თვის წინად გამოცხადდა დირექტივა საამშენებლო ხარჯების 15 პროცენტით შემცირების შესახებ. 20 მილიარდის მიხედვით, ეს 15 პროცენტით შემცირება მოგვცემს 3 მილიარდ ეკონომიას. საამშენებლო სამუშაოთა ღირებულების 10 პროცენტით შემცირების შემთხვევაშიაც კი ჩვენ მივიღებთ 2 მილიარდ ეკონომიას იმ გადაჭარბებულ ხარჯების შემცირების გზით, რომლებიც ამჟამად გვაქვს. ეს ხარჯები კი მართლაც გადაჭარბებულია. ჩვენი აღმშენებლობის ინდექსი დაახლოებით 299-ს აღწევს.

ამხანაგებო, ეს ინდექსი გვიჩვენებს, რომ ჩვენ მშენებლობა გვიჯდება სამჯერ უფრო ძვირი, ვინემ ჯდებოდა ომამდე. მაგრამ ხომ ყველა საამშენებლო მასალები და სხვა ელემენტები არ გაძვირებულა სამჯერ. ამიტომ აქ არის მომჭირნეობის რეჟიმს ისეთი ფართო ასპარეზი, რომელიც მოგვცემს არა ათეულობით მილიონებს, არამედ მილიარდებს.

მოხსენებებში და ადგილებიდან წარმოთქმულ სიტყვებში ამხანაგები ლაპარაკობდენ იმის შესახებ, რომ ჩვენ დღემდე ვერ ვისწავლეთ რიგიანათ გეგმების, პროექტების შედგენა, შეხება; რომ დღემდე ჩვენ ამ დარგში ისევ მოუმზადებელნი, მოუმწიფებელნი ვართ და შეპყრობილი ვართ ხოლმე იმ ყოყოჩობით, რომელსაც ლენინი კომუნისტების დიდ ცოდვათ სთვლიდა. ჩვენ გვქონდა მშენებლობის ისეთი მაგალითები, რომელიც არ ეგუებოდა პროექტების შედგენის, აგების და მისი ეკონომიურად დამთავრების ელემენტარულ პირობებს. ამის გამო ჩვენ გვიხდება ზედმეტი ასი მილიონების დახარჯვა, ხოლო ხუთწლიანი გეგმის გატარების დროს ჩვენ შეიძლება ზედმეტი მილიარდები დავხარჯოთ, თუ ამ დარგში არ გავითვალისწინებთ ჩვენს მტკივან ადგილებს და თუ ჩვენ მათ ისე არ გამოვასწორებთ, როგორც ამას მოითხოვს იმ თანხების განსაზღვრული რაოდენობა, რომელიც ჩვენ გადადებული გვაქვს ინდუსტრიალიზაციისათვის, იმ დიდი საქმისათვის, რომელიც ჩვენ მხარზე ავიკიდეთ.

ჩვენი სახელმწიფო აპარატი

ამიტომ ჩვენ უნდა გადავხედოთ, თუ რას წარმოადგენს საერთოდ ჩვენი სახელმწიფო აპარატი, რა გაუმჯობესება გვაქვს ამ დარგში, როგორ ვახორციელებთ ჩვენი პარტიის პროგრამას, როგორ ვუახლოვდებით ჩვენს საბოლოო მიზანს, სოციალიზმს, ესე იგი იმ წყობილებას, რომელშიაც მმართველობა ხალხზე შეიცვლება მმართველობით საგნებზე.

პროლეტარული დიქტატურის ეპოქა ეს არის გარდამავალი ეტაპი. ჩვენ უარს ვერ ვიტყვით ჩვენს აპარატზე უარს ვერ ვიტყვით იმიტომ, რომ ეს იქნებოდა პროლეტარული დიქტატურის მიერ ყველა თავის პოზიციების დათმობა. აპარატი საჭიროა, ამ აპარატს ჩვენ გავუფრთხილდებით, მაგრამ ჩვენი მთავარი მცნება ამ დარგში ის არის, რომ ჩვენი აპარატი თანდათან უფრო მარტივი და იაფი გავხადოთ. თუ ჩვენი მუშაობა ამ დარგში დააკმაყოფილებს შემდეგ ორ პირობას—ერთი მხრით— თუ აპარატი უფრო და უფრო ჩვენი გახდება და მეორე მხრით—უფრო და უფრო მარტივი და იაფი შეიქნება,— ჩვენ შეგვიძლია ვსთქვათ, რომ სწორ ლენინურ გზაზე ვდგევართ.

თქვენ გახსოვთ, როცა ჩვენგან წაიყვანეს ამხ. სერგო და სრულიად საკავშირო კონტროლიორად დააყენეს, თქვენ გახსოვთ, რა ამბავი დაათია მან, როცა ქაღალდების უფსკრულ ზღვაში ჩაიძირა, როცა დაინახა, რომ ქაღალდის ტრესტის პროდუქციის ერთი-მეოთხედი ხმარდება მხოლოდ მარტო რკინისგზების ანგარიშებს, როცა მან დაინახა, რომ ჩვენი ტრესტები ფუთობით წონიან იმ საანგარიშო წიგნებს, რომელთაც არავინ არ კითხულობს და სხვ.

ამხანაგებო, ცოდვილი ვარ, — მე ეჭვი მეპარებოდა, რომ სერგომ მეტად გადააჭარბა, ვფიქრობდი, რომ შეიძლება მან უახლოეს ხანში, პარტიულ ყრილობისათვის საკმარისის გაკეთება ვერ მოასწროსო. აქ ხომ ჩვენ გვაქვს მთელი ზღვა საუკუნეებით განმტკიცებულ ბიუროკრატიზმისა, რომელსაც საფუძვლად უდევს უვიცობა, სიბნელე, მოქალაქობრივი შეგნების უქონლობა, უკულტურობა, დაქუცმაცებული გლეხური მეურნეობა და სხვა. რასაკვირველია, საფუძვლიანი იყო ეჭვიც იმაში, თუ მოკლე ხანში ჩვენ ვერ მივიღებდით ძლიერ, დამარწმუნებელ ეფექტს. გამოვიდა სულ სხვა. უფრო კარგი, ვიდრე ამის მოლოდინი იყო.

ვის ემსახურება აპარატი

ყრილობაზე ჩვენ საშუალება გვქონდა არა მარტო მ.-გ. ინსპექციის ცენტ. ორგანოების მოხსენებებიდან, არა მარტო ყრილობისათვის დაბეჭდილ სათანადო მასალებიდან, არამედ ადგილებიდან წარმოდგენილ ყველა მასალებიდან, ადგილობრივ მუშაკთა სიტყვებიდან და აგრეთვე საკუთარი გამოცდილებიდან აქ, გამოგვეტანა შემდეგი დასკვნა: დიახ, საქმე წინ მიდის; პროლეტარულ სახელმწიფოს შენების საქმე, მისი თანდათანობითი გარდაქმნა, მისი შეფარდება მოსახლეობის, სწორეთ მშრომელი მასსების საჭიროებებთან,— ეს საქმე წინ მიიწევს. ამჟამად იმ კითხვაზე, თუ ვისია აპარატი, არ შეიძლება იყოს სხვანაირი პასუხი, თუ არა ის, რომ აპარატი ჩვენია.

ეხლა ჩვენ შეგვიძლია ვსთქვათ, რომ აპარატი საფუძველში ჩვენია, რომ ჩვენ ვმართავთ მას, ჩვენ კი არ მიგვყავართ, არამედ ჩვენ მიგვყავს იგი, თუმცა შეცდომებით, ხანდახან დიდი მარცხით, მაგრამ აპარატი ჩვენ მიგვყავს, აპარატს ჩვენ ვმართავთ. ავიღოთ, მაგალითად, წითელი არმია, ეს ძლიერი აპარატი, რომელსაც ეყრდნობა საბჭოთა ხელისუფლების სიმტკიცე შიგნით და, თუ დაგვჭირდა, რასაკვირველია, გარეთაც. მე ვფიქრობ, რომ არც ერთ თბილისელ მუშაკს არა აქვს ორი აზრი იმის შესახებ, თუ ვისია ეს აპარატი, სწორედ არის ის თუ არა იგი მოწყობილი და სწორად უწევს თუ არა მას ხელმძღვანელობას. ეს აპარატი ჩვენია, ეს აპარატი მუშურ-გლეხურია, რომელსაც ხელმძღვანელობს პროლეტარული, კომუნისტური პარტია, რომლის მიზანია სოციალისტურ მონაპოვართა დაცვა, საერთაშორისო პროლეტარული რევოლიუციის დახმარება. ეს არის იმის მაქსიმუმი, რაც ისტორიას მიუცია რომელიმე აპარატისათვის, ეს არის სახელმწიფოს სიმტკიცის და მთლიანობის მაქსიმუმი გაბატონებული კლასის, ესე იგი ჩვენი ქვეყნის პროლეტარიატისა და იმ პროლეტარიატისა, რომელიც მოწოდებულია განახორციელოს ეს იდეები. ეს არის მაქსიმალური შემჭიდროება. ამის დამტკიცება შეიძლება არა მარტო იმ განწყობილებით, რომელიც არმიაში არსებობს, არამედ არმიის სოციალური შემადგენლობით და პარტიულობით და სხვ... თუ ავიღებთ საბჭოთა აპარატებს, მაგალითად, საგარეო საქმეთა სახ. კომისარიატს, რომელიც ჯერ კიდევ ლენინის დროსაც ჩვენი იყო. ეხლა, რასაკვირველია, ეს ორგანო, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ ჩვენი პარტიის ხელმძღვანელობით მუშაობს, ემსახურება პროლეტარულ პარტიის და პროლეტარული სახელმწიფოს ინტერესებს. თუ ავიღებთ მთელ რიგ სხვა ორგანოებს, სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოზე რომ არ ვილაპარაკოთ, სხვა საბჭოთა ორგანოებში, რომლებიც ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინად არც თავისი მუშაკების შემადგენლობით, არც თავისი მისწრაფებით ჩვენი არ იყო, მდგომარეობა გაუმჯობესებულია: აპარატი ჩვენ დავიქვემდებარეთ, აპარატი გარდავქმენით პროლეტარული დიქტატურის სახის მსგავსად. ეს უდიდესი მიღწევაა. სხვა საკითხია, რომ ამ აპარატს აქვს ნაკლულოვანებანი, ისეთი წყლულები, როგორიც არის მეტისმეტი ცენტრალიზაცია, პარალელიზმი მუშაობაში, გაურკვევლობა როგორც მთლიან აპარატში, ისე მის განყოფილებებში. აღმასრულებელთა უპასუხისმგებლობა, განსაკუთრებით ეს შეეხება მშენებლობის დარგს, სადაც კაცმა არ იცის, ვინ არის პასუხისმგებელი.

საჭიროა მეტი პასუხისმგებლობა

ე. წ. პასუხისმგებელი ხელმძღვანელები პასუხს არ აგებენ პროექტების ტეხნიკურ-ეკონომიური უსწორ-მასწორობისა და დაუკვირვებლობისათვის. წინათ ტეხნიკურ პირებს ჰქონდათ თავიანთი პროფესიონალური თავმოყვარეობა და თუ პროექტი უვარგისი აღმოჩნდებოდა, უსიცოცხლო გამოდგებოდა და ჩაფლავდებოდა, ეს მათთვის ერთგვარ პროფესიონალურ უბედურებას მოასწავებდა. დღეს ასე არ არის. ზოგიერთი ინჟინერები ხაზავენ, პროექტებს ადგენენ, მაგრამ ამისთვის პასუხს არ აგებენ. ფორმალურად პასუხისმგებელია დაწესებულების ხელმძღვანელი, იგი პასუხისაგებად სასამართლოში არ მიდის და ამიტომ ფაქტიურად უპასუხისმგებლობა გვაქვს. ამას ადასტურებს მ.-გ. ინსპექცია. ასეთი წესი ჯერ კიდევ სჩვევია ზოგიერთ ჩვენს აპარატებს, მაგრამ ეს ცოდვა შეიძლება გამოსწორდეს. დასასრულ, ჩვენ გვაქვს ქაღალდების სიჭარბე, დღემდე ჩვენს საბჭოთა ორგანოებში, განსაკუთრებით, სასამართლოში, ადგილი აქვს საქმის გაჭიანურებას, მაგრამ ამ დარგში ჩვენ მაინც გვაქვს მიღწევები.

შევსძლებთ თუ არა ჩვენ აპარატის გაიაფებას მომჭირნეობის რეჟიმით?

ჩვენი პარტიის ცეკას იმ ცირკულიარში, რომელიც ხელმოწერილი იყო სტალინის, კუიბიშევის, რიკოვის მიერ. აპარატის შესანახი ხარჯების შემცირების საშუალებით ჩვენ გათვალისწინებული გვქონდა რამოდენიმე ასეული მილიონი მანეთის დაზოგვა. რასაკვირველია, ჩვენ რამოდენიმე ასეული მილიონი მანეთი ვერ მივიღეთ, მაგრამ ასი მილიონი მანეთი მაინც დავზოგეთ. მიმდინარე წლის ჩვენ აღებული გვაქვს კურსი უფრო ძლიერად დაზოგვისა: სამასი მილიონი მანეთი. ავიღოთ წარმომადგენლობანი, მთელ კავშირში სულ იყო 2,272 სხვადასხვა წარმომადგენლობა. ყველა ჩვენს ღარიბ ტრესტს, სინდიკატს თუ კომუნალურ მეურნეობას სხვადასხვა ქალაქებში ყავდათ თავისი წარმომადგენლები. ამ წარმომადგენელთა შემცირების შემდეგ დარჩა 926 წარმომადგენელი, და ვზოგავთ 28 ნახევარი მილიონი მანეთი. ამხანაგობები შევამცირეთ 39 პროცენტით, ამით დავზოგეთ 11 ნახევარი მილიონი მანეთი. აპარატის გამარტივებამ — 25-დან 35 პროცენტამდე საერთოდ მოგვცა დიდძალი თანხის დაზოგვა. რკინისგზაზე შემცირება ჩატარდა 30-დან 45 პროცენტამდე, კოოპერაციის ხაზით ანგარიშგების გამარტივება—51 პროც., ფინანსიური აპარატებში ჩვენ გვაქვს შემცირება როგორც ცალკე ერთეულების, ისე სათანადო საბიუჯეტო ასიგნობათა. ამგვარად ჩვენ დავზოგეთ დაახლოებით ასი მილიონი მანეთი.

მიმდინარე წელს, როგორც იცით, ტარდება ოცპროცენტიანი შემცირება. თუმცა ამასთან ერთად ადგილი აქვს ერთგვარ გადაჭარბებას, მაგრამ, თუ ჩვენ ჩავატარებთ 20 პროცენტიან შემცირებას, ეს მოგვცემს 300 მილიონ მანეთის დაზოგვას. ეს კი, როგორც ვიცით, სულ მცირე რომ ვიანგარიშოთ. 30 კარგ საბჭოთა ფაბრიკას მაინც მოგვცემს.

იაფი აპარატი

იმ ცნობების მიხედვით. რომელიც ჩვენ მოგვეპოვება, შეგვიძლია ვსთქვათ, რომ ჩვენი სახელმწიფო კანტროლი კარგად არის დაყენებული, რომ სახელმწიფო აპარატი ჩვენია. შემდეგშიაც ჩვენ ისეთივე გაბედულებით წავალთ წინ, რომელიც ამხ. ორჯონიკიძის თაოსნობას შეადგენს. მე ვფიქრობ, რომ ამ მიმართულებით ჩვენ დიდი მიღწევები გვექნება. ეს იქნება არა მარტო მატერიალური წარმატება, არამედ ეს იქნება ჩვენი ავტორიტეტის უდიდესი ზრდის მომასწავებელი მოვლენაც მშრომელთა შორის, განსაკუთრებით, გლეხობის შორის, რომელიც ყველაზე უფრო აფასებს, რომელსაც ყველაზე მეტად უყვარს მმართველობის იაფი აპარატი. კარგია ბოლშევიკი, კარგია ბოლშევიკების აგრარული პოლიტიკა, მაგრამ კიდევ უფრო უკეთესია, თუ კომუნისტს ამ კარგ თვისებებთან ერთად ახლავს იაფი აპარატი. ეკონომია აქ მოგვცემს უშუალო მატერიალურ ეფექტს მშენებლობისათვის და ჩვენი ავტორიტეტის უდიდეს ზრდას მშრომელთა შორის, განსაკუთრებით, გლეხობაში.

მე ვფიქრობ, რომ ეხლა, როცა მუშაობა მხოლოდ ორი წელიწადია დაწყებულია, ეს შედეგები სანუგეშოა და მიგვითითებენ მასზე, რომ თუ ჩვენ ამ გზით ვიარეთ და თუ მხედველობიდან არ გაუშვებთ კაპიტალურ მშენებლობაში შემჩნეულ დეფექტებს, დეფექტებს, რომელთაც ადგილი აქვთ როგორც ქალაქის მშენებლობის, ისე სოფლად წარმოებულ მშენებლობის ხაზით, განსაკუთრებით, არხების გაყვანის დარგში, ჩვენ მივაღწევთ უდიდეს წარმატებებს. ჩვენ აქ ბევრი რამეს დაძლევა მოგვიხდება, ჩვენ უნდა დავსძლიოთ არა მარტო ჩვენი უუნარობა, არა მარტო ჩვენი ჩამორჩენილობა, არამედ მომჭირნეობის დაცვის სურვილის უქონლობა. ისეთი დამოკიდებულება საქმისადმი, თითქოს ჩვენ ამ საქმის უშუალოდ დაინტერესებული ბატონ-პატრონი არ ვიყვეთ.

მეტი გეგმიანობა

აქედან გამომდინარეობს ყველა ის ანეკდოტები, რომლებსაც უკანასკნელ ხანებში ადგილი აქვს ამ დარგში, ჩვენი სამეურნეო მშენებლობის დარგში. ბურჟუაზია ჯერ პროექტს ადგენს და შემდეგ ფულს ეძებს. ჩვენში კი, პირიქით, რო ფულის შოვნა ძალიან ადვილია, პროექტი კი ფულს მოჰყვება თანო. ღმერთმა ქნას რომ მოჰყვეს, თორემ ხანდახაან ხდება, რომ მუშაობა დაწყებულია, პროექტი კი არსად არის. ხანდახან მუშაობა გაჩაღებულია, და მხოლოდ მაშინ ადგენენ პროექტს, როცა გამოირკვევა, რომ მუშაობა არ სწარმოებს ისე, როგორც საჭიროა. და უკვე მუშაობის პროცესში სწარმოებს მუშაობის შეცვლა სათანადო პროექტის მიხედვით. არის ასეთი შემთხვევაც: პროექტი შედგენილია 500 ათასი მან. რაოდენობით, და შემდეგ ხარჯთ-აღრიცხვა იზრდება 10 მილიონ მანეთამდე. თქვენ ხედავთ, რომ ჩვენ ამ დარგში ჯერ კიდევ სტიქიური მდგომარეობა გვაქვს. ფართო კომუნისტური ბუნება ანგარიშში არ უწევს ისეთ „უბრალო რამეებს", როგორიც არის რამოდენიმე მილიონი მანეთი, მას არ უნდა დაიცადოს, სანამ შედგენილ იქნება თუნდაც საესკიზო პროექტი, როცა ეს ესკიზი გადაიქცევა ნამდვილ პროექტად, როცა მას რამოდენიმეჯერ განიხილავენ, შეამოწმებენ, შეიტანენ სათანადო ცვლილებებს, და როცა ახლად არის შემდეგ იქნება გამონახული ფული მისი განხორციელებისათვის. ჩვენში პირიქით ხდება და ყრილობაზე მოგვხვდა ჩვენ, კავკასიელებსაც. ამხ. რიკოვის მოხსენებაში ჩვენ ისე მაგრად მოგვცეს, რომ ეს დაემჩნევა არა მარტო ჩვენს თავმოყვარეობას, არამედ დაგვიჯდება რამოდენიმე ელექტრო სადგური. ჩვენ შეგვეკითხნენ: რატომ არის ზემოავჭალის სადგური დატვირთული მხოლოდ 25 პროცენტით? წადი ეხლა და უმტკიცე ყრილობის ხალხს, თუ როგორ პირობებში დაიწყო ამ სადგურის აგება, რა მიზნით და სხ. კარგია, რომ ეს სადგური ავაშენეთ, ჩვენ ყველანი კმაყოფილი ვართ, ყველანი, ვინც ნახეს სადგური, აქებს მას, მაგრამ კავშირი ეხლა უკვე აწარმოებს ეკონომიური ეფექტის ანგარიშს. ჩვენ ვეუბნებით, რომ ტრამვაი ჯერ არ გადასულა ზემო-ავჭალის სადგურის ენერგიაზე, რომ თბილისის მრეწველობა არ გადასულა ზაჰესის ენერგიაზე, რომ ჩვენში შენდება მაუდის ფაბრიკა და ცემენტის ქარხანა, რომლებიც ზაჰესის ენერგიაზე იმუშავებენ, რომ განზრახულია სურამის უღელტეხილის ელექტროფიკაცია, მაგრამ მაინც გვეუბნებიან, რომ თქვენი სადგური 75 პროცენტით დაუტვირთავიაო. და ეხლა ის ხალხი, რომელნიც ხალისით გვეხმარებოდა, არა მარტო თ. ღლონტი, რომელიც მოსკოვში ქვიდან აღენდა ჩერვონეცის წვენს ზაჰესისათვის, არამედ ისინიც, რომელნიც წინააღმდეგ იყვნენ ოქროს წვიმოსა ზაჰესისათვის,—ეს ამხანაგები ეხლა უკვე გვეკითხებიან: სადღა არის ეკონომიური ეფექტიო? რატომ ხდება, რომ თქვენ არ გაქვთ დატვირთვა ერთი ჰიდროცენტრალისათვის, და მოთხოვნილებას აყენებთ ოთხი ახალი ცენტრალისთვისო. ეს საკითხი უნდა დაისვას ამ მხრივ, რომ მტკიცე გეგმიანობა დავამყაროთ. ამიტომ ჩვენი ამოცანა მუშათა და გლეხთა ინსპექციის ხაზით, თვითაღზრდის ამოცანა ამ დარგში მდგომარეობს იმაში, რომ ჩვენი მრეწველობა სწარმოებდეს არა მარტო ყველა უმთავრესი მომენტების დაცვით, გეგმების ეკონომიურად დამუშავების, ტეხნიკურ საწარმოო დასაბუთებების და სხ. მომენტის დაცვით.— ჩვენ ნათლად უნდა ვიცოდეთ რას ვაშენებთ, რისთვის და რა საშუალებებით.

(დასასრული—შემდეგ ნომერში)

პროფ. კ. მ. ამირეჯიბი

(მისი საზოგადოებრივ და სამეცნიერო მოღვაწეობის 35 წლის აღსანიშნავად)



1927 წ. დეკემბერში შესრულდა 35 წელი მას შემდეგ, რაც პროფ. კ. ამირაჯიბი გამოვიდა საზოგადოებრივ-სამეცნიერო ასპარეზზე სამუშაოთ, რომელსაც ის დღემდე აწარმოებს.

პროფ. კ. ამირაჯიბი დაიბადა 1864 წ. 18 დეკემბერს; მშობლები ყოველმხრივ ხელს უწყობდენ მის გონებრივ განვითარებას.

1893 წ. პირველი ხარისხის დიპლომით დაამთავრა ფიზიკო-მატემატიკურ ფაკულტეტის აგრონომიულ-ტეხნიკური განყოფილება. თავის თხზულებისათვის „ხელოვნურ სასუქის ნივთიერების" შესახებ მიიღო ოქროს მედალი და დატოვებულ იქნა უნივ.-თან სამეცნიერო მიზნით ქიმიურ ტეხნოლოგიის კათედრასთან. შემდეგ მივლენილ იქნა უცხოეთში და 1895 წლამდე აწარმოებდა იქ მეცნიერულ მუშაობას.

1897 წელს ოჯახურ პირობების გამო იძულებული იყო დაეტოვებია უნივერსიტეტი და ხელი მოჰკიდა თავის სოფელში—აველევში (შორ. მაზრა) სამეურნეო მუშაობას. რომლის დროსაც პრაქტიკულად ეცნობოდა და ამუშავებდა ღონისძიებებს სოფლის მეურნეობაში. ამავე დროს აწარმოებდა ენერგიულ პროპაგანდას გლეხობაში კოლექტივიზაციის იდეის განვითარების მიზნით. კ. ამირაჯიბის მოღვაწეობის შედეგად 1900 წელს ამ სოფელში ჩვენ გვაქვს: საექიმო პუნქტი, სასოფლო-სამეურნეო, საკრედიტო, სამომხმარებლო ამხანაგობა; სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღების გამქირავებელი პუნქტი, სახელოსნო და სხვა. მისი მამული ერთგვარ საჩვენებელ ნაკვეთს წარმოადგენდა, სადაც გამოყენებული იყო სოფლის სამეურნეო ტეხნიკის უკანასკნელი მიღწევები.

1907 წელს დიდი გაჭირვების შემდეგ კ. ამირაჯიბმა შესძლო ნებართვის მიღება ექვს კლასიან სასოფლო-სამეურნეო სკოლის გახსნისა. უკვე 1909 წელს ელექტრო-სადგური იყო გაკეთებული რომელიც ემსახურებოდა არა მარტო სკოლას, არამედ მთელ სოფელს.

აღნიშნულ სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელს დიდი წარმატება დაეტყო; მოწყობილი იყო სატყეო და რძის წისქვილი და სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღების საწყობი; მოწაფეთა რიცხვი კი 250 აღწევდა. ხოლო მასწავლებლების 10; თვითონ კ. ამირაჯიბი ასწავლიდა მექანიკას და სასოფლო-სამეურნეო მანქანის მოხმარებას.

1914 წელს მისი ინიციატივით დაარსებული იქნა „გომის კოოპერატიული კავშირი",—რომელიც რამოდენიმე სამომხმარებლო კოოპერატივს აერთიანებდა და რომლის თავმჯდომარედ არჩეული იქნა კ. ამირაჯიბი.

რევოლიუციის დროს აველევის აღმასრულებელ კომიტეტმა (რომელიც აერთიანებდა 15 სოფელს) აირჩია თავმჯდომარეთ კ. ამირაჯიბი, რომლის ხელმძღვანელობით დიდი სასარგებლო მუშაობა იქნა ჩატარებული აღნიშნულ რაიონში.

1918 წელს კ. ამირაჯიბი იძულებული გახდა დაეტოვებია თავისი სოფელი და მიწვეული იქნა თბილისში ქიმიურ ქარხნის გამგეთ. ხოლო 1919 წელს სახელმწ. უნივერსიტეტის მიერ არჩეული იყო დოცენტად სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღების კათედრაზე; შემდეგ საინჟინერო ფაკულტეტზე საშენებელ მასალის ტეხნოლოგიაში და სასოფლო-სამეურნეო მანქანებში კითხულობს ლექციებს.

1923 წ. არჩეული იქნა დოცენტად თბილისის ლენინის სახელობის პოლიტეხნიკურ ინსტიტუტში, სადაც იმავე დარგში კითხულობს ლექციებს.

გარდა ამისა, კ. ამირაჯიბი მოწვეულია კონსულტანტად საქ. მიწსახკომში.

ამირაჯიბის ძლიერი ენერგია შეასუსტა 1902 წელს მომხდარ უბედურ შემთხვევამ: სალეწ მანქანაზე მუშაობის დროს, სრულიად გაუფუჭდა მარჯვენა ფეხი, რამაც, რასაკვირველია თავისებური დაღი დაასვა მის შემდეგ მუშაობას.

სწორედ დღეს მისი 35 წლის მოღვაწეობის აღსანიშნავათ საქართველოს სასოფლო-სამეურნეო საზოგადოება და მიწა-ტყის კავშირის სამეცნიერო-ტეხნიკურ ძალთა სექცია უმართავს მას იუბილეს და უსურვებს ხანგრძლივ და ნაყოფიერ მუშაობას სოფლის მეურნეობის ასპარეზზე.

მეგობარი.

კოლექტიური მეურნეობა სოფლად

(კოლმეურნეობათა წარმომადგენლების ყრილობის გამო)

დღეს იხსნება კოლექტიურ მეურნეობათა სრულიად საქართველოს პირველი ყრილობა.

ყრილობის მიზნების, ამოცანების და პერსპექტივების შესახებ, ყრილობის საორგანიზაციო ბიუროს წევრმა და საქ. უმაღლეს ეკონომიურ საბჭოსთან არსებულ კოოპერატიულ სამმართველოს უფროსმა ამხ. ვ. ცაგარელმა ჩვენს თანამშრომელთან საუბარში განაცხადა:

საქართველოში, ისე, როგორც სხვა საბჭოთა რესპუბლიკებში კოლექტიურ მეურნეობების ორგანიზაცია - განვითარება იწყება დღიდან საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისა.

ჩვენში განვითარებულია უმთავრესად კოლექტიურ მეურნეობის სამი სახე: კომუნები, არტელები და მიწის საზოგადოებრივად დამმუშავებელი ამხანაგობები. ამასთანავე ვითარდება კიდევ კოლექტიურ მეურნეობის უმარტივესი ფორმა — სამანქანო ამხანაგობები.

უნდა ითქვას, რომ ისეთ მარტივი ფორმის კოლექტიური მეურნეობები, როგორიცაა სამანქანო და მიწის დამმუშავებელი ამხანაგობები ჩვენში განსაკუთრებით ამ უკანასკნელ ხანებში იკიდებენ ფეხს და ვითარდებიან.

კოლექტიურ მეურნეობათა ქსელი საქართველოში ასეთის სახით გვეხატება: კომუნები—7, არტელები — 25, მიწის დამმუშავებელი ამხანაგობები — 70 და სამანქანო ამხანაგობები—30.

აქამდე კოლექტიური მეურნეობათა ორგანიზაცია - განვითარების საქმე მოკლებული იყო საჭირო ხელმძღვანელობას. ისინი სტიქიურად იქმნებოდენ და ხელმძღვანელ მუშაკების უყურადღებობა ქმნიდა პირობებს იმისათვის, რომ მუშაობა ამ მეურნეობებში მოკლებული იყო გეგმიანობას. კრედიტებს იყენებდენ არამიზანშეწონილად. არ ჰქონდათ დაყენებული ანგარიშების და საქმის წარმოება და სხვა. ცხადია, ყველა ეს დეფექტები გამომდინარეობენ იქიდან, რომ კოლექტიურ მეურნეობებს აქამდე არ მოეპოვებოდა საკუთარი სახელმძღვანელო ცენტრი.

ეს ყრილობა პირველ ყოვლისა მოწვეულია იმ მიზნით, რომ ჩამოყალიბდეს კოლმეურნეობათა ხელმძღვანელი აპარატი, რომელიც მათ გაუწევს საორგანიზაციო - სამეურნეო ხელმძღვანელობას, ხოლო რაც შეეხება მათ ფინანსიურ მხარეს, ამ მხრივ სამსახურის გაწევა დაეკისრება სასოფ.-სამ. კოოპერაციის ცენტრს—„სოფლის კავშირს".

კოლექტიურ მეურნეობათა შემდგომი განვითარება იწარმოებს, მათში ღარიბ და საშუალო გლეხობის ჩაბმის გზით და პირველ რიგში განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა კოლმეურნეობათა უმარტივეს ფორმების ორგანიზაცია-განვითარებას.

რაც შეეხება კოლმეურნეობათა ახალ ცენტრის მუშაობას ასეთ პირობებში, იგი იწარმოებს ამ მეურნეობათა ორგანიზაციულად ჩამოყალიბების, იქ ანგარიშების და საქმის წარმოების, და მათი მუშაობის სასოფ.-სამ. საკრედიტო სისტემასთან მჭიდროდ დაკავშირების ხაზით.

სასოფლო-სამეურნეო გადასახადი

1-ლ იანვრისათვის აკრეფილია 1.241.749 მანეთი

საქართველოს თინსახკომში მიღებულ ცნობებით, 1-ლ იანვრისათვის საქართველოში (აფხაზეთის გარდა) სასოფლო-სამეურნეო გადასახადი აკრეფილია 1.241.749 მანეთის რაოდენობით; სულ გაწერილია (აფხაზეთთან ერთად) 2.487.945 მანეთი, დავალება შესრულებულია 55.1 პროცენტით.

შეკრებილი გადასახადი ცალკე მაზრებზე ნაწილდება შემდეგნაირად: ახალქალაქის მაზრაში აკრეფილია 102.835 მანეთი (მაზრაში გაწერილ გადასახადის (68.4 პროც.), ახალციხე—59.562 მანეთი (63.2 პროც.). ბორჩალო—123.087 მანეთი (48.9 პროც.). გორი—80.211 მანეთი (49.6 პროც.), დუშეთი—67.802 მანეთი (75.2 პროც.); სიღნაღი—195.727 მანეთი (56.6 პროც.), თელავი—144.474 მანეთი (67.2 პროც.); თბილისი — 185.739 მანეთი (62,0 პროც.). სამხრეთ-ოსეთი—10.241 მანეთი (21.2 პროც.), ზუგდიდი—62.000 მანეთი (53,1 პროც.), ქუთაისი—60.180 მანეთი (34.2 პრო.), ლეჩხუმი 18.953 მანეთი (63.3 პროც.), ოზურგეთი—13.713 მანეთი (43.9 პროც.), რაჭა—17.082 მანეთი (57,8 პროც.). სენაკი—24.451 მანეთი (47,7 პროც.). შორაპანი—55.000 მანეთი (47,8 პროც.). აჭარისტანი—21.150 მანეთი (49,3 პროც.). სახალხო მამულების ტრესტი—2.150 მანეთი (28.1 პროც.), სულ კი 1.241.749 მანეთი (55,1 პროც.).

ამას გარდა, გასული წლების გადასახადის ნარჩენების და საურავის სახით შემოვიდა 13.662 მანეთი.

ქრონიკა

ინჟ. ნ. ლეჟავას დაკრძალვა

დღეს, 12 საათზე ამ.-კავკ. რკინისგზის სალიანდაგო ნაწილიდან გამოასვენებენ სალიანდაგო ნაწილის უფროსს ინჟ. **ნიკოლოზ ლეჟავას** ნეშტს. დაკრძალვა მოხდება ქართველ მოღვაწეთა პანთეონში დიდუბეში. პროცესია წავა. ელისაბედისა და ქსენიევის ქუჩით გაივლის პლეხანოვის პროსპექტს და მუშტაიდს.

პროცესიას უხელმძღვანელებს დამკრძალავი კომისია, რომელშიაც შედიან რკინისგზის სამმართველოს, კავშირის, თბ. სახ. უნივერსიტეტის პოლიტეხნიკური ფაკულტეტის, სტუდენტების და საქართველოს ტეხნიკურ საზოგადოების წარმომადგენლები.

განსვენებულ ინჟ. ნიკოლოზ ლეჟავას ხსოვნის აღსანიშნავად, საქართველოს წყალთა მეურნეობის თანამშრომლებმა სახ. უნივერსიტეტის პოლიტეხნიკურ ფაკულტეტის სტუდენტთა საგანმცემლო ფონდის გაძლიერებლად შესწირეს 220 მანეთი.

არჩევნები სას.-სამ. კოოპერაციაში

თბილისის მაზრის სას.-სამ. კოოპერაციის ხელმძღვანელ ორგანოების გადარჩევა გაცხოველებით მიმდინარეობს.

საარჩევნო კამპანიას ხელმძღვანელობენ სას. სამ. ბანკის ინსპექტორები და „სოფლის კავშირის" ინსტრუქტორები. ამხანაგობათა წარსული მუშაობა დამაკმაყოფილებელია გარდა ფიჯალის და წავკისის ამხანაგობებისა, რომლებიც გაერთიანებული იქნენ თბილისის და მისი მიდამოების სას.-სამ. საკრედიტო ამხანაგობასთან. ამხანაგობების მოგებიდან ნაწილი გადადებულია ღარიბ გლეხობის ფონდში, რომელიც უნდა მოხმარდეს ღარიბი გლეხობის კოოპერაციაში გაერთიანების საქმეს.

პროფსკოლები

საქართველოს პროფსაბჭოს კულტგანყოფილებამ წინადადება მისცა ყველა სამაზრო პროფსაბჭოებს და ავტონომიურ რესპუბლიკების პროფსაბჭოებს მსმენელებათ გამოყონ ფაბქარხკომის მუშაკები და აქტიური მუშები რაც შეეხება შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიების, საწარმოო თათბირების, კულტკომისიების მუშაკებს. საკავშირო ანარიცხების ამკრეფელებისა და ხაზინადრების მომზადებას, მათთვის მოეწყობა ერთთვიანი კურსები. კურსების მოწყობა დაიწყება იანვრის შუა რიცხვებში.

ბრძოლა ეპიდემიასთან

ეპიდემიასთან მებრძოლ საგანგებო სამეულში მიღებულ ცნობებით, 1-ლი იანვრიდან 7 იანვრამდე თბილისში ავათ გამხდარა ქუნთრუშით 10 ბავშვი და ხუნაგით 4.

ამავე ხნის განმავლობაში თბილისში თავი იჩინა პარტახტიანი ტიფის სახადმა. აღნიშნული სახადით, 6 იანვარს ავად გახდა 1 მოქალაქე, რომელიც მოთავსებულია გათვისებულათ საავადმყოფოში.

პურის საცხობი ქარხანა

მუშათა მთლიან კოოპერატივის გამგეობამ დაამტკიცა თბილისში პურის მექანიკური საცხობ ქარხნის აგების გეგმა, რომელიც შედგენილია ინჟ. ნესტეროვის მიერ. ქარხანა დღე-ღამეში დაამზადებს 1.500 ფ. პურს. ქარხნის აგებას შეუდგებიან ახლო ხანში.

თბილისის ალმასკომში

◆ **ტრამვაის ახალი ხაზი.** ტრამვაის დირექციამ გადასწყვიტა წელს სახ. უნივერსიტეტიდან ყოფ. სემინარიამდე გაიყვანოს ტრამვაის ახალი ხაზი.

◆ **წყალსადენი.** თბ. ალმასკომმა გადასწყვიტა კუკიაში გაიყვანოს წყალსადენი.

ჩაუბარებელი დეპეშები

ბაქოდან—ვაგზლის ქუჩა ნომერი 20, ქუთაისიდან—კახიანს. იდროსკიდან — კრიჩევსკის; ახალსენაკიდან — არუთინოვს; აჯიკაბულიდან — ასანიძეს; ანაპიდან — კოლესნიჩენკოს; კისლოვოდსკიდან — კარაგულიანს; ლაგოდეხიდან — ამბარცუმიანს; ბაქოდან — ტაბიძეს; განჯიდან — რახიმოვს; ტაშკენტიდან — პუპკეს; ჰრებალოდან — ლობილაძეს; ბუკისციხიდან — ჩახნიძეს; ელენინოდან — მოლბახს; ბაქოდან — კრასნიკოვს; ქედიდან—ივანიძეს; ლენინგრადიდან — გიგნაშვილს, ულიანოვსკიდან — კატანიანცს; ცესიდან — პილენკოვს; კრასნოდარიდან — კომურჯიას, განჯიდან — ლისენკოს. ზესტაფონიდან — ყაჟიაშვილს; მოსკოვიდან — ხასიტაშვილს, ხარკოვიდან —პერელკეტილს, კრაპოტკინიდან — ცაგარელს; გომელიდან — პოპურს; ქობულეთიდან — ჩახნეიშვილს; ბაქოდან — მელაძეს; მარტვილიდან — კვირკველიას, წნორის-წყალიდან — ჯიშკარიანს.

კრებები და მოხსენებები

— **საქ. ფსიქოლოგიურ საზოგადოებაში.** ორშაბათს, 9 იანვარს, საღამოს 7 საათზე საქართველოს მუზეუმის აუდიტორიაში შესდგება საქართველოს ფსიქოლოგიურ საზოგადოების საგანგებო სხდომა აკადემიკოს ვ. მ. ბეხტერევის ხსოვნის აღსანიშნავად.

დღის წესრიგშია მოხსენებები: დამსახ. პროფ. ანფიმოვისა, პროფ. მიხ. ახათიანისა, პროფ. ი. ბერიტაშვილისა და პროფ. დ. უზნაძისა.

— **„წერა-კითხვის" საზოგადოების კრება.** ორშაბათს, 9 იანვარს, საღამოს 5 საათზე აბ. ალმასკომის დიდ დარბაზში შესდგება საზოგადოება „წერა-კითხვის" მეოთხე რაისაბჭოს უჯრედების ბიუროების საერთო კრება. ბიუროები უნდა დაესწრონ მთელი შემადგენლობით.

— **საქართველოს სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებაში** (ჯორჯიაშვილის ქ. ნომერი 5) დღეს, 8 იანვარს, დილის 11 საათზე შესდგება პროფ. კ. ამირაჯიბის საზოგადოებრივ-სამეცნიერო მოღვაწეობის 35 წლის იუბილე.

სასამართლო

ნაცვლად მეგობრობისა და სიყვარულისა

(პროცესის მეორე დღე)

გრძელდება ანდრონიკ ზაალიანცის, ხუბაევის, ანუშ სიმონიანის და მანდალიანცის გასამართლება.

ბრალდებულები თავს არ სცნობენ დამნაშავედ არაქსია მალხაზოვას დაღრჩობაში. თვითეული ბრალდებული გადაჭრით უარყოფს თავის მონაწილეობას ამ საზიზღარ ბოროტმოქმედებაში.

— მე არაფერ შუაში ვარ, მოყვირს, თქვენ როგორ გაიფიქრეთ, რომ მე ამას ვჩადიოდი,—ლაპარაკობს მთავარი ბრალდებული ზაალიანცი.

— ტყუილი ამბავია. მე არავითარი კავშირი არ მაქვს ამ ბოროტმოქმედებასთან, არ ვიცი საიდან მოიტანეს ჩემზე იჭვი. — გაკვირვებით ჰკითხავს ხუბაევი.

მანდალიანციც ამასვე იმეორებს.

ბრალდებულებს ამხილებს მეოთხე ბრალდებული ანუშ სიმონიანის ქალი.

— მე პოჭორებით ვიყავი, როცა ქალის კივილი შემომესმა. ამ სამმა პირმა შორის გაიტყუეს ქალი. მე ნიმბტოვეს... კივილის გაგონებაზე, მე გავექეცი ჩემი მეგობარი ქალის დასახმარებლად. მიუახლოვდი და დავინახე, რომ ქალს ახრჩობდენ... მე შევებრძოლე მაგათ, მაგრამ ცემით მომიშორეს. მე ვამტკიცებ, რომ სწორედ ესენი არიან დამნაშავე, მე კი არაფერ შუაში ვარ".

გრძელდება მოწმეების დაკითხვა. დღეს მოხდება ამ ადგილის დათვალიერება, სადაც მხეცურად დაახრჩვეს არაქსია მალხაზოვა.

შემთხვევები

ხანძარი

გუშინ კოოპერატიული ამხანაგობის სახლს. საბჭოს ქუჩაზე № 13, გაუჩნდა ცეცხლი, რომელმაც ჩქარა ისეთი ხასიათი მიიღო, რომ მთელ შენობას ემუქრებოდა.

საჩქაროთ გამოიწვიეს ცეცხლის მქრობელი რაზმი, რომელმაც ხანძარი ჩააქრო 15 წუთის განმავლობაში.

როგორც გამოირკვა, ხანძარი გაჩნდა საკვამლე მილის გაუწმენდაობის გამო.

ხანძრიდან მიყენებული ზარალი ირკვევა.

დაჭრა

გუშინ კონსტანტინე კვირიკაშვილმა (მეხ. მჭედლიშვილის ქ. № 2) დანით მსუბუქათ დასჭრა სანდრო სოლომონისძე გრძელიშვილი.

დაჭრის მიზეზი გამოურკვეველია.

მოქალაქე კვირიკაშვილი დააპატიმრეს.

რეციდივისტების შეპყრობა

გუშინ სისხლის სამართლის მილიციამ დააპატიმრა ცნობილი ქურდი-რეციდივისტები: პაველ სერგოს ძე კონჩინსკი, ვასილ ივანეს ძე გრაშინსკი, ვასილ ივანეს ძე სვადეევი და გიორგი კონსტანტინეს ძე ჩუტკერაშვილი.

ბავშვი ავტომობილის ქვეშ

გუშინ საღამოს რუსთაველის პროსპექტზე სასახლის პირდაპირ ნახევრად მსუბუქი ავტომობილი დაეჯახა ვანია ხაჩატურის ძე ჯულგაკოვს (11 წლისა).

ბავშვი მოჰყვა ავტომობილის ქვეშ და მძიმეთ დაშავდა.

ჯულგაკოვს აღმოუჩინეს სასწრაფო სამედიცინო დახმარება და გადაგზავნეს რესპუბლიკის მთავარ საავადმყოფოში.

შემთხვევის ადგილზე გამოცხადდა მორიგე გამომძიებელი მ. ნოზაძე და სისხლის სამართლის მილიციის თანამშრომლები.

გამოძიებით გამოირკვა, რომ უბედური შემთხვევა არ მომხდარა შოფერის დაუდევრობით.

წყალსადენის მილის დაზიანება

გუშინ დილით, 1 საათზე, რუსთაველის პროსპექტზე № 13 სახლის პირდაპირ გასკდა წყალსადენის მთავარი სამაგისტრალო მილი.

სასწრაფოთ გამოიწვიეს ოსტატები წყალსადენის სახელოსნოდან და დაზიანებული მილი შეაკეთეს.

თვითმკვლელობა

გუშინწინ. საღამოს 8 საათზე „ბრაუნინგის" სისტემის რევოლვერით თავი დაიჭრა ანა იყინის ასულმა ჩიხლაძემ (მის. ლენინის ქუჩა № 3).

მიღებული ჭრილობისაგან ჩიხლაძის ქალი გარდაიცვალა.

შემთხვევის ადგილზე გამოცხადდენ აღმასკომის ადმინისტრატიულ განყოფილების უფროსის ამხ. ხმალაძე, პროკურორი ბეჟელიშვილი, გამომძიებელი თაბაგარი. თვითმკვლელობის მიზეზი ჯერ-ჯერობით გამორკვეული არ არის.

ეჭვით დაპატიმრებულია გარდაცვლებულის ქმარი ვალია ჩიხლაძე.

რკინის გზებზე

ხანძარი თბილისის სადგურზე

6 იანვარს, დაახლოებით ღამის 2 საათზე სადგ. თბილისის ბორჯომის ჩიხში ცეცხლი გაუჩნდა საფოსტო ვაგონს. როგორც გამოირკვა, ცეცხლი გაჩენილია ვაგონის გამყოლების მხრივ ცეცხლისადმი გაუფრთხილებელი მოპყრობის გამო.

მიღებული ზომებით ცეცხლი ჩააქრეს, ვაგონს დაეწვა სახურავი.

ცეცხლი კანტორაში

5 იანვარს დილის 6 საათზე სადგ. კიშლაში, გზის ოსტატის კანტორაში გაჩნდა ცეცხლი. დაუყოვნებლივ გაგზავნილმა სახანძრო მატარებელმა ცეცხლი მალე ჩააქრო. ცეცხლის გაჩენის მიზეზებს და ზარალს იკვლევენ.

ნ. რ. ლეჟავა

5 იანვარს, დილით, ხანგრძლივი ავადმყოფობის (ღვიძლის სარკომი) შემდეგ გარდაიცვალა საქართველოს და ამიერ-კავკასიის ერთ-ერთი უთვალსაჩინოესი სპეციალისტი-მშენებელი ინჟენერი ნიკოლოზ რომანის ძე ლეჟავა. ჩვენს რიგებს მოწყდა დაუღალავი, ენერგიული, ნაცადი მებრძოლი, რომელიც ჯანში გასწყვიტა 25 წლის მძიმე ჯაფამ რკინის გზებსა და მშენებლობაში. თანამედროვე ცხოვრებაში ასეთი სპეციალისტების პიროვნება და როლი იმდენად დიდია, რომ შეუძლებელია არ შევჩერდეთ იმ ამხანაგის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ცალკე მომენტებზე, ვის დაკარგვასაც ასე მწვავედ განიცდიან ტეხნიკური წრეებიცა და დაწესებულებანიც, სადაც ნიკო ლეჟავას რამდენიმე წლის განმავლობაში იცნობდენ ჯერ როგორც თანამშრომელს, შემდეგ კი როგორც ხელმძღვანელს.

ნ. რ. ლეჟავა დაიბადა თბილისში 1883 წ. ღარიბი მებაღის ოჯახში. მის მამას უფროსმა შვილებმა იმედი გაუცრუეს სწავლის საქმეში და ამიტომ ის კატეგორიულად წინააღმდეგი იყო უმცროსი შვილის ნიკოს სწავლისა. მაგრამ ინსტიქტიურმა მისწრაფებამ სკოლისაკენ და დედის დახმარებამ ნიკო მაინც გზაზე დააყენა. პატარა ნიკო თვითონ გამოცხადდა თბილისის ერთ-ერთ საქალაქო სასწავლებელში და გამგეს სთხოვა, რომ წერა-კითხვა ესწავლებინათ. ბავშვის პირადმა მიმართვამ ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა მასწავლებლებზე, რომ ნიკო მიიღეს სკოლაში (და მან მშვენივრადაც დაამთავრა სასწავლებელი). შემდეგ ის შევიდა თბილისის რკინის გზის სასწავლებელში და იგი დაამთავრა 1903 წ., რის შემდეგ ის ჩარიცხეს ტეხნიკოს-პრაქტიკანტად ამიერ-კავკასიის რკინისგზის სალიანდაგო დარგის მეოთხე უბანში სადგ. შორაპანზე.

1905 წლიდან ის გზის ოსტატი და უფროსი ტეხნიკოსია ამიერ-კავკ. რკ. გზის სალიანდაგო დარგის მე-4 უბანში სადგ. ჭიათურაზე, შემდეგ კი სამუშაოების მწარმოებლის თანაშემწეა ჭიათურა—დარკვეთ—საჩხერის ხაზის გაყვანის დროს.

1909 წელს ნიკომ გამოცდა დაიჭირა და საგზაო ტეხნიკოსის სახელწოდება მიიღო. 1911 წელს ის გადაიყვანეს ბაქოში, სადაც უბნის უფროსის თანაშემწის მოვალეობას ასრულებდა. 1912 წლიდან 1919 წლის დამლევამდე კახეთის რკინის გზაზე მსახურობდა ჯერ საამშენებლო დისტანციის უფროსად, გზის გაყვანის შემდეგ კი სალიანდაგო დარგის 1-ლი უბნის უფროსად.

1919 წლის დეკემბერს ნიკო, როგორც თვალსაჩინო მუშაკი, რკინის გზის სტიპენდიანტად გაიგზავნა გერმანიაში უმაღლესი ტეხნიკური განათლებისა და რკინის გზისა და საამშენებლო საქმეში სპეციალიზაციის მისაღებათ.

ამხ. ლეჟავა შევიდა ბერლინის შარლოტენბურგის პოლიტეხნიკურ ინსტიტუტში და ის დაამთავრა 1924 წლის დამლევს; მიუხედავათ უკიდურესი ქონებრივი გაჭირვებისა, ის ერთი პირველთაგანი იყო მათ შორის, ვინც დიპლომიანი ინჟენერ-მშენებელის სახელწოდება მიიღო. საქართველოში დაბრუნების შემდეგ ამიერ-კავკასიის რკინის გზის გამგეობის თანხმობით, ნიკომ მუშაობა დაიწყო ზემო-ავჭალის ჰიდრო-ელექტრონული სადგურის მშენებლობაზე, როგორც მესამე საამშენებლო უბნის უფროსმა; მისი ხელმძღვანელობით დიდის წარმატებით შესრულდა მუშაობა ზაჰესი-თბილისის ელექტრო-გადაცემის მაღალვოლტიანი ხაზის გასაყვანად, თბილისში ოთხი ქვესადგურის ასაგებად, 6.000 ვოლტიას ამწევ კაბელის გასაყვანად და ქალაქის ტრანსფორმატორულ შენობათა ასაგებათ.

ამავე დროს ამხ. ლეჟავა, როგორც გამომკვლევი პარტიის უფროსი, დაწვრილებით იკვლევს თბილის-კოჯორის ელექტრონის რკინის გზის ხაზს და ადგენს მის პროექტს ზემო ავჭალის ჰიდროსადგურის შენების დამთავრების შემდეგ ნ. ლეჟავა რამდენიმე ხანს განაგებს თბილისის აღმასრულებელი კომიტეტის კომუნალურ განყოფილების ტეხნიკურ ნაწილს, სადაც ის იჩენს თავის ჩვეულებრივ ენერგიას და გამოცდილებას ადმინისტრატიულ-ტეხნიკურ ხელმძღვანელობაში და ჩინებულ მეცნიერულ-ტეხნიკურ მომზადებას.

1927 წლის დამლევს ამიერ-კავკასიის რკინის გზის გამგეობის დადგენილებით ნიკო დაინიშნა სალიანდაგო დარგის უფროსად და ამ თანამდებობაზე ეწეოდა მუშაობას მოულოდნელად და მძიმე დაავადმყოფებამდე.

ნ. რ. ლეჟავა ინჟინრის პრაქტიკულ საქმიანობასთან ერთად მუდმივ მონაწილეობას იღებ და მეცნიერულ-ტეხნიკურ მუშაობაში. იგი საქართველოს ტეხნიკური საზოგადოების—(1917 წ.) წევრი-დამფუძნებელი იყო და რამდენიმე წლის განმავლობაში მისი გამგეობის წევრადაც. 1926 წლიდან თბილისის სახელმწ. წითელ უნივერსიტეტის მიწვევით პოლიტეხნიკურ ფაკულტეტზე რკინის გზების კურსს კითხულობდა.

ამხ. ლეჟავა გახანგრძლივებული და საშინელი ავადმყოფობისაგან 44 წლისა გარდაიცვალა, იმ ხანებში, როდესაც მისი მდიდარი ნიჭი და მოუსვენარი ენერგია რწმენას გვაძლევდა, რომ ის კიდევ უფრო დიდ სამსახურს გაუწევდა ჩვენს მშენებლობას და მეცნიერულ-ტეხნიკურ მუშაობას; ნიკოს ავადმყოფობა განვითარდა, ალბად, დიდი ჯაფისა და მძიმე გაჭირვება-ხელმოკლეობის ნიადაგზე, რომელსაც ის ბავშვობიდან განიცდიდა თავისი ცხოვრების ხარბიელზე.

ნიკოს სახელი და მეცნიერულ-ტეხნიკური ცოდნისაკენ შეუდრეკელი მისწრაფების მაგალითი დიდ ხანს დარჩება იმათ გულში, ვინც ჩვენი ამშენებლობისათვის მუშაობს და ვინც განვლო ამ ამშენებლობის სხვადასხვა ეტაპები უკანასკნელ ათეულ წლებში.

ინჟ. ბეს. ჭიჭინაძე.

ხელოვნება

საღამო მუშათა ცენტრ. კლუბში

დღეს, 8 იანვარს, საქართველოს პროფსაბჭოს კულტგანყოფილება მუშათა ცენტრალურ კლუბში მართავს მაქსიმ გორკის 35 წლის სალიტერატურო მოღვაწეობის აღსანიშნავ საღამოს. მ. გორკის შემოქმედებაზე მოხსენებას წაიკითხავს მიხ. დანილოვი. შემდეგ მოგონებებით გამოვლენ მ. გორკის მასწავლებელი ა. მ. კალიუჟნი; ხტაროხელსკაია, ი. შებუევი და სხვები.

საკონცერტო განყოფილებაში მონაწილეობას მიიღებენ: ტატიშჩევი, ოგონ-დოგანოვსკაია, კლიმოვი, ლიუბოში; ლიუბიმოვი, ბორინი, ლუშჩინსკაია; რადინა; დანილოვი.

კონცერტის შემდეგ წარმოდგენილი იქნება მეოთხე მოქმედება მ. გორკის პიესიდან „ფსკერზე".

სამხატვრო აკადემიის ახალი გამგეობის არჩევა

გუშინ, 7 იანვარს. სამხატვრო აკადემიის საბჭოს სხდომაზე მოხდა სახ. სამხატვრო აკადემიის ახალ გამგეობის არჩევა.

სხდომა გახსნა გან. სახ. კომ. წარმომადგენელმა ამხ. ს. თოხაძემ. გამგეობაში ერთხმად აირჩიეს შემდეგი პირები:

პროფ. ჩუბინიშვილი,. პროფ. ნიკოლაძე, შ. დუდუჩავა, პროფ. გრინევსკი, პროფ. ლადო გუდიაშვილი, მხატვარი დ. კაკაბაძე; ვ. შანიძე, კ. მერაბიშვილი, პროფ. ე. ე. ლანსერე, პროფ. ი. ა. შარლემანი; ფიცხელაური და კანდიდატად—ლივანოვი.

რექტორისა და პრორექტორის არჩევა გადადებულია გერმანიიდან პროფ. ჩუბინიშვილის ჩამოსვლამდე.

რექტორის თანამდებობის ასრულება დაეკისრა გამგეობის წევრს—ამხ. შ. დუდუჩავას, პრორექტორის კი პროფ. იაკობ ნიკოლაძეს.

ხელოვნების ქრონიკა

— **მწერალთა კავშირის საჯარო სხდომა.** ორშაბათს, 9 იანვარს, საღამოს 8ნახ. საათზე ხელოვნების სასახლეში შესდგება საქ. მწერალთა კავშირის მორიგი საჯარო სხდომა, რომელზედაც ბესარიონ ჟღენტი წაიკითხავს საჯარო მოხსენებას: „ოქტომბერი და ქართული მწერლობა". კამათში მონაწილეობას მიიღებს ქართული მწერლობის ყველა მიმდინარეობათა წარმომადგენლები. შესვლა უფასოა.

— **პროლეტარულ მწერალთა შორის.** კვირას, საღ. სრულ 6 საათზე მოწვეულია საქ. პროლეტ. მწერალთა ასოციაციის გამგეობის სასწრაფო სხდომა. აუცილებელია შემდეგ ამხ.-ბის დასწრება: აკოპ-აკოპიანი, ს. არუთინოვი, ბაჟაშვილი, ბუაჩიძე, სოლ. დოლიძე, შ. დუდუჩავა, ს. ეული, ი. ვაკელი, ა. ვართანიანი, ნ. ზომლეთელი, ს. თოდრია, შ. ნავთლუღელი, ა. მაშაშვილი, მარტინი, გ. კრეიტანი, შ. რადიანი გ. შინატეხელი, ე. პოლუმორდვინოვი, მ. ხუხუნაიშვილი, გ. ხეჩუაშვილი.

— **კომკავშირელ მწერალთა წრეში.** დღეს, საღამოს 6 საათზე ხელოვნების სასახლეში (მაჩაბელის ქ. № 13) შესდგება მორიგი ლიტერატურული კრება. დღის წესრიგშია: 1) ქარსაძის მოხსენება: „ლიტერატურული თანამედროვეობის შესახებ", 2) და მასალების განხილვა ლიტ-ფურცლისათვის.

◆ **გრიგოლ რობაქიძის მოხსენება.** ხელოვანთა სასახლეში დღეს, საღამოს გრიგოლ რობაქიძე წაიკითხავს მოხსენებას ესპანელ მწერლის უნამუნოს შემოქმედების შესახებ.

◆ **მუშათა ახალ კლუბში** დღეს გაიმართება მუსიკალური საღამო.

მეწყერი აჭარისტანში

გუშინ. 7 იანვარს საქ. სახკომსაბჭოშ აჭარისტანის სახკომსაბჭოს თავმჯდომარე მ. გოგიბერიძისაგან მიიღო შემდეგი დეპეშა:

სოფელ აკუცაში (ქედის მაზრა) მომხდარმა ზვავმა სრულიად გაანადგურა 6 კომლი. ზვავისაგან გადარჩენილი 30 კომლი კი გაიხიზნა მახლობელ სოფელში.

ზვავმა მდინარე ჭოროხი შეაგუბა ვაიოს ხიდთან. ხიდის მახლობლად მოსახლე მცხოვრებნი გაიხიზნენ.

მერისის თემში თოვლისაგან დაზარალდა 6 მოსახლე. ადამიანის მსხვერპლი არ ყოფილა. გლეხობისათვის მიყენებული ზარალი აღწევს 32 ათას მანეთამდე.

მაზრებთან კავშირი არ შეწყვეტილა. აჭარის წყალის ჰიდრო სადგური არ დაზარალებულა. მუშაობა გრძელდება.

მგლების თარეში

თბილისში მიღებული ცნობებით, საქართველოს სხვადასხვა სოფლებში გაჩნდენ მგლები.

უკანასკნელი კვირეების სიცივეებმა მგლები, რომლებსაც მთაში და ტყეში არავითარი საზრდო არ მოეპოვებათ, ბარში გამორეკა.

სოფ. დიღომიდან მომავალ ერთ გლეხს დღისით შეხვდა მთელი ხროვა მგლებისა. გლეხს ხეზე ასვლა მოესწრო და მგლები თოფის სროლით მოეგერიებინა.

სოფელ ვაყისთავზე (ზემო ქართლი) მგლები თავს დაესხა მეურმე გლეხს. რომელიც ძლიერ დაკბინეს.

გუშინ თბილისის სისხლის სამართლის მილიციაში მიიღეს ცნობა, რომ სოფელ წალვერთან სამი მგელი დასცემია ცხვრის ფარას.

მეცხვარე სანდრო ესტატეს ძე გათენაშვილი არ შეშინებულა და სროლა აუტეხია მგლებისათვის, ერთი ტყვია შემთხვევით გულში მოხვდა მეორე მეცხვარეს ხვთისო ილუას ძე გათენაშვილს (12 წლისა).

მიღებული ჭრილობისაგან ხ. გათენაშვილი იქვე გარდაიცვალა.

თოფის სროლაზე მგლები გაიქცენ.

სანდრო გათენაშვილი დაპატიმრებულია.

ჭადრაკი

ჭადრაკის საერთაშორისო ტურნირი გასტინგში

ლონდონი, 6 იანვარი. ჭადრაკის საერთაშორისო ტურნირი გასტინგში დამთავრდა. პირველი ადგილი დაიკავა ტარტაკოვერმა. რომელმაც გაუსწრო უახლოეს კონკურენტს შტეინერს (უნგრეთი). მესამე ადგილი გაინაწილეს კოლომ (ბელგია) და ბირგერმა (ლონდონი). (ადს).

ფეხბურთი

კვირას, 8 იანვარს, „დინამოს" სტადიონზე გაიმართება სამი კალენდარული მატჩი:

დილის 10 საათზე შესდგება მეორე კატეგორიის გუნდების შეჯიბრი გამარჯვებული გუნდის პირველ კატეგორიაში გადასარიცხავათ.

დღის 12 საათზე გაიმართება მატჩი „დინამო—"-ს და „ავტოკლუბის" შორის. დღის 2 ს თამაშობენ „არსრაიონი" და „შტურმი".

რადიო-გადაცემა

კვირა, 8 იანვარი

დღეს, 8 იანვარს, საქართველოს პროფსაბჭოსთან არსებულ რადიო-სტუდიიდან გადაცემული იქნება:

პიონერთა გაზეთი—რუსულ და ქართულ ენებზე; საუბარი აგრონომიაზე ქართულ ენაზე; ბრძოლა აბორტთან ჩვენში და დასავლეთ ევროპაში—რუსულ ენაზე; რა სთქვა მე-15 პარტყრილობამ ტროცკისტული ოპოზიციის შესახებ—ქართულ ენაზე; ობსერვატორიის ცნობა—რუსულ და ქართულ ენებზე; მუსიკის ახსნა-განმარტება; ოპერა „დაისი"-ს ტრანსლიაცია; ტეხნიკური კონსულტაცია; პასუხები რადიოს მოყვარულთა შეკითხვებზე; ა.-კ. დეპეშათა სააგენტოს ინფორმაცია— რუსულ და ქართულ ენებზე.

ორშაბათი, 9 იანვარი

როგორი პასუხი გასცა მუშათა კლასმა ოპოზიციის გამოსვლაზე—რუსულ ენაზე; ბრძოლა აბორტთან ჩვენში და დასავლეთ ევროპაში—ქართულ ენაზე; საუბარი რადიოტეხნიკაზე—რუსულ ენაზე; კომკავშირის გაზეთი—რუსულ ენაზე; ბრძოლა ბავშვთა უპატრონობასთან—ქართულ ენაზე; საუბარი ჰიგიენაზე—თურქულ ენაზე; კონცერტის ტრანსლიაცია სახელმწიფო კონსერვატორიიდან; დეპეშათა სააგენტოს ინფორმაცია რუსულ და ქართულ ენებზე; ობსერვატორიის ცნობა.

შრომის ბირჟაში

მოთხოვნილება მუშა-ხელზე

თბილისის შრომის ბირჟა, ხვალ, 9 იანვარს სამუშაოზე გზავნის შემდეგი პროფესიის უმუშევართ: კვალიფიციურ მუშათა 1-ლ სექციიდან: პარმენ ბოლქვაძეს; ამბროსი მინდაძეს; სევერიანე ჯაშს; მიხეილ მუმლაძეს, ვართან სოლომონოვს; ოგანეს ავაქოვს; დუშაკ შავლახოვს; ბარსეგ პიპიანცს; თედორე ჯაგაურს; ნესტორ ხუბიევს, სამსონ კურტანიძეს; იოანე ჯიჩიაშვილს; იასონ ჯაგაევს მარტიროს ხარატოვს და გიორგი დერმიშიანცს. მშენებელ მუშათა მე-6 სექციიდან: ფრან პოდსკალსკის.

მოთხოვნილება ექიმებზე

საკავშირო შრომის კომისარიატთან არსებულ სამუშაველო ბიუროსაგან მიღებულია მოთხოვნილება, მედიცინისა და ვეტერინარიის მუშაკებზე (უკრაინისათვის, დონისათვის, ყირიმისათვის, ყუბანისათვის, ჩრდ. კავკასიისათვის, ცენტრ რუსეთისა და სხვ. კუთხეებისათვის).

საჭიროა: ექიმები (ადმინისტრატიული გამოცდილებით), ბებია ქალები გინეკოლოგები, ბაქტერიოლოგები, ქიმიურ ლაბორატორიაში მომუშავეები, ვენეროლოგები პედიატრები; ოკულისტები; რენტგენოლოგები, ქირურგები; თერაპევტები; უროლოგები და სანიტარული ექიმები. ჯამაგირი 150 მ.—250 მანეთამდე, კერძო პრაქტიკით და ბინით. დაწვრილებით ცნობების მისაღებათ მსურველებმა უნდა მიმართონ ბირჟის მედსექციაში ამხ. გოგიშვილს.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

ორშაბათს, 9 იანვარს, საღამოს 6 საათზე, საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომის შენობაში შესდგება ქალ-ორგანიზატორთა თათბირი ქალაქის რაიონის ქალთა კომისიებთან ერთად.

ყველა ამხანაგთა დასწრება სავალდებულოა დაუგვიანებლივ.

რემედასის საქ. ცეკა იტყობინება, რომ შაბათს, 10 იანვარს 11 საათზე რემედასის ცეკას ბინაზე (ლენინის ქ. № 29) გაიხსნება რემედასის საქ. ცეკას პლენუმი.

საქ კ. პ.(ბ) ცეკას წევრების დასწრება სავალდებულოა.

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომის სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება სთხოვს ამხ. გიორგი ჯანელიძეს და პალადი ტრაპაიძეს გამოცხადდენ ორშაბათს, 9 იანვარს, დღის სამ საათამდე ხსენებულ განყოფილებაში ამხ. ციხელაშვილთან.

სახ. უნივერსიტეტის სოც.-ეკონომიურ ფაკულტეტის კომუჯრედის ბიურო იტყობინება, რომ ორშაბათს, 9 იანვარს, საღამოს 5 საათზე მოწვეულია სოც.-ეკონ. ფაკ. კომპარტიისა და კომკავშირის უჯრედთა გაერთიანებული კრება. დასწრება აუცილებელია.

საქ. კ. პ.(ბ) თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომი საკავშირო კომპარტიის (ბ) მე-15 ყრილობის შედეგების შესახებ მოხსენებების ჩასატარებლად აცხადებს კომუჯრედთა ჯგუფური კრების მოწვევის შემდეგ წესს:

პირველი (კუსტის) ჯგუფის სხდომა მოწვეულია ორშაბათს, 9 იანვარს, საღამოს 6 საათზე რუსთაველის თეატრის საკონცერტო დარბაზში შემდეგ უჯრედების შემადგენლობით:

პოლიგრაფტრესტის მე-2, მე-3 და მე-6 სტამბების, პოლიგრაფტრესტის ლიტოგრაფიის, „ზარია ვოსტოკას" სტამბის, ლენინის სახელობის ფაბრიკის, პოლიგრაფტრესტის საქარხნო-საფაბრიკო სასწავლებლის, „კრასნი ვოინის" სტამბის, გრეხილ ავეჯეულობის ფაბრიკის, „ტემპის", მეხანძრეთა რაზმის, კამოს სახ. საქარხნო-საფაბრიკო სასწავლებლის. მშენებელთა, ცეკავშირის სტამბის, სახელმწიფო ელექტრო ტრესტის, „ელსოფლშენის". მეეზოვეთა, აგურის ქარხნების. ტელეფონის ქსელის და გემო-კვების უჯრედებს. მომხსენებელი ამხ. სვანიძე.

მეორე ჯგუფის სხდომა მოწვეულია ორშაბათს, 9 იანვარს, საღამოს 6 საათზე მუშათა ახალ კლუბის შენობაში შემდეგი უჯრედების შემადგენლობით:

ამ.-კავკასიის ფინსახკომის, „სამშენის", კავკასიის წითელ დროშოსანი ლაშქრის სამომხმარებლო კოოპერატიული საზ-ბა „ბოეცის", საოლქო კავშირ-გამგეობის, სახელმწიფო პოლიტსამმართველოს, „ხლებოპროდუქტის", სახ. პოლიტსამმართველოს მე-პათხეულის, სახელმწიფო ბანკის, სახელმწიფო ოპერის, ამ.-კავ. მუშათა და გლეხთა ინსპექციის, ამ. კომსაბჭოს, ტრანსპორტზე მომუშავეთა, ამ.-კავ. „მიასოტორგის", ამ.-კავ. სასოფლო ბანკის, „მუზპრედის", ნავთსადგურთა განყოფილების, ამ.-კავ. სტატისტიკის ცენტრ. სამმართველოს და ამ.-კავკასიის სახელმწიფო საგეგმო კომისიის უჯრედების. მომხსენებელი ამხ. ლევანდოვსკი.

მესამე ჯგუფის სხდომა მოწვეულია სამშაბათს, 10 იანვარს, საღამოს 6 საათზე რუსთაველის თეატრის საკონცერტო დარბაზში შემდეგი უჯრედების შემადგენლობით:

პოლიგრაფტრესტის 1-ლი სტამბის, მეხუთე სტამბის, განათლების სახ. კომისარიატის, მილიციის, საქ. ფინსახკომის, იუსტიციის სახალხო კომისარიატის, თბილისის ალმასკომის, საქ. სტატისტიკის ცენტრ. სამმართველოს, სოფლის კავშირის. მიწათ-მოქმედების სახ. კომისარიატის, ტელეგრაფის, ფოსტის, მასწავლებელთა, სახ. უნივერსიტეტის, ქართული მუშფაკის, ქალაქის ბანკის, სახალხო კვების ცენტრ. პარტსკოლის და ქართული მე-2 დივიზიის სამმართველოს უჯრედების. მომხსენებელი ამხ. ფ. მახარაძე. (ქართულ ენაზე).

მეოთხე ჯგუფის სხდომა მოწვეულია ოთხშაბათს, 11 იანვარს. საღამოს 6 საათზე მუშათა ახალი კლუბის შენობაში, შემდეგი უჯრედების შემადგენლობით:

ამ.-კავკასიის კომუნისტური უნივერსიტეტის, რუსული მუშფაკის, სახ. პოლიტეხნიკური ინსტიტუტის, სახ. კონსერვატორიის, სამხატვრო აკადემიის, რუსთაველის თეატრის, „რეზინოტრესტის", დალაქთა, ამ.-კავკასიის წყალთა მეურნეობის, სომხური მუშფაკის, „მაშინოტრესტის", ამ.-კავკასიის სახ. დაზღვევის და ბინათ კავშირის უჯრედების. მომხსენებელი ამხ. რუბინი.

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომი.

ნ. ნეკრასოვი—პოეტი და მოქალაქე

(მისი გარდაცვალებიდან 50 წლის შესრულების გამო)



«ПОЭТОМ МОЖЕШЬ ТЫ НЕ БЫТЬ, НО ГРАЖДАНИНОМ БЫТЬ ОБЯЗАН».
ნ. ნეკრასოვი.

ეს იყო ნეკრასოვის დამარხვის დღეს. პლეხანოვი, მარქსიზმის ერთ-ერთი მამამთავარი რუსეთში, სიტყვას ამბობდა ხალხოსნის, დიდი პოეტის და კიდევ უფრო დიდი მოქალაქის—ნეკრასოვის ახალ საფლავზე. თავისდაუნებლიედ ორატორმა ნეკრასოვი პუშკინს შეადარა. რევოლიუციონერ პოეტის სამარესთან თავმოყრილმა ახალგაზრდობამ გააწყვეტინა ორატორს, ყვირილით: „იგი უფრო დიდია პუშკინზე"-ო.

ასეთი ფანატიური გატაცება იყო მაშინ ნეკრასოვით. ეს იმიტომ, რომ მან მდიდარ მხატვრულ ფორმებში ჩამოაყალიბა მაშინდელი რევოლიუციონურად განწყობილი პროგრესიული ინტელიგენციის იდეები და განწყობილებანი.

კაპიტალიზმი, თავის პირველყოფილი მტაცებლობით შემოიჭრა ქალაქში და სოფელშიც კი. დაბერებული ორგანიზმი მიწათმფლობელობის და ფეოდალიზმისა. ბატონყმური კუსტარობისა და მამაპაპური წარმოებისა—თანდათან ირყევა. სუსტდება და კიდევ უფრო ტირანიული, აუტანელი ხდება. გლეხობა ტანჯვაში გმინავს. მოწინავე აზრი დახშულია, თავად-აზნაურობას და მიწადმფლობელებს ეკარგებათ საზოგადოებრივ ცხოვრების სადავეები.

განადგურებულ აზნაურობის, მოხელეთა და ქალაქის „ობივატელთა" ოჯახებიდან ახალგაზრდობა მისწრაფვის სამოსწავლო ცენტრებისაკენ, ახალი გზების. ცხოვრებაში თავისი ადგილის და დანიშნულების საძიებლად. წამოზრდილი ინტელექტუალური ძალები, უსახლკარო ან ღარიბ-აზნაურული ინტელიგენცია, გატაცებული დემოკრატიულ-პროგრესიული იდეებით რაოდენობითაც გაიზარდა, მაგრამ კაპიტალიზმი იმდენად სუსტი იყო, რომ არ შეეძლო ამ უამრავ ძალების გამოყენება.

მონარქია თავისი მხრით უფრო და უფრო ხელს უშლიდა საწარმოო ძალთა განვითარებას. ევროპის კაპიტალისტური განვითარება და რევოლიუციები კი თანდათან უფრო და უფრო იდეალური და საყვარელი ხდებოდა რუსეთის მოწინავე ინტელიგენციისათვის. ამ ინტელიგენციას თავისი გზები და ბრძოლის მეთოდები უნდა გამოენახა—და არსებობისათვის, უკეთესი მომავლისათვის, ჰუმანიურ-დემოკრატიული იდეებისთვის ბრძოლაში წარმოიშვა და განვითარდა ის დიდი საზოგადოებრივი მოძრაობა, რომელსაც ხალხოსნობა ჰქვია.

მაგრამ ხალხოსნობის წარმოშვების, ისტორია საკვირველი ზიგზაგებით ელსავს. ჯერ ინტელიგენცია, დემოკრატიულ იდეებისთვის ბრძოლაში არ ეყრდნობოდა „ხალხს", გლეხობას. მაგრამ კაპიტალიზმის პირველი, მტაცებლური საფეხურის სისაძაგლემ. ეს ობიექტიურად ბურჟუაზიული ინტელიგენცია დააფეთა და აიძულა თავისი იდეების დასაყრდენი სხვა ძალაში ეძია.

ფეოდალიზმის, რუტინის, კუსტარობის. მონარქიის წინააღმდეგ, „თანასწორობა" დემოკრატიის, ბატონყმობის და უმიწაწყლოდ დარჩენილი გლეხების დასაცავად, აზრის თავისუფლებისათვის, განათლებისათვის და საერთოდ გაევროპიელებისათვის ბრძოლა—ყოველივე ეს, არსებითად ბურჟუაზიული იდეებია, მათთვის ბრძოლა გზას უკვალავდა კაპიტალიზმს და არავითარ შემთხვევაში არ წარმოადგენდა სოციალიზმს. მაგრამ თავადაზნაურობა. როგორც მთლიანი, უკვე მკვდარი იყო ახალი გზებისთვის და თუ რამისთვის იბრძოდა ისევ და ისევ ამ იდეების წინააღმდეგ, თავისი არსებობის გაგრძელებისათვის. ახალი მტაცებლური ბურჟუაზია, მეტად არაიდეალური, ძეტად არაგმირული და არასიმპატიური იყო იმ ინტელიგენციისათვის, რომელიც მაღალი და ლამაზი იდეებით გამოდიოდა. და რომელიც ფაქტიურად იმავე კაპიტალიზმს ემხრობოდა. რომლის მაშინდელი, გარეგანი ფორმა ზიზღს იწვევდა ინტელიგენციაში.

აქედან წარმოიშვა ის ორი მხარე 60—70 წლიან მოძრაობისა, რომლის მიხედვით რუსეთის თანამედროვე მარქსისტული კრიტიკა ხალხოსნურ მოძრაობას სუბიექტიურ და ობიექტიურ მომენტებათ ჰყოფს.

სუბიექტიური მხარე, როგორც ვსთქვით—ეს არის გატაცება მაღალი პროგრესიული იდეებით, ანტი-არისტოკრატიზმი, დაჩაგრულთა გამოსარჩლება. სიძულვილი, ყოველგვარი ჩაგვრა-ტირანიისადმი, სიძულვილი როგორც მემამულეებისადმი, ისე კაპიტალიზმის მაშინდელი ფორმებისადმი.

ობიექტიური მხარე კი—ისევ ბურჟუაზიული დემოკრატიისათვის და საწარმოო კაპიტალიზმისათვის გზების გაწმენდაში მდგომარეობს.

უფლებრივათ და მატერიალურად ლატაკმა ინტელიგენციამ თავისი მაღალი იდეებისათვის ბრძოლაში მხოლოდ გლეხი და გამონახა გლეხის გარდა არავისი იდეალიზაცია, არავისი გალამაზება აღარ შეიძლებოდა. გლეხი, როგორც ტანჯული და მონა ადამიანი. გლეხი (мужик), როგორც უმიწაწყლო და საზოგადოებიდან გამოძევებული,—აი ის კეთილშობილი და მართლაც ტანჯული ფენა. რომელთა გამოღვიძება და რევოლიუციის გზაზე დაყენებით ბრძოლას აპირებდენ ხალხოსნები.

ნეკრასოვი ზემოთ დახასიათებული ინტელიგენციის საუკეთესო პოეტია. რუსეთის თანამედროვე მარქსისტი კრიტიკოსი გ. გორბაჩოვი სწერს, რომ ნეკრასოვის შემოქმედებაში სამი მთავარი იდეაა მოცემული: „ეს იდეებია: დემოკრატიული პროტესტი სოციალურ უსამართლობის წინააღმდეგ; მოქალაქეობრივი-რევოლიუც. მოვალეობისა; რუსეთის გლეხობის აუტანელი მდგომარეობის საწინააღმდეგო პროტესტი და ამავე გლეხობის შინაგანი ხარისხის იდეალიზაცია". (იხ. „Капитализм в русской литературе").

მართლაც ამ სამი მაგისტრალური თემებს ირგვლივ შემოკრებილა ნეკრასოვის შემოქმედება. არის მრავალი ამ მთავარი თემებიდან გამომდინარე თემები, მაგრამ ნეკრასოვს უყვარდა პირდაპირობა და საზოგადოებრივი იარების დაურიდებელი გამომჟღავნება.

ნეკრასოვმა ყველაზე უფრო, რუსეთის მწერლობის ე. წ. გმირულ ეპოქაში, აამეტყველა თავისი ლექსი საზოგადოებრივი ინსტიქტებით. მხოლოდ ნეკრასოვს შემდეგ წმინდა საზოგადოებრივმა თემებმა მოიპოვეს მოქალაქეობრივი უფლება მხატვრულ მწერლობაში. ნეკრასოვი იყო პოეტი და ბელადი, მებრძოლი თავისი იდეებისათვის და ამიტომაა, რომ მისი სახე მთელი ნახევარი საუკუნის მანძილზე, მოსჩანს. როგორც სახე მონარქია-ფეოდალიზმის უდიდესი ბრალმდებლისა და „უკეთესი რუსეთისათვის" მებრძოლთა სულისჩამდგმელის.

ნეკრასოვს „სევდისა და შურისძიების" პოეტს ეძახიან. მართლაც ეს ორი ემოცია უმძაფრესად იყო მოცემული მასში.

სევდა თანამედროვე რუსეთის უმწეო მდგომარეობით და გლეხობის უძლურების და ჩაგვრის გამო, სევდა, რომელიც მოუწოდებს არა დატირილისაკენ, არამედ მედგარი ბრძოლისაკენ ამ სევდის მიზეზის წინააღმდეგ. ასეთ სევდას შევიძლია ვუწოდოთ მებრძოლი სევდა, რომელიც ობიექტიურად რევოლიუციონურ როლს ასრულებს, თუმცა სევდა საერთოდ არ ეგუება რევოლიუციას.

შურისძიება ნეკრასოვისა, ეს კლასობრივი შურისძიების აპოლოგიაა.

ცინიზმი და გესლიანი ზხამით აღსავსე ალეგორია— აი ის საშუალებები, რომლითაც ნეკრასოვი შურს იძიებს ყველა ჩაგრულთა და ადამიანობისათვის მებრძოლთა სახელით. მართალია კლასობრივად ნეკრასოვის იდეები არც ისე ჩამოყალიბებული იყო, ეს იდეები ობიექტიურად პირმოთნეობა იყო, რადგან პოეტი ვერ ასახელებდა თავისი იდეალის რეალურ სახელს. მაგრამ შურისძიების ობიექტად პოეტს ჰყავდა განსაზღვრული საზოგადოებრივი ფენები და პირველ რიგში კი წოდებრივი არისტოკრატია, ბიუროკრატია და მემამულეები.

პლეხანოვმა ტოლსტოის „კეთილი ბატონი" (добрый барин) უწოდა. და მართლაც მემამულეთა კლასების მწერლობის ლიბერალები რეალურად. მხოლოდ თავისივე კლასის გაჯანსაღებისათვის იბრძოდენ. ნეკრასოვი, წარმოშობით აზნაური, იმდენ ძალას და გმირულ ენერგიას იკრებს, რომ საბოლოოდ ხდება უსასტიკესი მტერი ყოველივე ბატონურის. იგი ორგანიულად შედის „შეურაცყოფილთა და დამცირებულთა" (დოსტოევსკი) ინტერესებში და ამ გარემოებას უეჭველად ხელს უწყობდა ის ფაქტი, რომ თვით პოეტმა თავისი სიცოცხლის დიდ მანძილზე (ახალგაზრდობაში) ისეთივე სილატაკეში და უსახლკარობაში გაატარა, როგორც ბევრმა მისი ნაწარმოების გმირებმა.

როგორც ვსთქვით არისტოკრატია ყველაზე უფრო საზიზღარი იყო ნეკრასოვისათვის. თავის ნაწარმოებებში მან მოგვცა დაუვიწყარი სახეები აზნაურული ყოფის ნგრევისა და ამას თანავე თავის სიხარულს დასძენდა ამ ფაქტის აღნიშვნისას:

«И с отвращением кругом кидая взор,
С отрадой вижу я, что срублен старый бор.
И набок валится пустой и мрачный дом,
Где вторил звону чаш и гласу ликований
Глухой и вечный гул подавленных страданий".

არანაკლები, მკვეთრი და დამცინავი ეპიტეტები, გესლიანი შენიშვნები გვხვდება ბიუროკრატიის წინააღმდეგ:

«У него друзья—кадеты;
Именитый дед его
Был шутом Елизаветы,
Сам он—ровно ничего».
(«Современники»).

რუსულად ციტატების მოყვანის შეუფერებლობის გამო ჩვენ აქ ვერ გავაცნობთ მკითხველს, იმ დიდებულ ნიმუშებს ნეკრასოვის პოეზიისას, რომლებშიაც მოცემულია რუსეთის სოფლების და ველებ-ტყეების. გლეხებისა და გლეხ ქალების დაუვიწყარი სახეები. უდიდესი გლეხური ეპოსი რუსეთისა „Кому на руси жить хорошо"—მდიდარია ასეთი ადგილებით, ან და „Мороз, красный нос"—რომელიც იძლევა გმირი ქალი-გლეხის სურათს, გმირისას, რომელიც შრომაში და პატიოსნებაში იღუპება.

ნეკრასოვი გლეხობის უდიდესი ტიპოლოგია. მისი ტიპების გალერეია ცოცხლობს ნაწილობრივ დღესაც. მართალია, რომ ნეკრასოვი აიდიალებდა გლეხთა ყოფა-ცხოვრების კარგ მხარეებს, მაგრამ იგი არ ყალბობდა, იგი გლეხობის გულის მოგებას მისი ქებით არ ფიქრობდა, მას ქვეყნის და პირველ რიგში თვით გლეხობის გარდაქმნა სურდა, მათი გამოღვიძება და ამიტომ არ მალავდა არც უარყოფით თვისებებს.

სიბნელე და უვიცობა, თავისი ინტერესების ვერ გაგება, მათხოვრული და გლახაკური ფსიქოლოგია, ლოთობა და ჭუჭყი და რაც მთავარია საზოგადოებრივი უძლურება—მაშინდელი გლეხური ყოფის ყველა ეს მხარეები ნაცნობი იყო პოეტისათვის და იგი თუმცა დიდი მწუხარებით, ხან მეგობრული იუმორით (როგორც „Кому на руси жить хорошо"-შია) იძლეოდა ამ უარყოფით მხარეებს. ამით ნეკრასოვი სტიროდა თითქოს. მაგრამ ეს ტირილი როგორც ვსთქვით, მოწოდება იყო.

ნეკრასოვი მებრძოლი მოქალაქეობრივობის პოეტია. წამოიზარდა რუსეთის ახალი ინტელიგენცია და მან თავის მიზნად დაისახა ბრძოლა. აი ეს მებრძოლი მოქალაქე არა მარტო მწერლობაში. ცხოვრებაშიც განამტკიცა ნეკრასოვმა, მისცა მას გზა და მიმართულება წინანდელი ადამიანი-მონისაგან, დასახელ იქმნა მიზნად, მძლავრი პიროვნების, „ადამიანის" შექმნა:

«Чтоб человека
Создать из раба».

და ამ ადამიანს, ამ პიროვნებას ნეკრასოვმა დაუსახა ბრძოლა და მეტი არაფერი.

როგორც პლეხანოვი ამბობს, საწყალი და ჩაგრული გლეხი მაშინდელი რუსეთისა არ შეიძლებოდა რევოლიუციის წამყვანი ყოფილიყო. მაშინდელმა გლეხმა ვერ გაიგო, ვერ მიიღო ხალხოსნებს და მათ შორის ნეკრასოვის პროგრესიული იდეები. ამიტომ იწყება ამ ინტელიგენციის თანდათანი გაინდივიდუალისტება, გაანარქისტება. პიროვნებაზე, გმირზე და თავგანწირვაზე ორიენტაცია—აი რაზე გადავიდა ნეკრასოვი. რევოლიუციის და პროგრესის განხორციელება არა მასის საშუალებით, არამედ სხვა გმირული ან ტერორისტული აქტით, [illegible] მოეპოვებია. ერთი სიტყვით მიზანი შესცვალა საშუალებამ. ბრძოლა გადაიქცა თვითმიზნად და შემდეგ მიიღის მოძრაობის შინაარსის სრული შეცვლა.

დიდია ისტორიული, საზოგადოებრივი და ლიტერატურული დამსახურება ნეკრასოვისა. მაგრამ უფრო დიდია მისი დამსახურება რევოლიუციის წინაშე, „შავი ხალხი", მშრომელი და დევნილი მწერლობაში ნეკრასოვმა აიყვანა დიდ სიმაღლეზე.

მაგრამ დღეს, როდესაც ჩვენ უკვე ვცხოვრობთ განმარტოებული პროლეტარიატის ქვეყანაში როდესაც არც ნეკრასოვის გლეხი აღარ არსებობს, და როცა რევოლიუციაში თვით ამ გლეხმაც მიიღო მონაწილეობა პროლეტარიატის ხელმძღვანელობით—ნეკრასოვს სულ სხვა მნიშვნელობა ეძლევა.

ჩვენში ვითარდება პროლეტარული მწერლობა. ამ პროლეტარული მწერლობის კრიტიკოსთა დიდი ნაწილი შეყვარებულია დიდ და გულკეთილ ბატონების მწერლობაში (პუშკინ, ტოლსტოი) და სავსებით ივიწყებენ ნეკრასოვს. ნეკრასოვი—„ცუდი მხატვარია"-ო, „ცუდი ხელოვანია"-ო, ეს აზრი განამტკიცა რეაქც. ესთეტებმა. ნამდვილად კი ნეკრასოვი არის დიდი მებრძოლის გარდა, დიდი ხელოვანიც. რეაქციას სძულს და სძულდა ნეკრასოვი მისი იდეების გულისათვის. იგი მას ყოველნაირად ამცირებდა. ჩვენის ღრმა რწმენით ნეკრასოვი დიდი მხატვრული სტილის ჩამომყალიბებელია. ეს მხატვრული სტილი ხალხური უბრალოებიდან, რევოლიუციონური ბრძოლის მედგარი დაძახილიდან, თავდასხმითი სარკაზმიდან, ჟურნალისტური და პუბლიცისტური ყოველდღიურობის სტილიდან და ორატორიიდან წარმოიშვა.

ჩვენ გვგონია, რომ ვლადიმერ მაიაკოვსკის თავისი მედგარი და ჯასალი ტონით გამოდის ნეკრასოვიდან, მეორე მხრივ სერგეი ესსენი თავისი გლეხური უბრალოების იმიტაციით გამოდის იმავე ნეკრასოვიდან თუმცა თავისებურად დაამახინჯა და გაატკბილა ეს სათავე, ნაწილობრივ დემიან ბედნიც იმავე ნეკრასოვის სატირა-სარკაზმიდან გამოდის.

როცა დღეს, პროლეტარული მწერლობა ეძებს თავის ნათესავებს წარსულში, მან პირველ რიგში ისეთი ტიპის მწერლებში უნდა ჰპოვოს ისინი, როგორიცაა რუსეთში ნეკრასოვი. ჩვენი კი მთელი პლეადა ხალხოსნების ე. ნინოშვილით გათავებული. **სწორედ ისე, როგორც რევოლიუციის კომუნისტური ავანგარდი თავის ისტორიას ხალხოსნების ისტორიას უკავშირებს.**

პროლეტარული მწერლობა იბრძვის რეაქციონური ფსიქოლოგიის წინააღმდეგ. მონაადამიანიდან ახალი, კომუნისტური ადამიანის შესაქმნელად, ახალი ყოფის განსამტკიცებლად. მაშინ, როცა ჯერ კიდევ არ მოსპარა ანტირევოლიუციონური ყოფის ფორმები — ნეკრასოვი ყველაზე უფრო უნდა იყვეს გამოსავალი წერტილი. პროლეტარულმა მწერლებმა ნეკრასოვი უნდა მიიღონ თავის საყვარელ მწერლად წარსული ეპოქების მწერლებს შორის.

ნეკრასოვის სოციალურ იარების გამომაშკარავებელი პათოსი, ნებისყოფა და სიმტკიცე ბრძოლაში, უძლიერესი იდეურობა და ამ იდეებისათვის თავდადება, ადამიანის გარდაქმნისათვის ბრძოლა და ამ ბრძოლისათვის ყველა მხატვრული საშუალებების მობილიზაცია, უბრალოებისა და მასებისათვის მისაწვდომი მხატვრული სტილი, პოლიტიკურ-საზოგადოებრივ ყოველდღიურობაზე მხატვრული გამოძახილი ეპიური, „პატარა" და ხალხური ჟანრები და სხვა მრავალი დადებითი მხარეები ნეკრასოვის პოეზიისა. დღესაც სცოცხლობს და საჭიროა პროლეტარულ მწერლებისათვის.

ნეკრასოვი მებრძოლი, ნეკრასოვი მოქალაქე, ნეკრასოვი დიდი მხატვარი და ტრიბუნი—არასოდეს არ ამოიშლება მხატვრული მწერლობის და მკითხველთა ხსოვნიდან.

პლ. ქიქოძე.

გულმოკლული მეუღლე მარიამი, შვილები: რომანი, ლევანი და ქეთევანი, ძმა ალექსანდრე (დარჩო), სიდედრი ნატალია სოლომონის ასული დარონინა, ბიძა გრიგოლ სოლომონის ძე ბეგთაბეგოვი იუწყებიან, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ 5 იანვარს დილის 11 საათზე გარდაიცვალა ძვირფასი. დაუვიწყარი და ძალიან საყვარელი ინჟენერი

ნიკოლოზ რომანის-ძე ლეჟავა

ცხედრის გამოსვენება კვირას, 8 იანვარს, 12 საათზე. ა.-კ. რკინის გზის სალიანდაგო დარგის სამმართველოს შენობიდან (კლარა ცეტკინის ქ. № 73). დაკრძალვა დიდუბის პანთეონში. 1013

ალექსანდრე (ალიოშა) და მარიამ წერეთლები ღრმა მწუხარებით აუწყებენ საზოგადოებას დაუვიწყარი მეგობრის

ინჟ. ნიკო ლეჟავას

უდროოდ გარდაცვალებას. 1015

გიორგი ალექსანდრეს-ძე, ნინო ივლიანეს ასული და ოთარ გიორგის-ძე ჭუმბურიძეები იუწყებიან, რომ 5 იანვარს, დილის 11 საათზე, გარდაიცვალა მათი ძვირფასი მეგობარი ინჟენერი

ნიკოლოზ რომანის ძე ლეჟავა

დაკრძალვა დღეს. 8 იანვარს, დიდუბის სასაფლაოზე. 998

სიმონ პეტრეს-ძე ჩიქვილაძე, შალვა დავითის-ძე კახაბერი, სიმონ მიხეილის-ძე ხორბალაძე, მელიტონ დავითის-ძე არველაძე და გიორგი სპირიდონის ძე ბალარჯიშვილი გულითადის მწუხარებით იუწყებიან დაუვიწყარ მეგობრის ინჟ.

ნიკოლოზ რომანის-ძე ლეჟავას

გარდაცვალებას. გამოსვენება რკინის გზის სალიანდაგო სამსახურის სამმართველოდან (კ. ცეტკინის ქ. № 73) კვირას, 8 იანვარს დღის 12 საათზე. დაკრძალვა დიდუბეში. 1028

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამგეობა მწუხარებით იუწყება პოლიტეხნიკურ ფაკულტეტის საბჭოს წევრის და ლექტორის

ინჟ. ნიკოლოზ ლეჟავას

გარდაცვალებას. გამოსვენება მოხდება კვირას 8 იანვარს 12 საათზე ა/კ. რკ. გზ. სალიანდაგო ნაწილის შენობიდან (ც. ელისაბედის და კირკის ქუჩების კუთხე) დაკრძალვა დიდუბის პანთეონში. (შ)

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტეხნიკური ფაკულტეტი ღრმა მწუხარებით იუწყება თავის საუკეთესო წევრის, ლექტორის

ინჟინერ ნიკოლოზ ლეჟავას

გარდაცვალებას. გამოსვენება კვირას, 8 იანვარს, 12 საათზე. ა.-კ. რკ. გზ. სალიანდაგო ნაწილის შენობიდან (ყ. ელისაბედის და კირკის ქუჩების კუთხე). დაკრძალვა დიდუბის პანთეონში. 1024

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტეხნიკურ ფაკულტეტთან არსებული სტუდენტთა გაერთიანებული პროფკავშირი აუწყებს საზოგადოებას ძვირფას ლექტორის ინჟინერ

ნიკოლოზ რომანის-ძე ლეჟავას

გარდაცვალებას, რომლის დაკრძალვა მოხდება კვირას, 8 იანვარს, შუადღის 12 საათზე დიდუბის პანთეონში. 1019

სახ. უნივ. პოლიტექ. ფაკ. სტ-თა სამეცნიერო ტექნიკური წრე ღრმა მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას პოლიტექნ. ფაკულტეტის ძვირფას ლექტორის, ინჟინერ

ნიკო ლეჟავას

უდროოდ დაკარგვას. 1006

თბილისის სახ. უნივ. პოლიტექნიკურ ფაკულტეტის სამშენებლო დარგის კურსის დამთავრებულნი: ა. ცირცვაძე, ი. შუკაკიძე და ე. ცირცვაძე მწუხარებით აუწყებენ საზოგადოებას, რომ 5 იანვარს, მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი და საყვარელი ლექტორი ინჟ.

ნიკოლოზ რომანოზის-ძე ლეჟავა

გამოსვენება—კ. ცეტკინის ქუჩ. № 73, 8 იანვარს, 12 ს. დაკრძალვა დიდუბის სასაფლაოზე. 1025

თბ. სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტექნიკური ფაკულტეტის საინჟინერო-სამშენებლო დარგის სტუდენტები კოტე ფერაძე და პართენ ჯიქია აუწყებენ საზოგადოებას ენერგიულ მასწავლებლის და მეგობრის

ინჟინერ ნიკო ლეჟავას

გარდაცვალებას. 996

საქართველოს ტექნიკური საზოგადოება ღრმა მწუხარებით იუწყება, საზოგადოების დამფუძნებელთაგანის და ძვირფასი ამხანაგის

ინჟინერ ნიკოლოზ ლეჟავას

გარდაცვალებას გამოსვენება კვირას, 8 იანვარს, დღის 12 საათზე ა.-კ. რკ. გზის სალიანდაგო ნაწილის შენობიდან დიდუბეში, დაკრძალვა საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში. 1023

საქართველოს წყალთა მეურნეობის სამმართველო მწუხარებით იუწყება თავისი დაუვიწყარი ყოფილი თანამშრომლის

ინჟ. ნიკოლოზ რომანის-ძე ლეჟავას

უდროოდ გარდაცვალებას. 1018

საქართველოს წყალთა მეურნეობის სამმართველოს ადგილკომი და თანამშრომლები მწუხარებით იუწყებიან თავისი დაუვიწყარი ყოფილი თანამშრომლის

ინჟ. ნიკოლოზ რომანის-ძე ლეჟავას

უდროოდ გარდაცვალებას. 1007

თბ. ალმასკომის კომ. მეურნეობის საინჟინერო-ტექნიკური სექცია გულითადის მწუხარებით იუწყება ყოფილ თანამშრომლის ინჟინერ

ნიკოლოზ რომანის-ძე ლეჟავას

უდროოთ გარდაცვალებას. გამოსვენება რკინის გზის სალიანდაგო განყ.—კლარა ცეტკინის ქ. № 73 კვირას, 8 იანვარს, 12 საათზე. დაკრძალვა დიდუბეში. 1020

ზემო-ავჭალის ჰიდრო-ელსადგურის სამმართველო ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ 5 იანვარს გარდაიცვალა

ინჟინერი ნიკო რომანის-ძე ლეჟავა

ზაჰესის მესამე სამშენებლო უბნის ყოფილი უფროსი და კოჯორ-თბილისის ელექტრონის რკინის გზის გამოკვლევ პარტიის გამგე. 1016

ზაჰესის დირექცია მწუხარებით იუწყება, რომ 8 იანვარს გარდაიცვალა ზაჰესის მე-3 სამშენებლო უბნის ყოფ. უფროსი

ინჟინერი ნიკოლოზ ლეჟავა

ცხედრის გამოსვენება კვირას, 8 იანვარს, 12 საათზე, სალიანდაგო დარგის სამმართველოს შენობიდან (კ. ცეტკინის ქ. № 13), დაკრძალვა დიდუბის სასაფლაოზე. 1014

თბილისის უბნის რკ. გზელთა პროფკავშირის პრეზიდიუმი მწუხარებით იუწყება რკ. გზ. პროფკავშირის წევრის სალიანდაგო განყოფილების უფროსის

ინჟ. ნიკოლოზ რომანის-ძე ლეჟავას

გარდაცვალებას. დაკრძალვა კვირას, 8 იანვარს, დღის 12 საათზე დიდუბის სასაფლაოზე. (ე)

ა.-კ. რკინის გზების სალიანდაგო და ნაშენთა სამსახურის ადგილკომი და თანამშრომლები მწუხარებით იუწყებიან, რომ 5 იანვარს უდროოდ გარდაიცვალა სამსახურის უფროსი ინჟინერი

ნიკოლოზ რომანის-ძე ლეჟავა

გამოსვენება 8 იანვარს, 12 საათზე, სამსახურის შენობიდან (კლარა ცეტკინის ქ. № 73), დაკრძალვა—დიდუბის სასაფლაოს პანთეონში. (ე)

ღრმად მწუხარე [illegible] შვილები: ივანე და თედორე მაქსიმეს-ძენი, ნინა და ოლია მაქსიმეს ასულნი, რძლები: ევგენია დიმიტრის ასული, მაშო თედორეს ასული და თამარა ზაქარიას ასული, შვილიშვილები: თამარი, ქეთო, დათო, მიტუშა და თამაზი გოკერიები და ელენე ჩირაძე, [illegible] ვიქტორ დიმიტრის-ძე [illegible] აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობრებს, რომ ქ. თბილისში პარასკევს, 6 იანვარს, ხანგრძლივი ავადყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი

კასიანე თედორეს ასული გოკერიასი

პანაშვიდი ყოველდღე. საღამოს 6 საათზე, გოგოლის ქუჩ. № 61, დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. 1026

ღრმად დამწუხრებული მამიდა დარია [illegible] ასული, თავისი მეუღლით იოსებ გიორგის-ძით შვილებით: ოლღა ვერა, თამარი, [illegible] ელენე ბაბუ იძეები და სიძე ნესტორ ჩიქვაიძე აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობრებს, რომ ტრაგიკულად დაიღუპა მათი საყვარელი ძმისწული და ბიძაშვილი

ლუსია დოლაბერიძე

ცხედარი გამოსვენებული იქნება დღეს, 8 იანვარს, 2 საათზე, რესპუბლიკის მთავარი (ყოფ. მიხეილის) საავადმყოფოდან. დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე. 1007

ექიმი მარიამ ბაქრაძე დედაბრიშვილისა შვილებით: [illegible] ნუნუ, შოთა, პატარა შვილიშვილი დევიკო და სიძე დათიკო [illegible] აუწყებენ საზოგადოებას, რომ კვირას, 8 იანვარს, პანთეონში (დიდუბე) გადახდილი იქნება მისი ქმრის, მამის, პაპის და სიმამრის—მწერლის

შიო არაგვისპირელის
(დედაბრიშვილის)

გარდაცვალების 2 წლის თავის პანაშვიდი. დასაწყისი შუადღის 1 საათზე 999

ღრმა მწუხარებაში მყოფნი: დედა სოფია, მეუღლე მიტი ენუქიძე, ძმები გრიშა, კოლა და ნადია გიორგობიანები, დეიდები—გალინა სირაძე, კატუშა ქმრით გიორგი სვანით, ბიძები—ათანა ნეფარიძე მეუღლით ვერიკათი, ილიკო სირაძე მეუღლით კასანიათი აუწყებენ ნაცნობთ, მეგობრებს და ნათესავებს, რომ მათი დაუვიწყარ

ოლია ივანეს ასული
გიორგობიანი-ენუქიძის

გარდაცვალებიდან ორმოცი დღის შესრულების აღსანიშნავად კვირას, 8 იანვარს, კუკიის სასაფლაოზე გადახდილი იქნება პანაშვიდი დღის 12 საათზე. განსვენებულის საფლავზე. 1008

მწუხარებით სამუდამოთ გულმოკლული მეუღლე კონსტანტინე პორფილეს-ძე და უდროოთ დაობლებული შვილი პატარა შოთიკო ცქიტიშვილები აუწყებენ ნათესავებს, მეგობრებს და ნაცნობებს, რომ მათი უსაყვარლესი და მარად დაუვიწყარ

ნინა გიორგის ასულის
ცქიტიშვილის

გარდაცვალებიდან ერთი წლის აღსანიშნავათ გადახდილ იქნება პანაშვიდი ახალ ვერის სასაფლაოზე კვირას, ა. წ. 8 იანვარს, დღის 1-ლ საათზე. 997

ღრმა მწუხარებაში მყოფნი და სამუდამოთ გულმოკლულნი ცოლი ნადეჟდა, დედა ეფროსინე, შვილები—ივანიკო და მარი ქურდევანიძეები, ბიძა ილიკო ქურდევანიძე ცოლშვილით, სიდედრი ვერა, ცოლისდები—ვარა თავის ქმარშვილით, კატუშა, ოლია და ძმა გიორგი სერბსკის რაძეები აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობრებს, რომ მათი ძვირფასი და უდროოდ დაკარგულ ოჯახის ერთად ერთ ნუგეშის

გიორგი (გოგი) არჩილის-ძე
ქურდევანიძის

გარდაცვალებიდან ორმოცი დღის შესრულების გამო გადახდილი იქნება საქალაქო პანაშვიდი სამშაბათს, 10 იანვარს, ნაშუადღევის 12 საათზე ქ. ხაშურის სასაფლაოზე. 1001

სახელმწიფო
ოპერა

ნ. 452 1—1

დღეს კვირას 8 იანვარს
ქართული ორიგინალური ოპერა **1. დაისი**
მონაწ.: დანელიანი, ნეიმანი, ქუმსიაშვილი, ხოფერია და დემიანენკო.
2. კანტატა დაწერილი ოქტომბრის ათი წლის იუბილეისათვის სახ. მსახ. ზაქარია ფალიაშვილის მიერ, გუნდით და ორკესტრით. მონაწ. გოლბერტი, მაყაშვილი, ქუმსიაშვილი, ქარცივაძე.
დირიჟ. სახ. მსახ. ი. პ. ფალიაშვილი.

სამშაბათს, 10 იანვარს, ხაჯქო

აპოლო სოლეი	არფასტო	დარბაზი
მსოფლიოში განთქმული ხატვრული სურათი „ვარიეტე“ მთავარ როლებში: ლია-დე-პუტი და ემილ იანინგსი რეჟისორი დიუპონი	საუკეთესო სურათი (სერიებათ) „სპიდ“ 1 და 2 სერია ერთად	„საღვთო ბრილიანტი“ 5 და 6 სერია ერთად მთავარ როლში: პირლ უაიტ

ანონსი: საქართ. სახკინმრეწვის ახალი სურათი „მთის კანონი“

სახკინმრეწვის ახალი სურათი

რეჟ. ბ. მიხინმა
რომელმაც დადგა
„აბრეკ ზაური“
დაასრულა
ახალი მხატვრული
სურათი

მთების
კანონი

ი. აბაის სცენარის მიხედვით.
ოპერატორი ა. პოლიკევიჩი.

მთავარ როლებში: დამსახ. [illegible], ნ. ხანოვი, ნ. [illegible], ბამრეკელი, ა. სემიონოვი, კ. ანდრონიკაშვილი, კახიძე და ო. კეჟერაძე.

თვალყური ადევნეთ დადგმის დღეს.

გაზ. „კომუნისტი“-ს
ხელისმომწერთა საყურადღებოთ

გაზ. „კომუნისტი“-ს მთავარი კანტორა დაბეჯითებით სთხოვს ხელისმომწერლებს, რომ იმ შემთხვევაში, როდესაც საჭიროა მისამართებში ცვლილებების შეტანა ან სრულიად გამოცვლა, პროვინციის ხელისმომწერლებმა გამოგზავნონ ის მისამართი, რომლითაც გაზეთს იღებენ, ხოლო თბილისელებმა აუცილებლად წარმოადგინონ ის ქვითარი (ან ქვითარის №-რი), რომელიც მიღებული აქვთ „კომუნისტი“-ს კანტორიდან ხელის მოწერის დროს.

წინააღმდეგ შემთხვევაში ყოველგვარი კორესპონდენცია, მისამართებთან დაკავშირებული, უყურადღებოთ იქნება დატოვებული.

ხარჯების დასაფარავად, მისამართების შეცვლის მსურველები მოვალენი არიან წარმოადგინონ კანტორაში 25 კაპ.

0—1 მთავარი კანტორა.

წინადადება ეძლევა

სამურის ყოფილ კონტრაგენტს

ვლადიმერ დავითის-ძე ქარსანიძეს

ოთხი დღის განმავლობაში გამოცხადდეს გაზ. „კომუნისტი“-ს მთავარ კანტორაში (რუსთაველის პრ. № 34) ანგარიშების გასასწორებლად. წინააღმდეგ შემთხვევაში მიღებულ იქნება სათანადო ზომები

0—1 გაზ. „კომუნისტი“-ს მთავარი კანტორა

ТОЛЬКО ЧТО ЗАКОНЧЕНА
печатанием в сууп
ПРАКТИЧЕСКАЯ
ШКОЛА
ЭЛЕКТРОТЕХНИКА
в 15 уроках, в 3 книгах

с подробно решенными примерами, опытами, задачами и вопросами.

Перев. с последнего американск. изд. в обработке применительно к нашим условиям проф. В. А. АЛЕКСАНДРОВА. 98 стр. 427 рис. и чертеж. Все 3 книги в переплетах и в общем футляре. Ц. 6 руб. 85 коп. Высылается наложенным платежом При высылке задатка в размере 1 руб. (можно почтов. марками) пересылка бесплатно. Акц. Общ. Книжной Торговли Ленинград, внутри Гостиного двора № 23|25. 6. 444

ექ. თოდაძე

დაბრუნდა საზღვარ გარედან და განაახლა ავადმყოფების მიღება. სპეც. ეროლოგია (თირკმელები, საშარდე ბუშტი, სასქესო ორგანოები და სხვა) ქირურგია. ცისტოსკოპია. დიატერმია (ახალი კაბინეტი). მიღება 5—7 საათამდე ბელგიის ქ. № 1. 13 1

„კომუნისტი“-ს
მთავარ **კანტორისაგან**
ის კონტრაგენტი

რომელიც თვის ბოლოს არ გაუსწორებს ანგარიშს გაზ. „კომუნისტი“-ს მთავარ კანტორას ყოველ მიზეზის გარეშე

მოიხსნება სამუშაოდან

„კომუნისტი“-ს მთავარი კანტორა

3—1

კაპიტალური შეკეთებისა და ახალი აპარატებით შევსების შემდეგ **გაიხსნა**

მიხა ცხაკაიას სახელობის

ფიზიატრიისა და კურორტოლოგიის სახელმწიფო ინსტიტუტი

(ლენინის ქუჩა № 49, ტელეფ. 15—87)

პოლიკლინიკა და სტაციონარი შინაგანი, ნერვიულ სნეულებათა და გინეკოლოგიური განყოფილებებით ფიზიკურ მეთოდებით მკურნალობის ყველა სახეები: წყლით მკურნალობა, სინათლით მკურნალობა, ელექტრონით მკურნალობა, ტალახით მკურნალობა, მექანოთერაპია, რენტგენით მკურნალობა და ინგალიაცია. რენტგენოდიაგნოსტიკა და ელექტროკარდიოგრაფია.

მიიღებიან ამბულატორიულ და სტაციონალურ მკურნალობისათვის ფასიანი ავადმყოფები.

ყოველგვარი ცნობების მიღება შეიძლება ინსტიტუტის კანცელარიაში პირადათ და წერილობით, ტელეფონით და ტელეგრაფით (პასუხის საფასურის გადახდით).

საქ. კურორტთა მთავარი სამმართველო

2—1 ნ. 446

გრძელდება ხელისმოწერა 1928 წ.
გამოვიდა და იყიდება

ჟურ. „საქართველოს ეკონომისტი“ № 12

შინაარსი:

ა. ჭუმბურიძე — ნედლეულის პრობლემა;
ი. ნაჩხ[illegible] — საქართველოს ნედლეულის ბალანსი და ექსპორტი;
ნ.—კოოპერაციის როლი ნედლეულის დამზადებაში;
ვლ. ცაგარელი — ჩვენი სასოფლო კოლექტიური მეურნეობა;
ვ. გოგილაძე—მიწათ-მოწყობის ორი საკითხი;
ს. ქვარიანი—მელიორაცია ძველ საქართველოში;

მრეწველობა

ირ. მიქელაძე—საქართველოს მრეწველობის ფინანსიური მდგომარეობა;
პროფ. ს. კუკელ-კრაევსკი—ელექტროფიკაციის თანამედროვე მდგომარეობა და პერსპექტივები საბჭოთა კავშირში,
ს. გოდაბრელიძე—შრომის ნაყოფიერების და ხელფასის დინამიკა;
მ. გომართელი—თბილისის ალმასკომის მუშაობა;
ვალ. გამყრელიძე—ხორცის მოხმარება ქუთაისში;

თეორიული განყოფილება:

აკ. კალაძე—მარქსისტული მეთოდის გაგებისათვის;

ბიბლიოგრაფია

П. Лапидус и Островитянов. „Политическ. экон. в связи с теорией советскаго хозяйства“—აკ. კალაძის;
სპ. ჩომახიძე—„აბრეშუმის პარკის ამოხვევის ტექნიკა“—მეაბრეშუმე;
„Бюллетень закав. центральнаго стат. управления“—მაგდაშვილი
ჟურნ. „ტექნიკა და ცხოვრება“ № 10—ფარი

ნ. 449

საქ. სახელმწიფო ვაჭრობის საპაიო ამხანაგობა

აცნობებს ყველა

კოოპერატიულ და სახელმწიფო ორგანიზაციებს, და აგრეთვე კერძო პირებს, რომ სილიკატების მრეწველობის საკავშირო სინდიკატ

„პროდასილიკატ“-ისაგან

მან მიიღო გენერალური წარმომადგენლობა საქართველოში შემდეგი სახის საქონლის გაყიდვაზე:

1) სამეურნეო ფარფორი
2) სამეურნეო და სანიტარული ფაიანსი
3) მაგიდის ჭურჭელი (შუშის და ბროლის)
4) ფანჯრის მინები უბრალო, ბროლის და სარკის
5) ლამპის შუშები, ჩვეულებრივი და ფასონიანი
6) სარკეები
7) სამურაბე ბანკები
8) მონოპოლური ბოთლები
9) ლამპები და ლამპების მოწყობილობა

დაკვეთებით უნდა მიმართოთ:

თბილისი, საქ. სახელმწ. ვაჭრობის საპაიო ამხანაგობის საბითუმო მაღაზია № 4, შუა ბაზარი № 76, ტელეფონი № 22-25 ან საქ. სახელმწ. ვაჭრობის საპაიო ამხანაგობის გამგეობა თავისუფლების მოედანი (თამამშევის ყოფ. ქარვასლა) ტელ. № 18-94.

საქონლის გაცემა სწარმოებს ჩვენი საწყობებიდან, როგორც წვრილი პარტიებით, ისე ვაგონობით, უშუალო გადატვირთვით ქარხნებიდან. იქვე მიიღება შეკვეთები:

1) მონოპოლურ და ყოველგვარ სიდიდის კომერციულ ბოთლებზე
2) ქიმიურ, ტექნიკურ, სააფთიაქო, საპარფიუმერიო და ელექტრონის შუშაზე
3 სააფთიაქო და ტექნიკურ ფარფორზე (სანაქები „ტიგლები“, იზოლიატორები და სხვ.)

ნ. 428 გამგეობა

ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატი

აცხადებს კონკურს

სამეანო-გინეკოლოგიურ ინსტიტუტთან არსებულ **ძუძუ მწოვარ** ბავშთა კონსულტაციის **ექიმ პედიატრზე** ჯამაგირით 75 მან. თვეში

განცხადებები მიიღება ჯანსახკომისარიატის დედათა და ბავშვთა განყოფილებაში ა/წ. 22 იანვრამდე. 1021

საშა ოგილაძის სახელობის
სახ. საბინ. კოოპ. ამხ. № 208 (ძველბარის მადათოვის ქ. № 5)
ა/წ. 8 იანვარს აწყობს საოჯახო

უფასო საღამოს

სთხოვენ ყველა საბინაო ამხანაგობების წევრებს დაესწრონ. 1005

წნორის წყალის ხე-ტყის დამამზადებელ უბანში მუშაობის შეწყვეტის გამო,

ა. კ. რკ. გზ. სატყეო განყოფილება ჰყიდის წნორის სახერხავ ქარხნის საწყობში (ა.-კ. რკ. გზ. სადგ. წნორის წყალი)

დარჩენილ მუხისა და თელის მასალას,

სახელდობრ: მორებს, ფიცრებს, ძელებს სხვადასხვა ზომისა და კვეთისა, ლარტყებს.

გარდა ამისა იყიდება საჭილაოს სახერხავ ქარხნის საწყობში (სადგ. სამტრედია) დახერხილი მასალა წიწვოვანი ჯიშისა. სხვადასხვა ზომის ფიცრები, ლარტყები, სამესერე თამასები, ზურგვალები.

ყიდვის პირობებისა და ფასების ცნობების მიღება შეიძლება რკ. გზის სატყეო განყოფილებაში—თბილისი, ამოს (ყ. ქსენიის) ქუჩა № 5. 2—1 979

სახელმწ. სახ. მუსიკ. სასწავლებელი

მოწაფეთა მიღება ფორტეპიანოს, სოლოს სიმღერის, სკრიპკის და ვიოლონჩელის კლასებში სასწავლო წლის მეორე ნახევარში დაიწყება 1928 წლის 9 იანვარს კანცელარიებში:

1-ლი სახ. მუსიკ. სასწავ. [illegible] ქ. № 6.
მე-2 „ „ „ ალექსანდრეს ქ. № 5.
მე-3 „ „ „ კალინინის (ყ. ნიკოლოზის) ქ. № 83.
მე-4 „ „ „ კურსანტების (ყ. კადეტის) ქ. № 6.
მე-5 „ „ „ მოსკოვის ქ. და კურსკის შეს. კუთხე (შესავალი კურსკის შესახვევიდან № 2).
972 3 2

ახალ-სენაკის უბნის სახალხო სასამართლოს აღმასრულებელი ლ. [illegible]

ამით აცხადებს, რომ 9 იანვარს 1928 წ. დღის 12 საათზე დანიშნულია **საჯარო ვაჭრობა**, რუსთაველის ქ. გასაყიდათ მოლოქია კუკურაძე ტუჩბუჩავასი ერთი ორ სართულიანი ხის სახლის შვიდი თვალიანის — ქვედა სართულშიერ თი თვალიანი ხის დუქნის შენობით, შეფასებული ექვსას მანეთად, დასაკმაყოფილებლად დომენტი ხირბედია და სხვ., თანახმად აღმასრულებელი ფურცლებისა ვაჭრობა დაიწყება შეფასებიდან. ნ. 447

ქ. თბილისის მე-4 რაიონის სახალხო სასამართლოს აღმასრულებელი **პოტემკოვსკი**

აცხადებს, რომ 1928 წ. 13 იანვარს დღის 11½ საათზე გიორგი გილაშვილის ღვინის საწყობში, საბჭოთა ქუჩა № 95, იგი, პირველი **საჯარო ვაჭრობით** გაჰყიდის 1927 წლ. მოსავლის 125 ვედრო თეთრი ღვინოს (კახური და იმერული ღვინის ნარევი) 2 კასრში, რომელიც აღწერილია მის, გილაშვილის ვალში და გასასყიდათ შეფასებულია კასრებით 487 მან. 50 კაპ. ნ. 448

ქუთაისის 1 უბნის სასამართლოს აღმასრულებელი **ს. გოჩორიშვილი**

ამით აცხადებს, რომ ქ. ქუთაისში აკ. წერეთლის ქუჩის სახლი № 85 დანიშნულია 14 იანვარს 1928 წ. დღის 12 საათზე **საჯარო ვაჭრობა** გიორგი სახამბერიძის ერთი სამ სართულიანი ქვიტკირის სახლის, რომლის ძირა სართული შესდგება ექვსი განყოფილებისაგან, მეორე სართული — ხუთი საცხოვრებელი ოთახისაგან ერთი საკუჭნაოსაგან და ერთი სამზარეულოსაგან და მესამე სართული — ხუთი საცხოვრებელი ოთახისაგან ერთი საკუჭნაოსაგან და ერთი სამზარეულოსაგან, აგებული მიწაზე ზომით დაახლოვებით 1400 ოთხკუთხი საჟენი, შეფასებულს 12000. საჯარო ვაჭრობა დაიწყება შეფასებული თანხიდან ილია ლორთქიფანიძის პრეტენზიის დასაკმაყოფილებლად და ვისაც სურს მონაწილეობა მიიღოს საჯარო ვაჭრობაში უნდა წარმოადგინოს ცნობები აღნიშნული 311 მუხ. სამ. საპ. კოდ. და შეხობის შეფასების 10 პროც. საწინდარი. ქვ. 1002

ზესტაფონის უბნის სახალხო სასამართლოს აღმასრულებელი **[illegible] ჭიაშვილი**

აცხადებს, რომ ის 13 იანვარს დღის 12 საათზე ქ. ზესტაფონში **საჯარო ვაჭრობით** გაჰყიდის ნოესპი ხიჯაკაძის და ილარიონ ნეძიერიძის ორ სართულიან შენობას, რომლის ქვედა სართულია სავაჭრო დუქანი, აშენებულის 25 თებერვლის ქუჩაზე, შეფასებულს 1700 მანეთათ, დასაკმაყოფილებლად ნიკოლოზ კიკნაძის ვალისა, თანახმად ზესტაფონის სახალხო მოსამართლის 24 ოქტომბრის № 2453 ბრძანებისა. გასაყიდი შენობა დაგირავებულია 1700 მანეთათ. ვისაც სურს მონაწილეობა მიიღოს შენობის საჯარო ვაჭრობაში უნდა წარმოადგინონ ცნობები, აღნიშნული ს.ს.ს.კ. 311 მუხ. და შეფასების 10 პროც. საწინდარი. ნ. 451

მიხეილ ბუძიაშვილის
სახელობის
სამკურნალო
საწოლებით
ელექტრონით და სინათლით
სამკურნალო კაბინეტი

ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ., № 20 25—1

ექიმი
ი. დ. თოფურიძე
მოსკოვის ქუჩა № 7

იღებს ავადმყოფებს (კანის, ვენერიული და სიფილისით) დაავადებულებს, აგრეთვე სასქესო ორგანოთა დაავადებით მკურნალობა გამოწვეული მწვავე და ქრონიკული გონორეით მიღება საღამოს 5—8 საათამდის. ნ. 25—1

ექიმი **მებრაბიანცი**
ფილტვების. ყელის და გულის სნეულებანი

ციების საგანგებო მკურნალობა. ელექტრო შუქით რენტგენის სამკურნალო კაბინეტში სურათების გადაღება და რენტგენის სხივებით წამლობა ხელოვნური მთის მზე. იონოთერაპია. მიღება ყოველდღე დილ. 9—1 და საღ. 6—8 სა თ. ენგელსის ქ № 23. ყოფ. ბებუთოვის ქუჩა 25—1

მედიც. დოქტორი
ბ. ა. ხვერდოვი
ვენერიული ავადმყოფობანი და სიფილისი.

დილით 9—12 ს., საღამ. 6—8 საათზე, პლეხანოვის პროსპექტი № 7, (შესავალი კუთხიდან [illegible] ქ. № 1.) 25—1

ექიმი
ა. დ. კაკულია
სიფილისი. ვენერიულ და კანის სნეულებანი.

მიღება 8—12 დილ. 7—8 საღამ. პლეხანოვის პრ. № 116. [illegible] ტელ. 12—6

ექიმი **ჯალალოვი**

დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება

სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობანი, შუშხუნება „914“. ტრიპერის და მისი შედეგების წამლობა.

ავადმყოფ. მიღება დილ. 8—9 საათამდე საღამოს 5—8 საათამდე. ქალების მიღება 2—3 საათ. მისამართი კამოს ქუჩა, № 19 (ყოფ. [illegible] ქ.). ყოფ. [illegible] ძეგლის მახლობლად. 25—7

ქ. **ს. ი. ვოლოხი**

ქალთა სნეულებანი და ბებიობა მიღება საღამოს 5—7 საათამდე [illegible] ტელეფონი 10—80. 25—1

ექიმი
კ. ს. ფონ-ირტელი
[illegible] № 10

სპეციალურად მკურნალობს ხანმარდე, სქესობრივ (სქესობრივი უძლურება, ნერვიული სისუსტე), ვენერიულ (ტრიპერი) ავადმყოფობას, სიფილისს, და მის შედეგებს, კანისა და ქირურგიულ ავადმყოფობის (სისავსე, ბუასილი) ელექტრომკურნალობა და ოპერაციები. ავადმყოფების მიღება დილ. 8 ს. დღის 1 საათამდე და 4 ნ. ს. საათ.—საღ. 7 საათამდე. ქალების მიღება ცალკე დილ. 11—12 საათამდე და საღამოს 7—8 საათამდე. 25—1

ექიმი
იონა გაბიჩვაძე

პლეხანოვის (მიხაილოვის) პროსპექტი 65 ვენერიული და კანის ავადმყოფობანი სიფილისი და მისი შედეგები დილით 7—8 ნახ. ს. საღამოს 5—8 ს.

ექიმი **ი. ი. ქეიშვილი**
სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმ.

იღებს ავადმ. დილ. 8—9 საათ. და საღ. 6—8 საათ. კამოს ქუჩა № 72 (ყოფილი დიდმთავრის ქ.) 25—1

დავკარგე დამზღვევი სალაროს წიგნაკი № 1980 [illegible] სახელზე, ჩ. გ. 1023

დავკარგე კავშირის წიგნაკი სიმონ [illegible] სახელზე, ჩ. გ. 1003

დავკარგე პირობის მოწმობა № 367, კავშირის წიგნაკი № 791 და [illegible] სახელზე, ჩ. გ. 1000

დავკარგე კავშირის წიგნაკი № 100907 ოლია [illegible] სახელზე, ჩ. გ. 1005

დავკარგე [illegible] ჩ. გ. [illegible]

დავკარგე [illegible] № 4011 [illegible] სახელზე, ჩ. გ. 1021

[illegible] მე-5-ს სტამბა. [illegible] ქ. № 66